დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2025 წლის 10 - 16 მარტი
N 11 1582
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# სანქცირებული სანახაობა

## ლაშა ტალახაძეს სანქციების ტალახი ვერ მიეკარება!

4-5

### ირაკლი გოგავა:



საქართველო მიიღებს სამხედრო ნეიტრალიტეტის სტატუსს, რომლის გარანტორებიც ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი იქნებიან!

10

### კოკა ყანდიაშვილი:



**თამამად ვაცხადებ –** დღეს ევროპაში დემოკრატიის ლიდერი არის საქართველო და არა — საფრანგეთი, გერმანია ან ჰოლანდია!

ქვეყანა სწორი გზით მიდის!

6

### კობა არაბული:



დონალდ ტრამპს ნასროლი ტყვია განგებამ ააცდინა და ამით კაცობრიობას გადარჩენის შანსი მისცა!

2

## დონალდ ტრამპი: ამერიკა დაბრუნდა!

16

### იაგო ხვიჩია:




ოპოზიციის ლიდერების დიდი ნაწილი „ოცნებასთან“ არის შეკრული!

8

„გუბაზ სანიკიძეს ვურჩევ, მამამისის დაწერილი წიგნები გადაიკითხოს და სალომე ზურაბიშვილი თამარ მეფეს მხოლოდ ამის შემდეგ შეადაროს!“

### იოსებ ჭუმბურიძე:




ზვიად გამსახურდიას სიძულვილი მათ ღრმა სულიერ კავშირს განსაზღვრავს!

**რბის ორი ქალი**

9

### ელიზბარ ჯაველიძე:



ამერიკაში პრეზიდენტად მოვიდა დიფ სთეითის დაუძინებელი მტერი და

ახლა მაინც გამოაცხადეთ გახსნილად ზვიად გამსახურდიას მკვლელობა!

21-22

## პერესტროიკის ორმოცი

15

### მაია ნიკოლეიშვილი:



საქართველომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგი!

«ივანიშვილის პოლიტიკამ ბრწყინვალედ იმუშავა!»

14

### პეტრე მამრაძე:



2008 წლის ომი იმის დადასტურება იყო, რომ ჯორჯ ბუშმა საქართველო რუსეთის გავლენის ზონად აღიარა!

11

### ლაზარე ჯორბენაძე:

საკაშვილი გილაურებსა და „საქართველოს ბანკს“ დავალებებს აძლევდა, თუ რა დანაშაული უნდა ჩაედინათ, ხოლო მამუკა ხაზარაძეს, იმდენად ბინძური და ვერაგია, დავალების მიცემა არც სჭირდებოდა!

20





*— ტრამპის გაპრეზიდენტება, მისი განცხადებები და გადაწყვეტილებები ომია ანტიქრისტესთან,* ***— მწერალი, ეთნოკულტურათა მკვლევარი საქართველოში კობა არაბული მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მისტიკურ ჭრილში განიხილავს და მამა-პაპათა ანდრეზების მოშველიებით ხელისუფლებას მნიშვნელოვან რჩევას აძლევს:***



# „ტრამპი კავკასიიდან მისული ძველი იბერიელი, ძველი ქართული სისხლის კოდის ანგლოსაქსი მგონია. მისი იერი კოლხურ-იბერიული მეჩვენება!“

## კობა არაბული:



# დონალდ ტრამპს ნასროლი ტყვია განგებამ აარიდა და ამით კაცობრიობას გადარჩენის შანსი მისცა!

## „80 წლის ჰერკულესი წინ აღუდგა ფაშისტურ-ლიბერასტულ წარღვნას!“

— ნახევარი საუკუნის წინ ხევსურმა ხევისბერმა თქვა — როცა ქალი იქცევა კაცად და კაცი დიაცის საქმეს დაიწყებს, ეს მეორედ მოსვლის ნიშანი იქნება. სამყაროს ახლა სწორედ ეს სატანური საუკუნე ჩამოუდგა და ტრამპი მის შეჩერებას ცდილობს.

**— ზოგი პირიქით ამბობს, ტრამპის გაპრეზიდენტებამ თავდაყირა დააყენა მსოფლიო, ჯერ არ მოსულა და დიქტატორული კლანჭები გამოაჩინაო...**

— კიდევ უფრო დავაკონკრეტებ — **80 წლის ჰერკულესი წინ აღუდგა ფაშისტურ-ლიბერასტულ წარღვნას!** ეს დიქტატურა კი არა, მშვიდობის დამყარებაა! მისი სახით მსოფლიოს გამოუჩნდა ადამიანი, რომელმაც კაცთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის დამყარება და სისხლისღვრის შეწყვეტა განიზრახა.

ხევსურს რომ შორი გზის სტუმარი მოუვიდოდა, გამოეგებებოდა და ჰკითხავდა — **სტუმარო, საიდან მიმავალ-მომავალი ხარ, ხომ მშვიდობაა ქვეყანაზე, ომიანობა ხომ არ ჩამოვარდაო?!** შემდეგ სტუმარს ოჯახის დიაც-ყმაწვილის ამბავს გამოჰკითხავდა და როცა მასპინძელი ამბის მოსმენით დაკმაყოფილდებოდა, შინ მიიპატიჟებდა — სათემო, საქვეყნო ამბებზე მუსაიფს ტაბლასთან განაგრძობდნენ.

რჯულის საბჭოზე მესისხლეთა ამბავი თუ იყო გასარჩევი, ხევსურები გონიერ რჯულის კაცებს მოიხმობდნენ, რომლებიც მესისხლეთა შორის ურთიერთობას არ გაამწვავებდნენ და მეტოქის შენათვალ მწვავე სიტყვას შერბილებულად მიუტანდნენ. **ასე არიგებდნენ მოსისხლეებს — მტრულად გადაკიდებულ გვარებს, თემებს, ოჯახებს და კაცთა შორის მშვიდობას ამყარებდნენ.**

მაშინაც და ახლაც კაცობრიობისთვის და თემისთვის მთავარი იდეა **მშვიდობა** იყო! მაშინაც და ახლაც **ბოროტი სიტყვა** აღძრავდა ომებს, გონიერი სიტყვა მოსისხლე მტრებს შორისაც კი **მშვიდობას** ჩამოაგდებდა.

ამერიკაში ჩასულ **ზელენსკის** ტრამპმა ჰკითხა — **„მოხვედ მშვიდობით და მშვიდობისთვის“?** არაო, ომისთვის მოვედი, პუტინს დედა უნდა ვუტირო, ბევრი იარაღი მჭირდებაო. ღორის ტკიპა, ჭიანჭველა ზელენსკი სპილოს ეომება. ეს ნაცარქექია არ არის. რაღაც სხვაა, წურბელის ტიპის სისხლის მწოველი, რომელმაც საკუთარ ხალხს სისხლი გამოსწოვა და ახლა მსოფლიოზე გადავიდა, კაცობრიობის დანგრევა უნდა!

**— ანუ ბოროტი ზელენსკია და გონიერი ტრამპი?**

— დიახ, მაშინ, როდესაც მშვიდობის დასამყარებლად **ტრამპმა** თავისთან მიიხმო — **უკრაინული „ღორის ტიკი“ ზელენსკი,** ამ იდიოტმა ამერიკის მშვიდობის მოსურნე პრეზიდენტთან სატანის სიტყვა მიიტანა და შეეცადა „ომების აღძვრას“. საუბარი პირდაპირ **პუტინის** გინებით დაიწყო, საჯაროდ ტერორისტი და ჯალათი უწოდა. არ უნდა მისი და ევრომასონების, ჯონსონებისა და მაკრონების დაწყებული ომიდან გამოვიდეს უკრაინა. სურს, ამ „არმაგედონში“ კიდევ მილიონი უკრაინელის სისხლი დაანთხიოს. **ზელენსკი** ხვდება, რომ განწირულია, ფარული დასის დავალებას ასრულებს და ატომური ომისკენ ექაჩება მსოფლიოს. მათ საგანგებოდ მიუგზავნეს ტრამპს სამშვიდობო მოლაპარაკების ჩასაშლელად, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ღვთის წყალობით არსებობს კაცი, რომელსაც სურს კაცობრიობა აპოკალიფსს აარიდოს. **ტრამპი** მართლა ღმერთმა მოიყვანა საგანგებო მისიით. მას ნასროლი ტყვია განგებამ ააცდინა და ამით კაცობრიობას გადარჩენის შანსი მისცა. ტრამპი კავკასიიდან მისული ძველი იბერიელი, ძველი ქართული სისხლის კოდის ანგლოსაქსი მგონია. ტრამპის არაორდინარული მოქმედება და ქცევა ნათელი და პრინციპული ხასიათისაა, თანაც მარტივი. მისი იერი კოლხურ-იბერიული მეჩვენება. ძალიან ჰგავს კავკასიელ მეომრებს, მშვიდობის გუშაგ სარანგებს და ვეინახ, ფხოველ რჯულისკაცებს, გუდანისჯვრის და კარატეს ჯვრის ხევისბერებს, რომლებიც მოსისხლეთა შერიგებას და ომების შეჩერებას რჩეული სიტყვით ახერხებდნენ.

მისი მეორედ მოსვლა პარადიგმულია, მსოფლიო რევოლუციაა. მან გლობალური, ლიბერალური ჭაობის ნგრევის დრამატული პროცესი დაიწყო. **ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში, სულის და მორალის, ტრადიციების, ისტორიული კულტურის გადარჩენისთვის.** მან, ფაქტობრივად, გამოაცხადა და გაიმეორა ქრისტიანულ-ბიბლიური პოსტულატი — „მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება!“.

ვინ არის, ვისი „კოჭია“ **ზელენსკი,** ბურვაკივით რომ დაღრუტუნებს, დაგორავს დედამიწის ირგვლივ და რუსეთთან

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ოპოზიცია** — ეს არის **სერგო ორჯონიკიძის ხაზი.** ისინი **ღიად თანამშრომლობენ უცხოურ სტრუქტურებთან, რათა დააზიანონ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები.** ეს სხვა არაფერია, თუ არა **საკუთარი ქვეყნის ღალატი.**

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**საპარლამენტო არჩევნები გაიმართება 2028 წელს,** ყველაფერი დანარჩენი სისულელეა, ვინმეს რამის თავი თუ აქვს, **აგერ არის თვითმმართველობის არჩევნები და მიიღონ მონაწილეობა.** „პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



უნდა გვახსოვდეს, რომ **სამი წლის წინ ჩვენ ყველამ გაგვწირა ომისა და ნგრევისთვის** — გაგვწირეს **უცხოელებმა,** გაგვწირეს **ენჯეოებმა, ოპოზიციამ.** ასეთი ადამიანების ხელისუფლებასთან გაკარება დაუშვებელია.

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



ადამიანები წერდნენ — **ქართველობის მრცხვენიაო!** ჩვენ ქვეყანას ვინარჩუნებდით და ამის რცხვენოდათ. დღეს სად არიან ეს ადამიანები, **რომელს რცხვენია მაშინდელი პოზიციის?**

„აიპრესი“

**ვლადიმერ ხუჯაძე**
*პარლამენტარი*



კარგად გვახსოვს, სამი წლის წინ როგორი ზეწოლის ქვეშ იყო ქვეყანა, ეს პროცესი ახლაც გრძელდება, **ვერანაირი სანქცია ვერ შეგვაჩერებს,** რადგან მთავარი ამოცანა საქართველოს ინტერესების დაცვაა. „პირველი არხი“

ომისთვის იარაღს ითხოვს?! ან რა უნდა გამოთაყვანებულ ევროპას, მაინცდამაინც **პუტინის** რუსეთიდან „გამოწერილი“ ატომური ბომბები?

**— თავად პუტინს რა უნდა?**

— პუტინთან მოლაპარაკებაა საჭირო — ეს არის ადამიანი, რომელსაც დედამიწის ორბიტიდან ამოგდება შეუძლია! თვითონ **ტრამპმა** თქვა — რუსეთის ჭკვიანი და აგრესიული ლიდერია, რომელსაც უკრაინაში, გნებავთ, იგივე იგორის რუსეთში ნატოს შეშვება არ უნდაო.

ალბათ, იკითხავთ, როგორ მოხერხდება მსოფლიოში მშვიდობის დამყარება **ზელენსკის და მაკრონის** ტიპის ლიბერასტი ჰომოსექსუალების მონაწილეობით? არ მოხერხდება, თუ **ზელენსკი** პოლიტიკიდან არ გაძევდება და 10 ათასობით უკრაინელის დაღვრილი სისხლის, მიწასთან გასწორებული ქვეყნის გამო პასუხს არ აგებს.

# „ჩვენ, ქართველმა ერმა, ტრამპი საქართველოში უნდა მოვიყვანოთ, რაც შეიძლება სწრაფად და ჯიუტად!“




## არ შეიძლება დღევანდელ ვითარებაში ზელენსკის მიყვანა მოლაპარაკების მაგიდასთან. ის ყელზე ჯაჭვით უნდა ება ბაგაზე და თავისთვის ღრუტუნებდეს. კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის ბედი გონიერმა ლიდერებმა უნდა გადაწყვიტონ!

ჩვენ, ქართველმა ერმა, **ტრამპი** საქართველოში უნდა მოვიყვანოთ, რაც შეიძლება სწრაფად და ჯიუტად. მისი იდეოლოგიით, ყველა პროგრამით და კონცეფციით. მისი ქრისტიანული არსით — ოჯახის, ქალის და კაცის ღირსების დაცვით!

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— უნდა გავიმეროთ მისი ყოველი მოდელი და პოსტულატი. **ტრამპს** საქართველომ რადიკალურად უნდა დაუჭიროს მხარი და რაც შეიძლება სწრაფად მიაწვდინოს მხარდამჭერი სიტყვა — ქართველი ერისა და სახელმწიფოს საგანგებო „ნოტა“! **ამერიკაში უნდა ჩავიდეს დელეგაცია — კავკასიურ-იბერიული „დესანტი“, ერის, თემის, კითხულ კაცთა, მწიგნობართა, ფილოსოფოსთა ჯგუფი.**

ამერიკამ უნდა იცოდეს, რომ აქ ჰყავს მხარდამჭერი უძველესი, ძლიერი კულტურის და ისტორიული ცივილიზაციის ქვეყანა, რომელსაც პოზიტიური სინერგიის შეტანა შეუძლია მსოფლიო სამშვიდობო იმპულსებში, როგორც ქრისტეს კვართის მფლობელსა და ღვთისმშობლის წილხვედრს.

დიდი ხანია, ვიბრძვით ჩვენი სუვერენიტეტის და მენტალობის გადასარჩენად. ახლა, ტრამპის მხარდაჭერით, შეგვიძლია უფრო მტკიცედ და იმედიანად ვიყოთ, რადგან დღევანდელი ამერიკა აკეთებს იმას, რაც ჩვენ გვინდა. **ხელისუფლებას უფრო თამამად შეუძლია იმოქმედოს და აამუშაოს ღალატის, ცილისწამების, სახელმწიფოს გადატრიალების, ანტიქართული მასმედიის წინააღმდეგ შემუშავებული კანონები.** დღეს არის შანსი, გაიროღვეს ჩაკეტილი წრე და იზეიმოს ქართველი ერის საერო, სათემო სამართალმა, ისტორიულმა ადათ-წესებმა, მიეცეს კეისარს კეისრისა და უფალს — უფლისა!

> **„უფრო ახლოს მიდით ტრამპის ამერიკასთან და რაც შეიძლება შორს დაიჭირეთ თავი ლიბერასტული ევროპისგან, ანუ ახალი საბჭოთა კავშირისგან, რომელიც ტირანიითა და კოლონიური ამბიციური ვირუსით არის გაჟღენთილი!“**

**— ერთია ის, რა სჭირდება ქვეყანას და მეორე — როგორ იქცევა ხელისუფლება?!**

— ჩვენი ხელისუფლება იბრძვის ყოველივე ამისთვის, იცავს სუვერენიტეტს და ჯიუტად უპირისპირდება გლობალურ ლიბერალურ სამყაროს! **ეს საამაყოა!**

იმათ კი, ვინც ჯერ ისევ დგანან პარლამენტის შენობის წინ და სისულელეებს გაიძახიან, ვეუბნები — ჩვენ არც რუსეთი ვართ, არც ევროპა და არც ამერიკა. **ჩვენ ვართ კავკასიურ-იბერიული დიადი ერი, მსოფლიო ცივილიზაციის და, მათ შორის, ევროპის შემქმნელნი. სად მივდივართ, რა გვინდა, რისთვის ვჯანყდებით და ვანგრევთ საკუთარ ძლივს შეკოწიწებულ სახელმწიფოს, ქვეყანას, ქალაქს? ისევ რუსეთში დაბრუნებისთვის ვილტვით?! ხომ ხედავთ ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცუნამების ეპოქაში ბეწვზე კიდია ქვეყანა?!** თუ ვერ ხედავთ და გრძნობთ, ეს უარესი საშინელებაა, ნამდვილი სიბეცეა.

რა სპექტაკლებს დგამენ ეს **ტუტუცი დოიაშვილები?** რა უნდათ ამ გაღვიძებულ მონებს? თეატრები რომ აღუდგინა, სამსახურები გაუცოცხლა და დაუფინანსა, ახლა აუჯანყდნენ?! რა ნამუსახდილი უსირცხვილო მასაა?! რა უმადურობის სინდრომია?! ვის ემიტინგებით, თქვე ეროვნულ მორალს აცდენილებო, საკუთარ სამშობლოს?! გინდათ, ისევ ახალ ევრო „საბჭოთა კავშირის“ კოლონიად ვიქცეთ და საშინელ ლიბერალურ სოდომ-გომორულ მონსტრში, ჭაობში შევიდეთ? **რა არის ეს — ქრონიკული პუტინიზმი, ამბიციური, უმადური ერის ავადმყოფობა თუ ვირუსი განუკითხავი, სახიფათო მტრების მიერ შემოგდებული?!** ევროპა გინდათ? წადით, იარეთ, ვინ გიშლით, ოღონდ, თქვენი ამბიციური, უსარგებლო და დამღუპველი იდეებით თავიდან მოგვწყდით!

კიდევ ასგზის გავიმეორებ ხელისუფლების გასაგონად — **უფრო ახლოს მიდით ტრამპის ამერიკასთან და რაც შეიძლება შორს დაიჭირეთ თავი ლიბერასტული ევროპისგან, ანუ ახალი საბჭოთა კავშირისგან, რომელიც ტირანიითა და კოლონიური ამბიციური ვირუსით არის გაჟღენთილი.** ეს არ არის არც გოეთეს, არც ჰაინეს, არც ბაირონის, არც ტეტჩერის ევროპა, სულ სხვა ფაშისტური ევროპაა, რომელსაც ხელისუფლებაში ჯალათების დაბრუნება სურს. გაერთიანებულ ევროპას არ გააჩნია მორალი და სახელმწიფო სამართალი. იგი ძალადობის, ტირანიის, უსამართლობის იმპერიად იქცა, თავისი გამოფიტული მინისტრებით, პარლამენტით და გენერალური დირექტორის, **ბებერი ბორელის** უტიფარი ბოდვებით.

ევროპა და, ზოგადად, კაცობრიობა **კაია კალასების** ტიპის უტვინო დედაკაცების ლაქლაქზე, **პედერასტი მაკრონების** ნებაზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული და მათი წაქეზებით საქართველოში არ უნდა პარპაშებდნენ ხოშტარიას, ბოკუჩავას, სამადაშვილის ტიპის კლიმაქსური დიაცები. ქალების ენამ ბევრჯერ დაღუპა ბევრი ქვეყანა და ნუ გავიმეტებთ ამისთვის საქართველოს!

**— და მაინც, გარდა იმისა, რომ ღიად და მტკიცედ უნდა დავუჭიროთ მხარი ტრამპის პოლიტიკას, კიდევ რა ნაბიჯების გადადგმას მოითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან?**

— არ შეიძლება პოლიტიკის ჭვრეტა და კეთება ერთი სტანდარტით ერთ დონეზე. ხელისუფლება უნდა გამოვიდეს შეზღუდული, პოლიტეკონომიკურ-კულტურული კვადრატიდან, სივრციდან და თამასა ვაჟა-ფშაველასა და რუსთაველზე ასწიოს. სწორება ქართველი მწერლობის და ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალზე გააკეთოს, რომელმაც მრავალსაუკუნოვანი წარღვნებიდან გამოიყვანა და გადაარჩინა ქართველი რასა. ამ სიმაღლიდან უნდა მიმართოს, შეუტიოს ფსევდოლიბერალურ სამყაროს — ევროპას! ამ მწვერვალიდან უნდა მოიგერიოს ავაზაკური სატანური იერიში! ხელისუფლებამ უნდა შექმნას განათლების, ერის ეთნოკულტურის და საკრალური ცოდნის კერები, მწერალთა და მწიგნობართა აკადემიები, რათა ქართველი ერი, სახელმწიფო შიგნიდან გაბრწყინდეს!

„ოცნების“ ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს და გამოიყენოს გერმანელი ფილოსოფოსის **კარლ იასპერსის** დებულება ფაშიზმის დასაძლევად.

## სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ ჯოჯოხეთური ენჯეოები და ავამოქმედოთ კანონი ნაპრეზიდენტალი ჯაშუშებისა და მათი მიმდევრების ასალაგმად.

იმედია, ღალატის მუხლის აღდგენა და ნაციონალი ფაშისტების წინააღმდეგ გამართული ქართული ნიურნბერგის პროცესი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**ბუშის დროს** რუსეთმა მიიღო **საქართველო, ობამას დროს** მიიღეს **ყირიმი, ტრამპის დროს** ვერაფერი მიიღეს, **ბაიდენის დროს** სცადეს **მთელი უკრაინის მიღება,** მე რომ არ მოვსულიყავი, მიიღებდნენ.

„პირველი არხი“

**ილონ მასკი**
*აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*



რაც არ უნდა უსიამოვნო იყოს, **ზელენსკის უნდა შესთავაზონ რაიმე სახის ამნისტია ნეიტრალურ ქვეყანაში,** უკრაინაში დემოკრატიაზე მშვიდობიანი გადასვლის სანაცვლოდ.

„რეზონანსი“

**ჯეი დი ვენსი**
*აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი*



როცა ვნახავთ, რომ **პრეზიდენტ ზელენსკის პოზიცია შეიცვლება, დონალდ ტრამპი** იქნება პირველი, ვინც ყურმილს აიღებს და **პუტინს დაურეკავს.**

„რეზონანსი“

**მარკო რუბიო**
*აშშ-ის სახელმწიფო მდივანი*



ერთადერთი ადამიანი დედამიწის ზურგზე, რომელსაც მოლაპარაკების მაგიდასთან **პუტინის** დასმა შეუძლია, **დონალდ ტრამპია** — ევროპას უკრაინაში ომის დასრულების არანაირი გეგმა არ აქვს.

„იმედინიუსი“

# საინქვიზიციო სანახაობა

***ტრამპის პოლიტიკურ ქარიშხალში მოყოლილ ევროპას საკუთარი უსაფრთხოება, რომელიც თავიდან ბოლომდე ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ და სამხედრო რესურსებზეა მიბმული, ფაქტობრივად, თავზე ენგრევა, რის გამოც კოლექტიური ფონ დერ ლაიენები პანიკაში არიან და საქართველოში მოქმედ თავიანთ „მეხუთე კოლონას“ ყურადღებას ვეღარ აქცევენ.***

სწორედ ამიტომ **კოლექტიური ნაცოპოზიცია და ლიბერალური არასამთავრობო სექტორი** ევროკავშირის „მეცამეტე გოჭების“ — **ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის** იმედადღა შთენილან.

უკეთ რომ ვთქვათ, ერთადერთი ხავსი, რომელიც წყალწაღებულ ნაცლიბერალებს მოსაჭიდებლად დარჩათ, ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის ბითუმად დაწესებული სანქციებია.

ჰოდა, იმათაც — **ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს,** რომლებსაც ევროკავშირის ლიდერები სერიოზული საკითხების გადაწყვეტაში არ რევენ, რაღა დარჩენიათ? ასანქცირებენ და ასანქცირებენ საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებს! პერსონა ნონ გრატად აცხადებენ და თავიანთ ტერიტორიაზე შესვლას უკრძალავენ ქართველ დეპუტატებს, მინისტრებს, პოლიციელებს, მოსამართლეებს, პროკურორებსა და ბიზნესმენებს!

ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა სანქცირების ტემპსა და ინტენსივობას განსაკუთრებით მას შემდეგ მოუმატეს, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხრიდან მათ მიმართ გამომჟღავნებულმა აგდებულმა დამოკიდებულებამ **ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ხელისუფლებებს** თავი პოლიტიკურ არარაობებად აგრძნობინა.

კერძოდ, **ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაია კალასი,** რომელიც ახლა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა უმაღლესი კომისარია, **ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსთან** შესახვედრად ჩავიდა, მაგრამ რუბიო კალასს არ შეხვდა და ევროპელი ევროკომისარი ვაშინგტონიდან კუდამოძუებული გამობრუნდა.

მერე, როცა **პრეზიდენტმა ტრამპმა და ვიცე-პრეზიდენტმა ვენსმა** თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში **უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის** პოლიტიკური **მონიკალევინსკიზაცია** მოახდინეს, თავიანთი მარიონეტის კრახით გულშემოყრილი ევროკავშირის ლიდერები სასწრაფოდ ლონდონში შეიკრიბნენ, მაგრამ სამიტზე **ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს** არ დაუძახეს.

როცა ამაზე ბალტიისპირელებმა წაიწკმუტუნეს — ჩვენ რატომ დაგავიწყდითო, ევროკავშირის „დიდმა ბიჭებმა“ უპასუხეს — მომავალში გაგიხსენებთო!

სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ იყო, **ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს სანქციების ახალი წყება რომ გამოუწერეს!

საკუთარი პოლიტიკური არარაობის შეგრძნების გამო მოწოლილი ბოღმა ქართულ სახელმწიფოს შემოანთხიეს!

იმ კაცივით მოიქცნენ, ცხენს რომ ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევა!

**ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ხელისუფლებების** მიერ სანქცირებულ ქართველთა ნუსხაში ისეთ სახელებსა და გვარებს წააწყდებით, ბალტიისპირეთში კი არა, საქართველოშიც რომ არასოდეს გაუგია საზოგადოებას... ესენი არიან მოსამართლეები და პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც საქართველოში ვითომ ადამიანის უფლებებს არღვევენ, ვითომ პროევროპული აქციების მონაწილეთა პოლიტიკურ დევნაში არიან ჩართული და ვითომ ძირს უთხრიან ქართულ დემოკრატიას...

**ხუსკივაძე, ხინთიბიძე, ტოგონიძე, ეპიტაშვილი, ჩარექაშვილი, მენაბდე, ჭიტაძე, თარაშვილი, ოქროპირაშვილი, ათაბეგაშვილი, კაჟაშვილი** და ა.შ.

საიდან აქვთ ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფლებებს ეს გვარები და საიდან იციან ამ ხალხის ავანჩავანი? როდის შეისწავლეს მათი საქმიანობა და რის საფუძველზე დაასკვნეს, რომ **ხუსკივაძე, ხინთიბიძე, ტოგონიძე, ეპიტაშვილი, ჩარექაშვილი, მენაბდე, ჭიტაძე, თარაშვილი, ოქროპირაშვილი, ათაბეგაშვილი, კაჟაშვილი და კიდევ ბევრნი სხვანი** ქართული დემოკრატიის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან და ღირსი არ არიან, ფეხი დადგან ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის აღთქმულ მიწაზე?

რა ლაპარაკი უნდა, რომ ეს გვარები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს საქართველოდან, კერძოდ კი, ნაციონალური მოძრაობის, **„გირჩი — მეტი თავისუფლების“, „დრო-**




**ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ლაშა ტალახაძის შტანგას ეკა გიგაურის ტანგა არჩიეს!**




**კაპიტანი გიგაური ან უკვე ესტონური არა-სამთავრობო ორგანი-ზაციის თავმჯდო-მარეა!**

## კვირგვინოსნები

**ბენო კეჭრიაშვილი**
*პარლამენტარი*



უკრაინა არის ძალიან რთულ მდგომარეობაში და მიკვირს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას დრო აქვს, მსგავსი საქმეებით რომ დაკავდეს. **ბატონ კახი კალაძეს ამით ბევრს ვერაფერს დააკლებენ, რადგან კახი არის მსოფლიო სპორტის ლეგენდა, უდიდესი ფეხბურთელი, ძალიან მაგარი ადამიანი.** მინდა, მშვიდობა ვუსურვო მთელს მსოფლიოს, განსაკუთრებით, უკრაინელ ხალხს და **კახის ვუსურვო წარმატებები და წინსვლა** თავის საქმიანობაში.

„მარშალპრესი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ დამფუძნებელი*



მცდელობა იმისა, რომ **საჩქაროდ შეაკოწიწონ რაღაც გაერთიანება ტრამპის ადმინისტრაციის წინააღმდეგ** და თითქოს, რაღაც **ანტიტრამპისტულ კოალიციას ჩაუყარონ საფუძველი,** სერიოზული საფრთხეა, თუმცა, ამას პერსპექტივა არ ექნება.

„იმედინიუსი“

**გურამ ნიკოლეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**მსოფლიო წესრიგი იცვლება,** სხვა ეპოქაში გადავდივართ, ამ ფონზე **ზოგი ისევ ძველს ებღაუჭება,** მაგრამ ყველა ხვდება, რომ **ამერიკის გარეშე ევროპის უსაფრთხოება დღეს ნამდვილად არ გამოდის.**

„პირველი არხი“

**დავით კიხელიძე**
*ექსპერტი*



**უკრაინა დემოკრატიის ხარისხით საქართველოზე წინ ჩაწერეს,** თუმცა, ეს იმით აიხსნება, რომ ევროკავშირის მაღალჩინოსნების ნებისმიერი განცხადება, ანგარიში თუ სხვა დოკუმენტი **მხოლოდ პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება** და დეზინფორმაციის ინსტრუმენტია **სსრკ კომპარტიის საუკეთესო ტრადიციებში.**

„მარშალპრესი“

ას“, „ლელოს“, საია-სა თუ **„საერთაშორისო გამჭვირვალობის“** ოფისებიდან მიაწოდეს. შესაბამისად, **ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ხელისუფლებების** მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის დაწესებული სანქციები სამართლებრივ მტკიცებულებებს ან სხვა რამ ობიექტურ მონაცემებს კი არა, **კოლექტიური ვაშაძე-ხოშტარიებისა და ლომჯარია-გიგაურების „დანოსებს“** ეფუძნება.

სხვათაშორის, **კაპიტან ეკა გიგაურის** არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელსაც **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“** ჰქვია, თბილისში საკუთარი რეგისტრაცია გააუქმა და ტალინში დარეგისტრირდა, ანუ **გიგაურის ენჯეოს** იურიდიული მისამართი ამიერიდან არა საქართველო, არამედ ესტონეთია.

ასე და ამრიგად, **კაპიტანი გიგაური** აწ უკვე ესტონური არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეა!

**კაპიტან გიგაურის** ორგანიზაცია ქართული ხომ არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა ის ერთადერთი, ფორმალური შტრიხიც კი აღარ გააჩნია, რომელიც საქართველოსთან იურიდიული მისამართის სახით აკავშირებდა!

ჰოდა, ბალტიისპირეთის ქვეყნებში სწორედ **ესტონური ენჯეოს თავმჯდომარე** გიგაური და მისთანანი გზავნიან დასახვრეტთა, პარდონ, დასასანქცირებელთა სიებს!

ვინც თვალში არ მოუვათ, ყველას სასანქციო სიაში შეყრიან და ელექტრონული ფოსტით აფრენენ **რიგაში, ტალინსა და ვილნიუსში!**

ისინიც — **იქაური ვაშაძეები, იქაური ხოშტარიები, იქაური ხაზარაძეები, იქაური გვარამიები, იქაური გიგაურები და იქაური ლომჯარიები** — დაუყოვნებლივ გამოწერენ ახალ-ახალ სანქციებს!

ეს დაემსგავსა უკვე საცირკო სანახაობას!

სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს სანქციომანია უკვე გადაიქცა **სანქცი**რკო სანახაობად!

თუნდაც **ლაშა ტალახაძის** დასანქცირება რად ღირს!

კი, **ესტონეთის ხელისუფლებამ დაასანქცირა ქართული და მსოფლიო ძალოსნობის ცოცხალი ლეგენდა, 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი, 7-გზის ევროპის ჩემპიონი და 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე, რომელიც ახლა საქართველოს პარლამენტის წევრია.**

და რისთვის დაიმსახურა **ლაშა ტალახაძემ** ასეთი ულმობელი სასჯელი — ესტონური სანქცია?

მსოფლიო სპორტის ქართველმა ლეგენდამ ისეთი რა ჩაიდინა, რომ დედამიწაზე არსებული ნამდვილი სამოთხის — ესტონეთის მონახულების პატივი აღარ უნდა ჰქონდეს?

რა და...

სანქცირებულთა სიაში **ლაშა ტალახაძის** გვარის გასწვრივ წერია — **„გამოირჩევა აგრესიულობით“.**




# ამ ჩვენს ჭუჭუვაშაძეს, თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში არ შეგვიშვებენ!






**დასავლელ ლიბერფაშისტებს, რომელთა აგენტურასაც ნაცოპოზიცია და ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფალნი წარმოადგენენ, როგორც ჩანს, ლაშა ტალახაძის დევგმირული შესახედაობა ისევე თრგუნავთ და აშინებთ, როგორც ხმლით ხელში მდგარი „ქართვლის დედის“ ქანდაკი აღძრავს კასტრაციის შიშს ნაცების ფალოსოფოს ზურაბ ჭიაბერაშვილში!**

ძალიან საინტერესოა, ესტონეთის ხელისუფლებამ, უფრო სწორად კი იმან, ვინც ესტონეთის ხელისუფლებისათვის გაგზავნილ სიაში **ლაშა ტალახაძის** გვარი შეიტანა, მისი აგრესიულობა, მით უფრო, „გამორჩეული აგრესიულობა“ სად და როდის ნახა?

სანქცირკო სანახაობაა, აბა, რა არის!

დასავლელ ლიბერფაშისტებს, რომელთა აგენტურასაც ნაცოპოზიცია და ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფალნი წარმოადგენენ, როგორც ჩანს, **ლაშა ტალახაძის** დევგმირული შესახედაობა ისევე თრგუნავთ და აშინებთ, როგორც ხმლით ხელში მდგარი „ქართვლის დედის“ ქანდაკი აღძრავს კასტრაციის შიშს **ნაცების ფალოსოფოს ზურაბ ჭიაბერაშვილში!**

კი, არც უამისობა იქნება, მაგრამ **ლაშა ტალახაძის** დასანქცირების ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ იგი „ქართული ოცნების“ გუნდის წევრია!

ესე იგი, **7-გზის მსოფლიო ჩემპიონი, 7-გზის ევროპის ჩემპიონი და 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე** მისი პოლიტიკური გემოვნებისა და არჩევანის გამო დაასანქცირეს!

ეს კი, გარდა იმისა, რომ **სანქცი**რკო სანახაობაა, **ლიბერალური ფაშიზმის** კლასიკური გამოვლინება გახლავთ!

ცხადია, **ლაშა ტალახაძის** სახელს, პატივსა და დიდებას, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქუხს, არაფერი დააკლდება იმით, რომ ცოტა ხანი **ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში** ვერ ჩავა, მაგრამ **ლიეტუველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს** მათმა ხელისუფლებებმა ნამდვილად წაართვეს პატივი და სიამოვნება მსოფლიო სპორტის ცოცხალი ლეგენდა თავიანთ ქვეყნებში იხილონ!

თუ **ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთს ხელისუფლებები** ასე გააგრძელებენ, მაშინ მოუწევთ, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა დაასანქცირონ და საქართველოს, სულ მცირე, 1 200 000 მოქალაქეს აუკრძალონ მათ ტერიტორიაზე შესვლა.

ამერიკაში ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის კვალდაკვალ, ევროპელი ლიბერფაშისტების მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, არც არის გამორიცხული, მათმა **სანქცი**რკო სანახაობამ ასეთ შიზოფრენიულ მასშტაბსაც მიაღწიოს!

დაე, ასემც უქნიათ!

უკაცრავული პასუხია, მაგრამ **ამ ჩვენს ჭუჭუვაშაძეს, თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში არ შეგვიშვებენ!**

იქ, სადაც **ლაშა ტალახაძის ზიზგას ეკა გიგაურის ტანგა** არჩიეს, პატიოსან და ღირსეულ ქართველებს არც არაფერი დარჩენიათ!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი*



როდესაც მსოფლიოში ამდენი არეულობაა და ამ პატარა საქართველოსთვის იცლი, ან მართლა ქრისტე უნდა იყო, ან — დიდი ინტრიგანი. **შეეშვით ჩვენთან არევ-დარევის შემოტანას. ვერცერთი ქვეყანა ამას ვერ გააკეთებთ. ქართველებიც გარე-გარე რომ დარბიხართ, გარეთ ვინ გიშველით?!** თანამდებობები გინდათ და რას აწვალებთ, რას არბენინებთ ხალხს ქუჩაში?! **მინდა, უცხოელებს ვუთხრა — თავიანთ ერებს მიხედონ და ჩვენთან თუ კეთილი ურთიერთობა უნდათ, შეგვეშვან.** ვინც ცუდად გვექცევა, ყველას უჭირს მერე. ჩვენი ლოცვა ინახავთ, რომ კიდევ არიან და რაღაცას წარმოადგენენ. **ჯობს, ჭკვიანად იყვნენ.**

„იმედინიუსი“

**პაატა სალია**
*პარლამენტარი*



**არანაირი კრიზისი დღეს საქართველოში არ არის.** ჩვენი პარტიის და ჩვენი ამომრჩევლის პოზიცია არის მყარი და ერთმნიშვნელოვანი, რომ **არანაირი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში არ იქნება.**

„მარშალპრესი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ქართული ოპოზიცია უცხოელი პატრონების ტყვეობაშია,** ამას მათ სახეებზეც ვკითხულობთ. ახლა ევროპელი ლიდერები **მხოლოდ გაზაფხულის იმედად არიან,** იქნებ, როგორმე გააღვიძონ ქართველ ხალხში ქუჩის ხალისი და **ააგორონ ნატრი რევოლუცია.**

„იმედინიუსი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**სიტყვის თავისუფლება** არ ნიშნავს **სიცრუის ტირაჟირებას** საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით.

„რეზონანსიდეილი“

# „მაკრონი და ფონ დერ ლაიენი, როგორც არ უნდა შეიფუთონ, ვერასოდეს იქნებიან ევროპის ლიდერები!“



***იმ ფონზე, როცა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გლობალური ომის პარტიის მარიონეტ ევრობიუროკრატებს მათი უტარო დროშა — ვოლოდიმირ ზელენსკი, ფაქტობრივად, თავზე გადაახია, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ამერიკისადმი დაგროვილი ბოღმა საქართველოს შემოანთხიეს და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ათეულობით წარმომადგენელს სანქციები დაუწესეს, რაც ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში შესვლის აკრძალვას ითვალისწინებს. ჟურნალისტ კოკა ყანდიაშვილთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:***

## კოკა ყანდიაშვილი:

# თამამად ვაცხადებ – დღეს ევროპაში დემოკრატიის ლიდერი არის საქართველო და არა – საფრანგეთი, გერმანია ან ჰოლანდია!

— იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომლებსაც ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში ძალაუფლება აქვთ მიტაცებული, ძალიან უნდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში **სააკაშვილისებრთა სექტა** დაბრუნდეს, მაგრამ ეს არასოდეს მოხდება.

**— ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფლებები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დამოუკიდებლად მოქმედებენ თუ ევროკავშირის ბიუროკრატთა დაკვეთას ასრულებენ?**

— კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღევანდელ ევროკავშირს აღარაფერი აქვს საერთო იმ ევროკავშირთან, რომლის კარზეც ჩვენ 25 წლის წინათ დავაკაკუნეთ. დღევანდელ ევროპას აღარ ჰყავს პოლიტიკური ლიდერები — **ტეტჩერები, კოლები, მიტერანები** და თუნდაც **შირაკები,** ევროკავშირს კი მართავენ ადამიანები, რომლებიც არასოდეს არავის აურჩევია. **მაკრონი და ფონ დერ ლაიენი,** როგორც არ უნდა შეიფუთონ, ვერასოდეს იქნებიან ევროპის ლიდერები.

სამაგიეროდ, დღეს პოლიტიკური ლიდერები ჰყავთ ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს, ინდოეთს, თურქეთს და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიდერი ჰყავს საქართველოს.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ნაცლიბერალური ოპოზიცია და მედია უკვე ღიად გადავიდნენ აშშ-ის პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის ლანძღვა-გინებაზე?**

— არ დაგიმალავთ, ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ **სააკაშვილისებრთა სექტის** არანაირ განცხადებასა თუ ქმედებას არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ არავითარი გავლენა არა აქვს. რაც შეეხება პრეზიდენტ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის ლანძღვას, ეს სიგიჟე **სააკაშვილისებრთა სექტისათვის** ზუსტად ისე დასრულდება, როგორც ჭიანჭველისათვის — სპილოსთან შეჯახება.

**— დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ საქართველომ საბოლოოდ დააღწია თავი უცხოეთიდან დაფინანსებული სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეს?**

— ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს სახელმწიფო გადატრიალებისა თუ სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმების საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა, მსოფლიოს ახლებური გადანაწილების პროცესში, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და გვახსოვდეს, რომ პოლიტიკაში არსებობენ არა მეგობრები, არამედ — სიტუაციური მოკავშირეები. თუ დიდ მოთამაშეებთან სიტუაციურ თანხვედრაში მოვედით, ხომ კარგი, თუ არა და, ჩვენი ქვეყნის ბედი ისევ მხოლოდ ჩვენს ხელში იქნება. ძალიან მიხარია, რომ ქართველები სამშობლოს პატრონობას დღეს ისე წარმატებით ვუმკლავდებით, როგორც არასდროს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.



ურსულა ფონ დერ ლაიენი და ემანუელ მაკრონი



მარგარეტ ტეტჩერი და ფრანსუა მიტერანი



ჰელმუტ კოლი და ჟაკ შირაკი

## „დღევანდელ ევროპას აღარ ჰყავს პოლიტიკური ლიდერები – ტეტჩერები, კოლები, მიტერანები და თუნდაც შირაკები!“

**— თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება სიტუაციურ თანხვედრაში აშშ-ის დღევანდელ ხელისუფლებასთან?**

— საქართველოს ხელისუფლებისა და **ტრამპის ადმინისტრაციის** იდეოლოგიური თანხვედრა სრულიად აშკარაა, თუმცა, ამერიკის ხელისუფლებას, რომელიც ახლა გლობალური საკითხების გადაწყვეტით არის დაკავებული, ჯერ ჩვენთვის არ სცალია. ძალიან კარგია, რომ **ტრამპის ადმინისტრაცია** ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას არ გვატენის და არ გვაძალებს, რომ ხუთი ათასი გენდერი ვაღიაროთ, არამედ მკაფიოდ აცხადებს — მხოლოდ მდედრობითი და მამრობითი სქესი არსებობსო!

რაც მთავარია, საქართველო მზად არის და აბსოლუტურად ღიაა თანამშრომლობისათვის მთელ მსოფლიოსთან, ცხადია, ევროკავშირის დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის გამოკლებით, რომელსაც დიდი დღე ნამდვილად არ დარჩენია. მინდა, ჩვენს თანამემამუ-

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



**აგენტოკრატიას იდეოლოგიური ბრძოლა ჰქონდა ტერმინ სამშობლოსთან** და ეს უნდა დავაბრუნოთ მომავალი თაობის აღზრდისას — **არ არსებობს უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს მსახურება** და პატრიოტიზმია.

„აიპრესი“

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



უკრაინაში ევროპის ქვეყნების ძალების განლაგება **ომში ნატოს პირდაპირ ჩართვას ნიშნავს.**

„რეზონანსი“

**რობერტ ფიცო**
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



**უკრაინას ომის გაგრძელება ხელს აძლევს,** რადგან ქვეყანა „ამის ხარჯზე ცხოვრობს“.

„რეზონანსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ზელენსკი** პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა, არამედ **დიფ სთეიტის პროექტია,** მაგრამ პროექტი ჩავარდა და ვფიქრობ, **პასუხისმგებლობასაც ბოლომდე ზელენსკის შეაწმენდენ.**

„საერთო გაზეთი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*პარლამენტარი*



მას შემდეგ, **რაც ოპოზიციამ უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე,** ცდილობენ, ისე გადალაგდნენ, რომ **თავი შეინარჩუნონ,** თუმცა, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება, **ისევ მარგინალურ ძალებად დარჩებიან.**

„პირველი არხი“



# „ზელენსკი არის არალეგიტიმური და თვითმარქვია დიქტატორი,

## რომელმაც უკრაინაში გააუქმა არჩევნები და მედიის დამოუკიდებლობა, კლავს საკუთარ ხალხს და ანადგურებს ევროპის უდიდეს ქვეყანას!“

ლეებს ვუთხრა — გვქონდეს პოზიტიური განწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ მართლაც კარგი მომავალი გველოდება, რადგან ჩვენი ქვეყანა სწორი გზით მიდის!

**— ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობა და თუნდაც ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სანქციას სანქციაზე უწესებენ, საქართველოსთვის უხერხულობას არ ქმნის?**

— უხერხულობას თუ რამე იწვევს, ეს არის ევროკავშირის დღევანდელი მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ მისი წევრი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას სუვერენიტეტი აქვს დაკარგული. თამამად ვაცხადებ — **დღეს ევროპაში დემოკრატიის ლიდერი არის საქართველო და არა — საფრანგეთი, გერმანია ან ჰოლანდია!**

## დარწმუნებული ვარ, ევროპაში ჭეშმარიტი დემოკრატიის ხელახლა დათესვა ჩვენ – ქართველებს მოგვიწევს!

**— ცოტა ამბიციური განაცხადი ხომ არ არის?**

— დიახ, ჩვენ გვაქვს ეს ჯანსაღი ამბიცია, რომელიც ჩვენს ისტორიასა და დღევანდელობას ეფუძნება!

**— რას იტყვით უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტის — ზელენსკის ამბიციებზე, რომელმაც თეთრ სახლში პრეზიდენტ ტრამპისა და ვიცე-პრეზიდენტ ვენსისათვის ჭკუის სწავლება დააპირა, მაგრამ სრული ფიასკო განიცადა?**

— ზელენსკი არის არალეგიტიმური და თვითმარქვია დიქტატორი, რომელმაც უკრაინაში გააუქმა არჩევნები და მედიის დამოუკიდებლობა, კლავს საკუთარ ხალხს და ანადგურებს ევროპის უდიდეს ქვეყანას!

**— ოპონენტები გეტყვიან, რომ უკრაინას ზელენსკი კი არა, პუტინი ანადგურებს!**

— რა თქმა უნდა, **პუტინი** ბომბავს უკრაინის ქალაქებს ისევე, როგორც **ზელენსკი** ბომბავს რუსეთის ქალაქებს, მაგრამ მეორე ამბავია ის, რომ **ზელენსკის** ძალაუფლება აქვს მიტაცებული და უკრაინელი ხალხი მის მძევლობაში იმყოფება!

**— იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ლიდერები ერთგვარი ანტიტრამპისტული ბანაკის ფორმირებას ცდილობენ და სურთ, ხელი შეუშალონ მისი სამშვიდობო გეგმის რეალიზაციას, როდის შეიძლება, უკრაინაში ომი დასრულდეს და საქართველომაც საბოლოოდ დააღწიოს თავი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტად გამოყენების საფრთხეს?**

— ევროკავშირს რუსეთისა და ამერიკის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა არაფრით გამოუვა! ის, რასაც ახლა ევროპის ლიდერები დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის თაოსნობით აკეთებენ, მათივე კრახით დასრულდება და ევროპა, დღევანდელი ბიუროკრატიის სახით, ბოროტებისაგან გათავისუფლდება!

რაც შეეხება უკრაინის ომს, ვფიქრობ, იმაზე უფრო მალე დამთავრდება, ვიდრე ყველას ჰგონია!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

იყო მოთხოვნა, რომ **უკრაინისთვის შეიარაღება უნდა გადაგვეცა,** ჩვენ რომ ეს ნაბიჯები გადაგვედგა, სამწუხაროდ, **იმაზე უარეს დღეში ვიქნებოდით, რაშიც დღეს უკრაინაა.**

„აიპრესი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

კოლექტიურ ნაცმოძრაობას **ამოჩემების სინდრომი აქვს** — არჩევნები უნდა დაინიშნოს, **დანიშნულია თვითმმართველობის არჩევნები,** მობრძანდნენ და ბედი სცადონ.

„პირველი არხი“



***დიდი ხანია, ყოველი კუთხიდან გვესმის — საქართველო „პრახადნოი დვორიაო!“ სამწუხაროდ, მგონი, მართლაც ასეა, რადგან, თუ ვინმე დამნაშავე, ძებნილი და უკუღმართია, საქართველოში დაუბრკოლებლად შედი-გამოდის.***



# შემოპარულები და გაპარულები



## ბაჩიაშვილი ქართველ პოლიციელებსა და სპეცსამსახურის თანამშრომლებს საქართველოდან ზუსტად ისევე გაეპარათ, როგორც 2021 წლის ოქტომბერში მიხეილ სააკაშვილი შემოეპარათ!

# ბაჩიაშვილის გაპარვამ ცხადყო, რომ საქართველოს საზღვრები სათანადოდ ვერ კონტროლდება!

ოფიციალური ინფორმაციით, 2025 წლის 2 მარტს საქართველოს საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა და ყალბი რუსული პასპორტით ერევნის აეროპორტის მეშვეობით ჯერჯერობით დაუდგენელ ქვეყანაში გაფრინდა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი ბაჩიაშვილი,** რომელმაც **ბიძინა ივანიშვილს** ამ რამდენიმე წლის წინათ დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინები მოჰპარა. ბაჩიაშვილს გამოძიება ასევე ედავება „მტკვარი-ჰესის“ საქმეში მომხდარ დიდი რაოდენობით თანხის გაფლანგვას; ზემოხსენებული დანაშაულების გამო მას თავისუფლების სანაცვლოდ 2 მილიონ 500 ათასი ლარის გირაო ჰქონდა შეფარდებული და ქვეყნიდან გასვლა ეკრძალებოდა, მაგრამ...

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, **გველისთვალება ბაჩიაშვილმა მაინც იპოვა გველის ხვრელი** და სადახლოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მეშვეობით ქართველ სამართალდამცავებს ხელიდან **გველივით** დაუსხლტა. ის ჩაიმალა „ტოიოტა ქამრის“ მოდელის ავტომობილის სამალავში, რომელიც წინასწარ მოაწყო და ვინმე „შ.ქ.“-ს მეშვეობით, ქვეყნიდან რუსული პასპორტით გაუჩინარდა.

მოკლედ, **ბაჩიაშვილი ქართველ პოლიციელებსა და სპეცსამსახურის თანამშრომლებს საქართველოდან ზუსტად ისევე გაეპარათ, როგორც 2021 წლის ოქტომბერში მიხეილ სააკაშვილი შემოეპარათ.** რომ არა ნაცფიურერ მიხეილის მუცელღმერთობა და ლოთობა, დიდი ალბათობით, სააკაშვილი მართლაც მოახერხებდა თავისუფლების მოედანზე დანიშნულ მიტინგზე მოულოდნელად გამოჩენას და იმ ეფექტის მოხდენას, რაც კრიტიკული მასის მობილიზებისთვის იყო აუცილებელი. **ცხადია, ეს გამოიწვევდა პირდაპირ შტურმს მთავრობის სასახლეზე, რაც დასრულდებოდა ან გადატრიალებითა და ხელისუფლების დამხობით, ანდა სისხლისღვრით, რაც ნებისმიერ შემთხვევაში „ქართული ოცნებისთვის“ უმძიმეს რეალობას შექმნიდა.** საბედნიეროდ, მაშინ საქართველოსაც გაუმართლა და ხელისუფლებასაც — თბილისში, საიდუმლო ბინაში მოყუჩებული სააკაშვილი ხინკალს მიაძლა, არყით გასკდა და ამასობაში მისი ადგილსამყოფლის დადგენაც მოხერხდა... სწორედ ასე დაადგნენ მთვრალ სააკაშვილს თავზე და ხელკავით მიაბრძანეს ვირის აბანოში, სადაც კიდევ დიდხანს მოუწევს ყოფნა.

**გიორგი ბაჩიაშვილი რომ ქვეყნიდან გაპარვასა და ქართველი სამართალდამცავების გაბრიყვებას აუცილებლად შეეცდებოდა, ეს თავიდანვე უნდა გაეთვალათ და ამ გველისთვალება ვირთხისთვის, რომელმაც ფული მოიპარა, საგანგებო თვალთვალი დაეწესებინათ!**

უდიდესი პატივისცემა ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებს, განსაკუთრებით გმირ პოლიციელებს, რომლებმაც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში კიდევ ერთხელ დაიცვეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და გადაგვარებულ და სამშობლოს ღალატის გზაზე შემდგარ აგენტებს არჩეული ხელისუფლების დამხობის საშუალება არ მისცეს, მაგრამ, **ეტყობა, სადღაც რაღაც მოეშვა და სასწრაფოდ მიხედვა სჭირდება!**

საქართველოდან წყეული **ზურაბ ადეიშვილიც** გიორგი ბაჩიაშვილივით გაიპარა. მას ევროპელი გადაგვარებულები ჰააგაში დაატარებენ, როგორც დელეგატსა და უკრაინელ მაღალჩინოსანს, რომლის კოორდინატებიც, ასე თუ ისე, ცნობილია, თუმცა, დღემდე ვერავინ დაადგინა სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბნელი და საიდუმლოებით მოცული პერსონის — **ამირან მესხელის** ადგილსამყოფელი. უფრო სწორად თუ ვიტყვით, ისიც კი ვერ დაადგინეს, სინამდვილეში რა გვარია „მესხელი“, რადგან ასეთი გვარი საქართველოში არ არსებობს!

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, სააკაშვილის რეჟიმის ასპიტები — **ბაჩო და დათა ახალაიები,** მთელი სამი თვის განმავლობაში, ჭყონდიდის ეპარქიაში, სოფელ სალხინოს მონასტერს აფარებდნენ თავს, სადაც მათ სააკაშვილის მიტროპოლიტი, **მეუფე პეტრე ცაავა** პატრონობდა. დაახლოებით სამი თვის შემდეგ, ამერიკული ცერეუს აგენტმა **ირაკლი ალასანიამ,** რომელიც მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო, სწორედ ამერიკელი პატრონების ბრძანებით, ორივე ასპიტი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მანქანებში ჩასვა და სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გადაიყვანა!

ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს საქართველოში ჩამოვიდნენ ცნობილი კანონიერი ქურდები — **ტარიელ ონიანი და შაქრო კალაშოვი,** რომლებმაც სააკაშვილს დაუჭირეს მხარი და დიდი როლი ითამაშეს ხელისუფლების ხავერდოვნად გადაბარებაში.

საქართველოში **„პლატონ ელენინის“** სახელითა და გვარით ასევე ჩამოსული იყო ცნობილი მილიარდერი **ბორის ბერეზოვსკი,** რომელსაც მაშინ რუსეთის გენერალური პროკურატურა ეძებდა, თბილისის აეროპორტში 2003 წლის 3 დეკემბერს, 0:15 საათზე, **ბადრი პატარკაციშვილის** კუთვნილი თვითმფრინავით დაფრინდა. ვერავინ იტყვის იმას, რომ **„პლატონ ელენინი“,** ანუ იგივე ბორის ბერეზოვსკი, სააკაშვილის საქართველოში სააკაშვილის დასტურისა და ნებართვის გარეშე ჩამოვიდა. არც ის იცის ვინმემ, „ბადრი პატარკაციშვილის მონახულების“ გარდა კიდევ რა იყო ამ ვიზიტის მიზანი... ფაქტია, რომ საქართველოში **„პლატონ ელენინის“,** ანუ იმავე **ბორის ბერეზოვსკის** საიდუმლო ჩამოსვლიდან ოცდაორი წლის შემდეგ, **ბორის ბერეზოვსკიც და ბადრი პატარკაციშვილიც** მკვდრები არიან, **სააკაშვილი** ციხეშია, ხოლო **გიორგი თარგამაძე,** რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა **ბადრი პატარკაციშვილის** დამხობაში, **მიხეილ სააკაშვილისა და დავით კეზერაშვილის გაერთიანებულ ტელეკანალიზაციაშია!**

არაერთხელ დაგვიწერია და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ სარწმუნო ცნობების თანახმად, 1991 წლის ზაფხულში საქართველოში, კერძოდ, სოხუმში, ასევე ჩამოსული იყო ცნობილი ტერორისტი **უსამა ბინ ლადენი,** რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ამერიკელების ინსტრუქციებით მოქმედებდა... ამ ვიზიტიდან რამდენიმე თვეში საქართველოში **ზვიად გამსახურდიას** კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, ხოლო ერთ წელიწადში **შევარდნაძემ** აფხაზეთში ომი დაიწყო, რასაც ქართველთა გენოციდი, ეთნოწმენდა და საკუთარი სამშობლოდან დეპორტაცია მოჰყვა. **უამრავ საჭირბოროტო კითხვას შორის, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას უკავშირდება, ბინ ლადენის სოხუმში ყოფნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვაა, რომელსაც აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიეთ, გვახსენდება ცნობილი იტალიური სიმღერის ქართული რიმეიკი, რომელმაც მთელ მსოფლიოში ფურორი მოახდინა და ასე იწყება — **„ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან“...**

დროა, შეიქმნას ამ სიმღერის ახალი ვერსია, ან სულაც ახალი სიმღერა დაიწეროს, რომელიც ასე დაიწყება — **„ჩვენი ქვეყნიდან გადიან“...**

**ბაჩიაშვილის** გაპარვამ ცხადყო, რომ საქართველოს საზღვრები სათანადოდ სათანადოდ ვერ კონტროლდება!

მწარე სიმართლე ეს არის!

სხვა სიმართლე არ არსებობს!

***დიტო ჩუბინიძე***

**პარტია „გირჩის“ ლიდერი ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ, რაც უფრო მეტი სულელი არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით ნაკლებად დაიბნევა ხალხი და მით უკეთესი იქნება ქვეყნისათვის:**





„ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ ᲕᲣᲠᲩᲔᲕ, ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲝᲡ!“

## ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ:

# ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ «ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ» ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ!

— რაც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ხდება, ეს არის ქართული ოპოზიციისა და ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიების უპასუხისმგებლო ქმედების კლასიკა. არ ვიცი, ამას ისინი ხელისუფლებასთან შეთანხმებით აკეთებენ თუ არა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის ხალხის წაქეზება უხარისხო და უშინაარსო ქმედებისკენ. არავინ სვამს კითხვას, თუ რა მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს ამ ე.წ. „სახალხო მსვლელობებსა“ და ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნას შორის. საკმარისია, მთელი ეს უბედურება და ბაქანალია, კრიტიკულად შეაფასო და ოპოზიციის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მაშინვე გახდები შეურაცხყოფისა და შანტაჟის ობიექტი. ყურადღება მიაქციეთ ერთ საინტერესო დეტალს — **ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲘ ᲪᲘᲮᲔᲨᲘᲐ!** რატომ?

**— ეს რაზე მეტყველებს?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რის შესახებაც ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ლიდერ **ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲠᲐᲥᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ** ერთად მხარდამჭერებს ვაფრთხილებდით! მოგეხსენებათ, ამ აქციების დაწყებიდან მთელი ორი კვირის განმავლობაში იგი აქციებზე დადიოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, რათა ჩვენი მხარდამჭერები დაპატიმრებისაგან ეხსნა და გაეფრთხილებინა, რომ ე.წ. **ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ!** ოპოზიციური მედიებიც აბსოლუტურ გიჟურ კამპანიას აწარმოებენ და ყველაფერს იმის საწინააღმდეგოდ აკეთებენ, რასაც შექმნილი სიტუაცია ჩვენგან ითხოვს.

**— ამბობენ, რომ აქციაზე სიარული ფული ღირს და ზოგიერთები იქ დგომით „სამსახურში არიან“... ერთი საღამოს განმავლობაში რუსთაველზე დადგომის ნიხრებიც კი ცნობილია... ფასი 50 ლარიდან 150 დოლარამდე მერყეობს... რას იტყვით?**

— არა მგონია, ვინც იქ დადის, ყველა ფულს ღებულობდეს! მაგრამ ხალხი რომ ოპოზიციისა და მათი მედიების მიერ შეცდომაშია შეყვანილი, ფაქტია. ისიც ვიცი, რომ, ვინც ყოველ საღამოს აქციაზე დადის, მხოლოდ „ენჯეოებისა“ და პარტიების აქტივისტები არიან და სხვა არავინ. აქედან გამომდინარე, ასეთ ხალხს ფულს გადაუხდი თუ არა, მგონი, მნიშვნელობა არა აქვს!

**— ე.წ. ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ! გახარიას პარტია საეჭვოდ დუმს, ხოლო თქვენი პოზიცია ცნობილია — არჩევნებისთვის ემზადებით! რას იტყვით, ნაცები და მათი სატელიტები არჩევნებზე მართლა იტყვიან უარს?**

— საქართველოსა და მოსახლეობისათვის იდეალური იქნება, თუ ნაცები და მათი სატელიტები არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ! საქმე ის გახლავთ, რომ ეს ხალხი არჩევნებში მაინც ტყუილად მონაწილეობს. ჯერ თქვეს — გაყალბებულ არჩევნებში გამარჯვებული ოთხი პარტია ვართო! ჩემი აზრით, „გაყალბებული“, „ბარიერგადალახული“ და „გამარჯვებული“ ერთმანეთში ვერ ჯდება, ეს, უბრალოდ, ოქსიმორონია... **ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲧᲐᲚᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ?** მაშინ გამოდის, რომ არჩევნები შენ სასარგებლოდ გაუყალბებიათ!..

ესენი მიიჩნევენ, რომ, სანამ თავად არ მოვლენ ხელისუფლებაში, პარლამენტი საჭირო არ არის და იქ არ უნდა შევიდნენ. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ პარლამენტი საჭიროა. ამიტომ, რაც მეტი სულელი არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით ნაკლებად დაიბნევა ხალხი და მით უკეთესი იქნება ქვეყნისათვის! თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ე.წ. ოპოზიცია თვალთმაქცობს და ყველა მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. უბრალოდ, ახლა ეძებენ განტევების ვაცს, რათა კარგად გამოლანძღონ და მერე თავადაც დაიწყონ ძრომიალი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, აქ ერთ შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი — **ᲙᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑ, ᲔᲡ ᲠᲐ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲐ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ?**

**— თქვენი აზრით, ოპოზიცია არ ელოდა, რომ ხელისუფლება საპარლამენტო სიებს გააუქმებდა?**

— ჩემი აზრით, ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლებას ან მიეყიდნენ, ანდა სასარგებლო იდიოტები არიან, რომლებმაც თავიანთი საარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილის ლანძღვაგინებისა და „რუსო-რუსოს!“ ძახილის დონეზე დაიყვანეს! ოპოზიცია რომ გაყიდულია ან იდიოტებით არის სავსე, იქიდანაც კარგად ჩანს, თუ რა განწყობები აქვთ მათ ტრამპის მიმართ! თუ დეგენერატი ოპოზიციონერი არ ხარ, ტრამპს როგორ აგინებ? ვისი დახმარების იმედიც უნდა გქონდეს, იმას აგინებ? **ᲐᲓᲠᲔ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲣᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲕᲡᲕᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑ, ᲣᲙᲕᲔ ᲕᲐᲡᲙᲕᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ!** დიახ, ოპოზიცია ხელისუფლებამ მოისყიდა და იმისთვის, რომ ბოლომდე არ გაიშიფროს, თავს ისულელებს! აი, მაგალითად, მამუკა ხაზარაძე თავს ისულელებს, რათა მისმა ბანკმა წელიწადში 1 მილიარდ 300 მილიონი იშოვოს!

**— რას იზამს გახარია, შევა თუ არა პარლამენტში?**



„ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 1 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ 300 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲘᲨᲝᲕᲝᲡ!“

— **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ** გაცხადებული მიზანია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღოს! მგონია, რომ ის სიას არ ჩახსნის და პირველი ათეული თუ არა, მეორე ათეული მაინც შევა პარლამენტში, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის მიღება გაგრძელდეს!

**— რა პერსპექტივა აქვს იმ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას, რომელიც 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოსაკვლევად შეიქმნა?**

— საქართველოში არცერთი საპარლამენტო კომისიის მუშაობა შედეგით არ დასრულებულა!

**„ᲥᲝᲪᲔᲑᲡ“ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲓᲝᲛᲝᲓᲐᲗ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲥᲜᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲞᲝᲕᲘᲡ!**

ამიტომ მგონია, რომ ეს ყველაფერი ხალხის ყურადღების გადატანას ემსახურება და მეტს არაფერს.

**— ფაქტია, რომ ოპოზიცია ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას უკვე მერამდენედ შეეცადა. როგორ ფიქრობთ, ე.წ. „ტრამპის ეფექტმა“ ოპოზიციის გეგმები საბოლოოდ ჩაფუშა?**

— არ ვფიქრობ, რომ ოპოზიცია ხელისუფლების დამხობას სერიოზულად შეეცადა. ეს ყველაფერი სინამდვილეში იყო გადატრიალების იმიტაცია, რომელიც ხალხის შეშინებას ემსახურებოდა. ვისაც ხელისუფლების ძალით ან ნებით ცვლილება უნდა, ისე არ მოიქცევა, როგორც ჩვენი ძვირფასი ოპოზიცია და „ენჯეო“ სექტორი მოიქცა!

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ოპოზიციის არცერთი ლიდერი დაჭერილი არ არის! უფრო მეტიც, ოპოზიციამ წინ აიფარა ხალხი, რათა გამოევლინა ხელისუფლებისთვის საშიში ელემენტები, რომლებიც მერე გაანეიტრალეს და დაიჭირეს! ამიტომაც ვამბობ, რომ ოპოზიციის ლიდერების დიდი ნაწილი „ოცნებასთან“ არის შეკრული! ცხადია, სასარგებლო იდიოტების როლსაც არ გამოვრიცხავ. **ᲠᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲦᲔᲡ Ე.Წ. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ? ᲔᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲚᲛᲐ-ᲓᲐᲚᲛᲐ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲢᲐᲠᲔᲑᲐᲐ... ᲗᲐᲕᲐᲓ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲠᲒᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲘᲐᲜ...**

**— გუბაზ სანიკიძემ სალომე ზურაბიშვილს „თამარ მეფე-2“ უწოდა! რას იტყვით?**

— (იცინის) **ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ** ვურჩევ, მამამისის დაწერილი წიგნები გადაიკითხოს და **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** თამარ მეფეს მხოლოდ ამის შემდეგ შეადაროს! ბატონ ლევან სანიკიძეს სალომე ზურაბიშვილზე არაფერი დაუწერია, მაგრამ თამარ მეფეზე ბევრი აქვს დაწერილი. თუ გადაიკითხავს, მეეჭვება, სალომე ზურაბიშვილსა და თამარ მეფეს შორის რამე მსგავსება აღმოაჩინოს!

*ესაუბრა*

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ**
*ექსპერტი*



ოთხი ოპოზიციური პოლიტიკური ძალიდან **არ ჩანს ერთი პარტიაც კი, რომელიც სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს „ქართულ ოცნებას“** და დაამარცხებს. მეტიც, ჩემი შეფასებით, **ასეთი ძალა პერსპექტივაშიც არ ჩანს.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲐᲥᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*„გირჩის“ წევრი*



ვგეგმავთ, რომ **ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციასა და **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ** ერთმანეთთან **მომხმარებლური დამოკიდებულება** აქვთ... ესაა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, **ორივე მხარე ცდილობს, ერთმანეთისგან მაქსიმალური სარგებელი ამოიღოს.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*კონსტიტუციონალისტი*



**ადგილობრივ არჩევნებს** „ოცნება“ კი არ ნიშნავს, ეს კონსტიტუციით განსაზღვრულია და ამ დემოკრატიის მოთხოვნაზე **უარი არ უნდა თქვას ოპოზიციამ.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲐᲛᲖᲐᲠᲓᲘᲐ**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიცია სულ გვპირდება **ახალი ლიდერის მოძიებას,** მაგრამ წლები გადის, მე ვბერდები და **ამ კუთხით პროგრესი არ არის.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

## იოსებ ჭუმბურიძე

# რბის ორი ქალი

> რბის ორი ძაღლი:
> მათ ისტორია
> ვერ დააფეთებს,
> პირიდან გლეჯენ
> ერთიმეორეს
> ხორცის ნაფლეთებს.
> და მთელი კვირა
> სადგურს იქით
>
> მატარებელი
> იდგა. შიგ მკვდრები
> ეყარა რიგით
> უფარებელი.
>
> *გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ 1921-1924*

**ლანა და სალომე.**
**სალომე და ლანა.**

ერთი — **გაქცეული მენშევიკის შთამომავალი;**

მეორე — **აქ დარჩენილი ბოლშევიკის ასული.**

გაქცეულს თავი დავანებოთ. ისიც ეყოფა, რომ გაქცეულია.

აქ დარჩენილის „საქმენი“ მოვიკითხოთ.

ყველაზე მთავარი:

ქართული არისტოკრატიის განადგურებაში შეტანილი უდიდესი წვლილი.

1924-ში შორაპანთან გაჩერებული მატარებლის ვაგონებიდან სისხლის მდინარეები რომ დიოდა, იმ ტრაგედიის ერთ-ერთი დამყენებული.

იმ სისხლის სუნი, თურმე, დიდხანს აბღავლებდა იქაური მოსახლეობის პირუტყვს.

პირუტყვნი როგორღა ყოფილან?!

პირუტყვნი ამ წარმოუდგენელი ტრაგედიის მომწყობნი იყვნენ.

**იმ მატარებელში, არსებითად, მთელი ქართული არისტოკრატია ამოხოცეს.**

**და ახლა მისი ასული არისტოკრატობს.**

**ახლა კი არა, თითქმის მთელი საუკუნეა.**

და იმდენს ბედავს, რომ ჯალათების თავკაც მამას რეპრესირებულად აცხადებს.

სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი ასეთად მოუხსენიებიათ.

არა ისტორიის, არამედ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში.

სოციალურ ქსელში გაიოცეს, — ამ საკითხს, საერთოდ, იქ რა უნდაო?!

კითხვა, რა თქმა უნდა, ლოგიკურია.

რეპრესირებულიო, — ჯალათზე წერენ?!

არადა, დახვრეტის **ლევან ღოღობერიძისეული** მეთოდიც კი არსებობდა: სროლა უკანალში.

●

ახლა გაქცეულის შთამომავალსაც მივხედოთ, საჭირო და ხელსაყრელ დროს, სამშობლოსაკენ გამოქცეულს.

სამშობლოსაკენ?!

იცის კი, რა არის სამშობლო?!

**განუცდია კი „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი?!“**

ერთხელ მაინც აწვია თვალი მამულის კვამლისგან?!

სამაგიეროდ, ჩვენ დავხუჭეთ თვალი მის წარსულზე და სამშობლოს პრეზიდენტად ავირჩიეთ.

და როგორ დაგვიფასა?!

როცა მისი უმსგავსო ქმედებანი არ მოგვეწონა და, ამის სათქმელად, ორბელიანთა სასახლეს მივაშურეთ, ბოლშევიკის, უკაცრავად, მენშევიკის ასულივით გამოგვიხტა და დაგვიცაცხანა.

**„რას მომივარდით აქა?!“**

და, ალბათ, ეს იყო მისგან ყველაზე გამართული ქართულით წარმოთქმული ფრაზა.

ხომ არაფერი გაუთბია ექვსი წლის განმავლობაში — არც მიუსაფარი მოხუცები მოუკითხავს, არც მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, არც საახალწლო ნახვის ხესთან მიუწვევია ვინმე, არც, არც, არც...

თავი იმისთვისაც არ შეიწუხა, მასწავლებელი დაექირავებინა და მშობლიური ქართული ენა ესწავლა.

**მისგან გაკეთებულ ერთ საქვეყნო საქმესაც ვერავინ დაასახელებს, და მთავრობას იქით ედავება, არაფერს აკეთებთო.**

მთავრობას, რომელიც ამისა და რადიკალური ოპოზიციის მავნებლობასაც უმკლავდება და ქვეყანაც წინ მიჰყავს.

ზოგჯერ გიკვირს კიდეც:

პრემიერის შემდეგ ერთად მოვდივართ.

ფილმზე ვსაუბრობთ. ვეუბნები: **„კი, ფილმი არ მოგვეწონა, მაგრამ თვითონ მაინც საინტერესო მოღვაწეა. მრავალმხრივია: კინო, თარგმანი, პოლიტიკა“...**

ის: **„კი, მაგრამ ნებისმიერ სფეროში, ორი მილიმეტრის სიღრმეშიც არ ჩასულა“.**

ისეთი შეფასებაა, ვერაფერს დაუპირისპირებ.

●

ზემოხსენებულ ტრაგედიას გალაკტიონმა პოემა მიუძღვნა: **„მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“.**




პოემა „მნათობის“ 1924 წლის მე-5 (სექტემბრის) ნომერში დაიბეჭდა.

ჟურნალის ის ნომერი გაანადგურეს, გალაკტიონი კი დააპატიმრეს.

პოემაში გალაკტიონი ასეთ მეტაფორას იყენებს: **„რბის ორი ძაღლი“.**

ერთი **მენშევიკია,** მეორე — **ბოლშევიკი.**

რბიან, რომ ენით აღუწერელი ტრაგედიით ისარგებლონ.

დღეს შეგვიძლია, ვთქვათ: **რბის ორი ქალი.**

არა, ბევრი რბის, მაგრამ **ეს ორი** სრულიად განსაკუთრებულია.

ტრაგედია ღმერთმა გვაშოროს, იმას ცდილობენ, რომ გაბრიყვებულთა და დაფინანსებულთა უაზრო პროტესტით, საკუთარი სარგებელი ნახონ.

სხვათაშორის, წლების წინათ, **სააკაშვილის ეპოქაში,** ერთმანეთს მტრობდნენ.

როცა მენშევიკის შთამომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ბოლშევიკის ასული კი — საფრანგეთში საქართველოს ელჩი, მთელმა ქვეყანამ შეიტყო მათი კონფლიქტის ამბავი: მინისტრმა ელჩი ძვირად ღირებული აპარტამენტებიდან გამოაძევა.

ახლა კი ერთად არიან, იმის წინააღმდეგ შეკრულან, ვისგანაც ბევრი სიკეთე ახსოვთ.

უფრო სწორად, უნდა ახსოვდეთ.

ოპოარხები ორივეს ერთნაირად ეფერებიან.

მენშევიკის შთამომავალს **„ერთადერთ ლეგიტიმურს“** ეძახიან;

ბოლშევიკის ასულს კი იმდენად ანებივრებენ, რომ ფილმიშედევრის „პირველი მერცხლის“ ავტორად აცხადებენ.

სინამდვილეში, **სალომეც** ისეთივე ლეგიტიმურია, როგორც **ლანა ღოღობერიძე** არის **ნანა მჭედლიძე.**

ერთმა ყოველგვარი სიკეთე და ჩინ-მენდალი მიიღო საბჭოთა ეპოქაში და, საერთოდ, ყველა დროში.

მეორემ — იქ **ზვიად გამსახურდიასთან** დაპირისპირებით გაითქვა სახელი, აქ კი მისი დიდი ღვაწლით მოპოვებული დამოუკიდებლობით უხვად ისარგებლა.

**ზვიად გამსახურდიას** სიძულვილი მათ ღრმა სულიერ კავშირს განსაზღვრავს.

და ლოგიკურია, რომ ბოლოს სულმა სული იცნო.

და **რბის ორი ქალი.**

არა, ბევრი რბის, მაგრამ ეს ორი სრულიად განსაკუთრებულია.

დაე, რბოდნენ!

მადლობა ღმერთს, საქართველო დღეს იმდენად ძლიერია, რომ ვეღარაფერს დააკლებენ.

●

**„რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია ვერ დააფეთებს“.** — წერს გალაკტიონი.

და ვინ იცის, ზოგჯერ შეიძლება, გენიოსიც შეცდეს.

**ანუ დააფეთებს...**






ასეთი მუდმივი მტრობის, სახელმწიფოს განუწყვეტელი რყევის ფონზე, ამდენს რომ აღწევენ.

●

გაქცეული მენშევიკის გამოქცეული შთამომავლის მავნებლობა დროებით დავივიწყოთ და **აქ დარჩენილი ბოლშევიკის ასულს** მივუბრუნდეთ.

ორიოდე წლის წინათ კინოს სახლში, მისი დოკუმენტური ფილმის პრემიერაზე, ჩვენი მხცოვანი პოეტის გვერდით ვზივარ.

ფილმში საკუთარ თავზე გვიამბობს.

მხცოვანი პოეტი შიგადაშიგ წამოიძახებს: **„გამოსულელებულა, გამოსულელებულა!“**

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



სალომე ზურაბიშვილი 2022 წლიდან მოყოლებული ცდილობს, **როგორმე ოპოზიციას სათავეში ჩაუდგეს,** თავისი აქტუალობის წამოწევის მცდელობებით დაიტანჯა.

„პირველი არხი“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



სალომე ზურაბიშვილი ლიდერად დანიშნეს **დიფ სთეითისგან,** რასაც ვულოცავ, რადგან, **ვიდრე ასეთი ლიდერები ეყოლებათ,** შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ.

„პირველი არხი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



რა თქმა უნდა, **მსურს, შევაქო ხელისუფლება რეფორმებისთვის, მსურს, ვთქვა პოზიტიური რამ საქართველოში განვითარების შესახებ,** მაგრამ საქმე როდესაც ეხება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობას, ჩვენ **ამჟამად ყველაზე დაბალ დონეზე ვიმყოფებით.**

„რეზონანსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ჟიგმანტასები, გუჟმანტასები, კუბილიუსები, ფოტიგები არ გვეუბნებოდნენ, სანქციებს როგორ არ აწესებთო? **რუსეთთან მიმართებაში ღვინის ექსპორტში ჩვენ გაგვასწრეს,** პირველ ადგილზე გავიდნენ.

„აიპრესი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



სალომე ზურაბიშვილი **თბილისის მერობის კანდიდატად** — ეს იქნება ოპოზიციის სწორი გადაწყვეტილება.

„ახალი თაობა“



# ირაკლი გოგავა:

# საქართველო მიიღებს სამხედრო ნეიტრალიტეტის სტატუსს, რომლის გარანტორებიც ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი იქნებიან!

***რა მიზნები ამოძრავებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას მამასისხლად გადაეკიდნენ და თითქმის ყოველ კვირა ახალ-ახალ სანქციებს უწესებენ? ამ კითხვით დავიწყეთ ინტერვიუ პოლიტოლოგ ირაკლი გოგავასთან, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით მეტად ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს და აცხადებს, რომ ლიბერალური ბოროტების აღსასრული ამერიკის მსგავსად ევროპაშიც გარდაუვალია:***

— მას შემდეგ, რაც **ბაიდენის** ადმინისტრაციის სახით პატრონი დაკარგეს, ბალტიისპირეთის ქვეყნები თავიანთი ფუნქციის ძიებაში არიან და საქართველოს ხელისუფლებასთან ბრძოლით ცდილობენ, ევროკავშირის ლიდერების თვალში ქულები ჩაიწერონ.

გარდა ამისა, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთთან ვაჭრობით დიდ ფულს შოულობენ, რადგან სანქცირებული თუ არასანქცირებული ალკოჰოლური პროდუქცია რუსულ ბაზარზე მათი გავლით შედის. შესაბამისად, **ბალტიისპირეთის ქვეყნების მიზანია, რომ საქართველო, როგორც ევროპული საქონლის რუსეთში შეტანის ალტერნატიული გზა, დაიკეტოს, რაც რუსეთთან მათი ვაჭრობის მოცულობას კიდევ უფრო გაზრდის და მეტ ფულს იშოვიან.**

რაც მთავარია, ბალტიისპირეთის ქვეყნები გრძნობენ, რომ შეიძლება, მათმა პატრონებმა რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა აიძულონ და ცდილობენ, ეს საფრთხე საქართველოსკენ გადმოისროლონ, რათა რუსეთთან ომში მათ მაგივრად ჩვენ აღმოვჩნდეთ.

**— რამდენად სწორად იქცევა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმს ირჩევს და მათ მთავრობების თავგასულობას მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით პასუხობს?**

— ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება გონივრულად იქცევა, რადგან **ერთი მუჭა ლიბერალ-გლობალისტების გამო, რომლებიც დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან, ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის გაფუჭება ნამდვილად არ ღირს.** გარწმუნებთ, ევროპაში და, მათ შორის, ბალტიისპირეთში ლიბერალ-გლობალისტური მმართველობა მალე განადგურდება და **კუბილიუსები და იუკნევიჩიენეები** შარშანდელი თოვლივით დაგვავიწყდება.

**— თუმცა, დღეს ევროკავშირის ლიდერები კონსოლიდაციას ცდილობენ და, ფაქტობრივად, ანტიტრამპისტულ კოალიციას ქმნიან!**

— ევროკავშირის ლიდერების ანტიტრამპისტული ფაფხური მხოლოდ მომაკვდავის აგონიაა და მეტი არაფერი! მათ იციან, რომ ტრამპის ხელისუფლებას ევროკავშირის პროექტის დასრულება აქვს გადაწყვეტილი და ამ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს!

**— ევროკავშირის პროექტის დასრულებაში რა იგულისხმება?**

— ტრამპის ადმინისტრაციამ ევროპაში ლიბერალურ-გლობალისტური მმართველობის დასრულების ორი გზა წარმოადგინა. პირველი და შედარებით რბილი გზა არის ის, რაზეც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა** მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა — **ევროპაში უნდა დაბრუნდეს სიტყვის თავისუფლება და მედიის დამოუკიდებლობა, შეწყდეს ბრძოლა მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიებთან და ევროკავშირმა თავი დაანებოს რევოლუციების დაფინანსებასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს თავის სამეზობლოში!**




რაც შეეხება მეორე და უფრო ხისტ გზას, ეს არის ამერიკის სავაჭრო ომი ევროკავშირთან, ევროპული საქონლის იმპორტზე 25-პროცენტიანი ტარიფის დაწესება, ევროპის უსაფრთხოების დაფინანსებაზე უარის თქმა და ზეწოლა ენერგეტიკის სფეროში. კერძოდ, ამერიკას თავისუფლად შეუძლია, საუდის არაბეთთან, ყატართან და რუსეთთან გარიგებით, ევროპას ნავთობსა და გაზზე კარტელური ფასები დაუწესოს, რაც მის ეკონომიკას გაანადგურებს.

**— ყოველივე ამის ფონზე, რა ბედი ელით ქართველ შიგევროპელებსა და სლავაუკრაინელებს, რომლებმაც ტრამპის რუსეთის აგენტად გამოცხადების კამპანია უკვე დაქოქეს და ამერიკის პრეზიდენტს დემენციით შეპყრობილსაც კი უწოდებენ?**

— ამ კატეგორიის ხალხისათვის ერთი რჩევა მაქვს — პროფესიულ კოლეჯებს მიაკითხონ და რამე ხელობა ისწავლონ. მაგალითად, **დღეს საქართველოში მაღალკვალიფიციური ელექტროშემდუღებლების, მეთუნუქეების, მლებავებისა და კაფელ-მეტლახის დამგებთა დეფიციტია, ამიტომ ნაცები და ლიბერალები ამ ხელობებს თუ დაეუფლებიან, კარგი შემოსავალი და ოჯახების რჩენის საშუალება ექნებათ.**

**— მათ ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია აქვთ და თქვენ მეტლახის დასაგებად უშვებთ?**

— ისინი ხელისუფლებაში უკვე იყვნენ და ქვეყანას დედა უტირეს — ბირთვულ სახელმწიფოსთან ომი გააჩაღეს, ტერიტორიები დაკარგეს და ათეულათასობით ადამიანი დევნილად აქციეს, რის გამოც საქართველოს სათავეში მოსვლას ვერასოდეს ეღირსებიან!

**— თუმცა, ევროპაში პატრონები და დამფინანსებლები ხომ ჰყავთ?**

— პატრონებს თავიანთი თავი აქვთ გადასარჩენი და ამათთვის აღარ სცხელათ! ვფიქრობ, ევროპაში მალე დაიწყება ისეთივე გამოძიებები, როგორსაც ახლა შეერთებულ შტატებში **ილონ მასკის დეპარტამენტი** აწარმოებს და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ლიდერები მართლმსაჯულებას ვერ გადაურჩებიან.

**— როგორ იქნება უკრაინისა და პირადად ზელენსკის საქმე მას შემდეგ, რაც იგი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მთელი მსოფლიოს დასანახად მიჭირხნეს?**

— როგორც ტრამპის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, უკრაინაში ზელენსკის მხოლოდ 4-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პოლიტიკური ბედი გადაწყვეტილია. ამერიკელები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს **იულია ტიმოშენკოსთან, პეტრე პოროშენკოსთან** და სხვა ოპოზიციურ ლიდერებთან, რათა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პარალელურად, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს.

**— ტრამპის ადმინისტრაცია**



## „მთიან ყარაბაღში რუსეთმა გვერდზე გაიხედა და აზერბაიჯანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხელი არ შეუშალა... პუტინი აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებითაც ანალოგიურად მოიქცევა!“

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო საკითხების ექსპერტი*



**ტრამპი** ამბობს, რომ **მშვიდობის მიღწევა მსურს** და არ შედის მის ინტერესებში ათწლიანი ომები და თამაშები, **ზელენსკი** კი **მშვიდობისთვის მზად არ არის.**

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**ტრამპმა** ეს შოუ იმისთვისაც დადგა, რომ მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, **იმსახურებდა თუ არა ზელენსკი დახმარებას.** მნიშვნელოვანია ისიც, რომ **ტრამპი ზელენსკის თავისი გუნდით დახვდა,** ანუ ამერიკელებმა **გუნდურად შეუტიეს უკრაინის პრეზიდენტს და გააგდეს თეთრი სახლიდან.** გგონიათ, **ტრამპს** ძალიან ადარდებს, რას ფიქრობენ მასზე ევროპელები?

„კვირის პალიტრა“

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



აბსოლუტურად **წაუგებელი ფსონი** გააკეთეს **ბიძინა ივანიშვილმა** და „ქართულმა ოცნებამ“, **ტრამპზე დადეს ეს ფსონი,** ასევე, აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებზე, რომლებიც **ტრამპისტული ქვეყნები არიან — უნგრეთი და სლოვაკეთი.** ჩემი ვარაუდით, ძალიან მალე ვიხილავთ იმას, რომ **გერმანიაც დაიწყებს რუსეთთან ახლო ურთიერთობას** და ისიც **პროტრამპისტულ კოალიციაში** მოხვდება.

„ახალი თაობა“

**რეჯეფ თაიფ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



თურქეთის გარეშე **შეუძლებელია, ევროპამ გააგრძელოს არსებობა,** როგორც გლობალურმა მოთამაშემ.

„რეზონანსიდეილი“




**ბავშვის მონათვლა მოიწონა და აღნიშნა, რომ ეს ქვეყნის დემოგრაფიას აჯანსაღებს.**

გლობალურ კონტექსტში საქართველოს საკითხი მაშინ იქნება განხილული, როცა ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი ახალ მსოფლიო წესრიგზე შეთანხმდებიან. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ საქართველო მიიღებს სამხედრო ნეიტრალიტეტის სტატუსს, რომლის გარანტორებიც ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი იქნებიან, ხოლო ეკონომიკური ვექტორები გაიშლება ყველა მიმართულებით, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასაც მოაგვარებს.

კულუარებში ჩინეთი რუსეთისგან აქტიურად ითხოვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ეს აზრი თვითონ რუსეთშიც საკმარისად არის მომწიფებული.

**— თუმცა, რამდენიმე დღის წინათ პუტინმა კრემლში მიიღო აფხაზეთის დე ფაქტო არჩევნებში გამარჯვებული ე.წ. პრეზიდენტი ბადრა გუნბა!**

— მიიღო იმიტომ, რომ პუტინს იგი საკუთარი გეგმების განსახორციელებლად სჭირდება!

**— რა გეგმას გულისხმობთ?**

— ვფიქრობ, რუსეთში მიხვდნენ, რომ მათი საზღვრების გარშემო კონფლიქტების ინსპირირება და ცეცხლოვანი რკალის გაჩენა ლიბერალ-გლობალისტების გეგმის ნაწილი იყო და ამ რკალიდან ნელ-ნელა გასვლა გადაწყვიტეს. ამის მაგალითი იყო მთიანი ყარაბაღი, როცა რუსეთმა გვერდზე გაიხედა და აზერბაიჯანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხელი არ შეუშალა. **პუტინი** აფხაზეთთან, სამაჩაბლოსთან და დნესტრისპირეთთან დაკავშირებითაც ანალოგიურად მოიქცევა!

**— უკრაინის მომავალ პრეზიდენტად ტიმოშენკოს ან პოროშენკოს განიხილავს?**

— იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინაში სხვა პოლიტიკური ლიდერები ჯერჯერობით არ არსებობენ, შეიძლება, ამერიკამ დროებითი ფსონი **პოროშენკოზე ან ტიმოშენკოზე** დადოს. განიხილება უკრაინის შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდლის **ვალერი ზალუჟნის** კანდიდატურაც, მაგრამ იგი ბრიტანელების ფრთის ქვეშ არის და ნაკლებად სავარაუდოა, ამერიკელებმა მწვანე შუქი აუნთონ.

**— როდის შეიძლება, საქართველოს ხელისუფლებასა და ტრამპის ადმინისტრაციას შორის ღია კომუნიკაცია შედგეს და ამერიკასთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყოს?**

— საქართველოსთან მიმართებაში **ტრამპის** დუმილი უკვე ნიშნავს იმას, რომ იგი, ბაიდენის ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, საქართველოს პრობლემად არ მიიჩნევს! გარდა ამისა,

**საქართველოსთან მიმართებაში ცალსახად პოზიტიური სიგნალია ილონ მასკის განცხადება, რომლითაც მან კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიერ ოჯახის ყოველი მესამე და მომდევნო**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***






# უფროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო მიიტაცა, უმცროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას კი – კოდორი და ახალგორი!

ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში
George Herbert Walker Bush



აშშ-ის 41-ე პრეზიდენტი
თანამდებობაზე ყოფნის დრო
20 იანვარი, 1989 – 20 იანვარი, 1993

ჯორჯ უოკერ ბუში
George Walker Bush



აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი
თანამდებობაზე ყოფნის დრო
20 იანვარი 2001 – 20 იანვარი 2009

# რას ნიშნავს ტრამპის სიტყვები – „რუსეთმა მიიღო საქართველო“

***ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გასულ კვირას ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ 2008 წელს, უმცროსი ჯორჯ ბუშის მმართველობის დროს, „რუსეთმა მიიღო საქართველო“. როგორ უნდა გავიგოთ ტრამპის ეს ფრაზა და რას ნიშნავს „რუსეთმა მიიღო საქართველო“? ამერიკის პრეზიდენტის ნათქვამში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ 2008 წელს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა თუ ფორმულირებით — „რუსეთმა მიიღო საქართველო“ — ტრამპს კიდევ უფრო მეტის თქმა უნდოდა? იქნებ, არც ის არის უბრალო დამთხვევა, რომ ბოლო 35 წლის განმავლობაში, საქართველოში რუსეთის ორივე სამხედრო ინტერვენცია ამერიკაში მამა-შვილი ბუშების მმართველობის დროს მოხდა? ამ თემაზე საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილ უფროსს, პოლიტოლოგ პეტრე მამრაძეს ვესაუბრებით:***

— უმცროსი **ჯორჯ ბუში და ვლადიმერ პუტინი** ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. **ბუშმა** პუტინის პორტრეტიც კი დახატა და რუსეთის პრეზიდენტს საჯაროდ უსახსოვრა. 2001 წლის 11 სექტემბერს, როცა ნიუ-იორკში ტყუპი ცათამბჯენები ააფეთქეს, **პუტინი** მსოფლიო ლიდერებს შორის პირველი იყო, ვინც **ბუშს** დაურეკა და ტერორიზმთან ბრძოლაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა. პიროვნებამ, რომელიც მაშინ **ბუშისა და პუტინის** სატელეფონო საუბარს დაესწრო, პირადად მომიყვა, რომ რუსეთისა და ამერიკის ლიდერებმა საქართველოს შესახებაც ისაუბრეს.

**— 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ფონზე, ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები საქართველოს რა კონტექსტში შეეხნენ?**

— **პუტინმა** ბუშს უთხრა — იმედი მაქვს, გაგებით მოეკიდები იმას, რომ საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება მომიწევს! იგი გულისხმობდა პანკისის ხეობას, სადაც ჩეჩენი ბოევიკების კონცენტრაცია შეინიშნებოდა, თუმცა, ბუშმა პუტინს უთხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ საქართველო პანკისის ხეობაში ანტიტერორისტულ ოპერაციას თა-

***გაგრძელება მე-12 გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**ელიშერ გვენეტაძე**
*პოლიტოლოგი*



ამ პროტესტმა აჩვენა, რომ **საქართველოს დღევანდელი ოპოზიცია არის „მეხუთე კოლონა“,** რომელიც ასრულებდა, ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს უცხო ძალების დაკვეთას, რომ **საქართველო ჩააბან ომში.**

„რეზონანსი“

**კახა გოგოლაშვილი**
*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი*



**ტრამპი** აშშ-ის ისტორიაში შევა როგორც **ერთ-ერთი ულირსი, სამარცხვინო პრეზიდენტი,** მისი ფსიქიკური მდგომარეობა პროგრესირებს და **დიდხანს ვერ გაუძლებს საკუთარი სიბრიყვით გამოწვეულ სტრესულ სიტუაციებს.**

„აიპრესი“

**დავით დარჩიაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ტრამპს მილიარდები აქვს თვალებში დახატული** და ამის სანაცვლოდ მზად არის, **ავტორიტარულ ქვეყნებთან გარიგებაზე წავიდეს.**

„ახალი თაობა“

**ლაშა ძებისაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ამერიკა აღარ არის დასავლური სამყაროს დასაყრდენი ძალა.**

„კვირის პალიტრა“

დასაწყისი მე-11 გვერდზე

# პეტრე მამრაძე: 2008 წლის ომი იმის დადასტურება იყო, რომ ჯორჯ ბუშმა საქართველო რუსეთის გავლენის ზონად აღიარა!



ვად ჩაატარებდა, ამერიკა და რუსეთი კი ერთობლივად დაეხმარებოდნენ. ამით **ბუშმა** პუტინს მიანიშნა, რომ საქართველოს რუსეთის გავლენის ზონად არ აღიარებდა.

**— ჰქონდათ თუ არა ბუშსა და პუტინს ერთმანეთთან კომუნიკაცია საქართველოს საკითხზე, სანამ 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყებოდა?**

— ღია წყაროებში არსებული ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომამდე პუტინმა ბუშს დაურეკა და სააკაშვილის შესახებ გააფრთხილა — ჯორჯ, იცოდე, შენმა კლიენტმა რამე რომ გაბედოს, მე ზომებს მივიღებ! **ბუშის** პასუხი ასეთი იყო — ვლად, მე მას არ ვაქეზებ, პირიქით, ყოველთვის ვაჩერებ და ვეუბნები, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არაფრის გაკეთება არ შეიძლება! **პუტინმა** უთხრა — მე მჯერა შენი, მაგრამ სააკაშვილი მაშინ გირეკავს, როცა მოუნდება, შენ კი ყოველთვის პასუხობ, რის გამოც იგი მიიჩნევს, რომ მისი მფარველი ხარ და ამიტომ ბევრი რამის უფლება აქვს!

**— 2008 წლის აგვისტოს ომის მთავარ მიზეზად მიჩნეულია იმავე წლის 2-4 აპრილს ბუქარესტში, ნატო-ს სამიტზე მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ უკრაინა და საქართველო ალიანსის წევრები გახდებოდნენ! რა პოზიცია ჰქონდა მაშინ ნატო-ს მთავარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია მართავდა?**

— ბუქარესტის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ნატოს მაშინდელი გენერალური მდივანი **იაპ დე ჰოოპ სხეფერი** ვაშინგტონში ჩავიდა, სადაც აშშ-ის სახელმწიფო მდივან **კონდოლიზა რაისსა** და თავდაცვის მდივან **რობერტ გეიტსს** შეხვდა. მათ ნატო-ს ხელმძღვანელს უთხრეს — **პრეზიდენტი ბუში** დავარწმუნეთ, რომ საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ეს რუსეთს გააღიზიანებსო! სხეფერმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მეორე დღეს მას პრეზიდენტმა ბუშმა უთხრა — წუხელ ნახევარი ღამე არ დამეძინა იმაზე ფიქრში, რომ საქართველო და მისი ახალგაზრდა ლიდერი **მაპ**-ს იმსახურებენ, სამიტზე ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ საქართველომ **მაპ**-ი მიიღოსო!

**— გამოდის, რომ უპასუხისმგებლობასა და არასერიოზულობაში ბუში თვით სააკაშვილსაც არ ჩამოუვარდებოდა?**

— ვინაობას არ დავასახელებ, მაგრამ ერთმა ცნობილმა ამერიკელმა, რომელიც ბუშს ახალგაზრდობიდან იცნობდა, სააკაშვილი კი თბილისში მუშაობისას გაიცნო, ერთხელ მითხრა: ორი მონათესავე სულისა და ფსიქიკის ტიპმა — **ბუშმა და სააკაშვილმა** ერთმანეთი იპოვაო!

2008 წლის აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე, **პუტინმა** ბუში სოჭში, თავის რეზიდენციაში დაპატიჟა, სადაც რუსეთის მომავალი პრეზიდენტი მედვედევიც იმყოფებოდა. როგორც რუსეთის პრეზიდენტის პროტოკოლის უფროსი ყვებოდა, **პუტინმა, ბუშმა და მედვედევმა** სოჭში კარგად მოილხინეს და კოცონის გარშემო ცნობილი სლავური „კაზაჩოკიც“ კი იცეკვეს.

მაშინ სოჭის რეზიდენციაში **პუტინმა** ბუშს კიდევ ერთხელ უთხრა — **თუ სააკაშვილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით რამეს მოიმოქმედებს, მე მას გავანადგურებ!** ბუშმა პუტინის სიტყვებს დუმილით უპასუხა, რაც დიპლომატიური ეტიკეტის მიხედვით, თანხმობად აღიქმება.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 17 აპრილს პრეზიდენტმა ბუშმა საქართველოში აშშ-ის მაშინდელი ელჩის **ჯონ ტეფტის** ხელით სააკაშვილს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც აფრთხილებდა — რუსეთმა პროვოკაციაც რომ მოგიწყოს, არ წამოეგო, თორემ იცოდე, ჩვენ არ დაგეხმარებით და მარტო დარჩებიო! ამ წერილით ბუშმა ევროპელი ლიდერების თვალში






ჯორჯ ბუში (უფროსი) და ედუარდ შევარდნაძე

ალიბი შეიქმნა და ხელი წინასწარ დაიბანა — თუ ომი მოხდა, მე არაფერ შუაში ვარ, სააკაშვილს ვაფრთხილებდი, მაგრამ არ დამიჯერაო!

**— სინამდვილეში, ბუშის ადმინისტრაცია იჩენდა თუ არა საკმარის ძალისხმევას იმისათვის, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი არ მომხდარიყო?**

— 2008 წლის 9 თუ 10 ივლისს, ესე იგი, ომამდე ერთი თვით ადრე, თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **კონდოლიზა რაისი** ჩამოვიდა და სააკაშვილს სასტუმრო „კოპალაში“ შეხვდა. ვინც შეხვედრას ესწრებოდა, იმ პიროვნებისაგან ვიცი, რომ რაისმა ერთ მომენტში ხმას აუწია, თითქმის ყვირილზე გადავიდა და სააკაშვილს ერთსა და იმავე ფრაზას უმეორებდა — **თუ ომი მოხდება, ჩვენ აქედან გავალთ და შენ მარტო დარჩები!**

თუმცა, მეორე დღეს, ერთობლივ პრესკონფერენციაზე **კონდოლიზა რაისმა** სააკაშვილს მიმართა — **ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო ინსტრუმენტია თქვენი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადო!**

რა უნდა გედოს თავში, რომ რუსეთის გასაგონად ასეთი რამ თქვა? **კონდოლიზა რაისის** ეს განცხადება, საქართველოსთვის, ფაქტობრივად, ომის განაჩენი იყო და სულ რაღაც ერთ თვეში მოხდა კიდეც ომი!

**— ანუ ბუშის ადმინისტრაცია სააკაშვილს თან აფრთხილებდა — ომი არ გაბედოო და თან ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს ომი მომხდარიყო?**

— დიახ, სწორედ ასე გამოვიდა და სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ბუშის ადმინისტრაციამ ეს შეგნებულად გააკეთა თუ შეუგნებლად!

**— რუსეთ-საქართველოს ომი ბუშის ადმინისტრაციის ინტერესებში შედიოდა?**

— პირიქით, 2008 წლის აგვისტოს ომი ამერიკისათვის კატასტროფის ტოლფასი იყო! წარმოიდგინეთ, რუსეთი საქართველოში სამხედრო ძალით შემოიჭრა, ამერიკამ კი მის შესაჩერებლად თითიც არ გაანძრია, რაც იმის ფაქტობრივი დადასტურება გახლდათ, რომ ბუშმა საქართველო რუსეთის გავლენის ზონად აღიარა!

საერთოდ, **ჯორჯ ბუშ უმცროსმა** თავისი პოლიტიკური იდიოტობითა და სიბეცით, მათ შორის, ერაყში შეჭრით, მთელ მსოფლიოს კატასტროფა მოუტანა და საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურა დაანგრია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **უმცროსი ბუშის** სიბრიყვით გამოწვეული კატასტროფის შედეგებს მსოფლიო დღემდე იმკის!

**— რისი თქმა შეგიძლიათ უფროს ჯორჯ ბუშზე, იგივე მამა ბუშზე, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტი იყო მაშინ, როცა რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია მოახდინა?**

— დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ **მამა ბუში** შვილის სრული ანტიპოდი იყო — ფრთხილი პოლიტიკოსი, რომელიც ნაბიჯს არ გადადგამდა ისე, თუ გარანტია არ ექნებოდა, რომ ეს ამერიკისათვის სასარგებლო იქნებოდა!

რაც შეეხება აფხაზეთის ომს, მაშინ **ელცინის ხელისუფლებას** უფროსი **ბუშის ადმინისტრაციისაგან** სრული კარტბლანში ჰქონდა. გეკაჩეპეს პუტჩის შემდეგ ამერიკა **ელცინს** თვალისჩინივით უფრთხილდებოდა იმის შიშით, რომ რუსეთში საბჭოთა დიქტატურა არ დაბრუნებულიყო.

აფხაზეთში ომი რომ დაიწყო,

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



**ზელენსკის** ადმინისტრაცია **დაღუპული უკრაინელების რაოდენობას მკაცრად ასაიდუმლოებდა, ტრამპმა** კი პირდაპირ უთხრა — **სატელიტიდან კარგად ვხედავთ დაღუპულ ჯარისკაცებს და მათ რაოდენობასაც ვითვლითო.** ამით ხაზი გაუსვა, რომ **უკრაინას აღარ ჰყავს გასაწვევი ჯარისკაცები,** ამიტომ იძულებულია, ჯარში **18 წლის ბავშვები გაიწვიოს და ისინი საზარბაზნე ხორცად გაწიროს.**

„საერთო გაზეთი“

**ნიკა ჩიტაძე**
*ექსპერტი*



**სანქციები თუ გამკაცრდება,** „ოცნება“ **ვადამდელ არჩევნებს** დანიშნავს.

„ახალი თაობა“

**ზაზა ბიბილაშვილი**
*„ჭავჭავაძის ცენტრის“ დამფუძნებელი*



**სანქციებმა დაიგვიანა,** მან ვეღარ მოიტანა ეფექტი.

„რეზონანსი“

**კახა კახიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



უკრაინის ომის შედეგი — **ასიათასობით მოკლული ადამიანი, დაკარგული ტერიტორიები, აღარც ნატო, აღარც ევროკავშირი და ეს იმიტომ, რომ ერთმა უჭკუო, გამყიდველმა და უცხო ქვეყნის აგენტმა** გადაწყვიტა გეოპოლიტიკურ თამაშებში ჩართვა.

„რეპორტიორი“

**გიორგი გუგავა**
*ლიბერტარისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**ბევრ პოლიტიკოსს ცხვირი გარეთ გამოსაყოფი არ აქვს.**

„ახალი თაობა“

**პრეზიდენტმა ბუშმა** შევარდნაძეს პირდაპირ უთხრა — ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ ჰუმანიტარული დახმარება გამოგიგზავნოთ, პოლიტიკური და, მითუმეტეს, სამხედრო თვალსაზრისით კი ვერაფერს გიშველითო!

შევარდნაძემ, რომელიც **ბუშის** მეგობარი იყო, თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ აფხაზეთში რუსეთის შესაჩერებლად ამერიკა არაფერს იღონებდა და გვეუბნებოდა კიდეც, რომ ამის იმედი არ უნდა გვქონოდა.

**— ესე იგი, რუსეთი და ამერიკა საქართველოს გამო ერთმანეთის ტყავს არასოდეს ხევდნენ და არც არასდროს დახევენ?**

— 1991 წლის მარტში თბილისში ჩამოსულ




აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს **რიჩარდ ნიქსონს** საქართველოს პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** უთხრა — ამერიკა საბჭოთა კავშირის დაშლაზე არ უნდა გაჩერდეს და მის ადგილას დარჩენილი ბოროტების აკვანი — რუსეთიც უნდა დაშალოსო, რაზეც ნიქსონმა უპასუხა — შეერთებული შტატები და, ზოგადად, დასავლეთი საქართველოს გამო რუსეთთან არათუ არ იომებს, არამედ ურთიერთობასაც არ გაიფუჭებსო!

**— ტრამპის მიერ თეთრი სახლიდან გამოგდების შემდეგ, ალბათ, ზელენსკიც მიხვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინის გამო რუსეთთან არათუ არ იომებს, არამედ ურთიერთობასაც არ გაიფუჭებს!**

— **პრეზიდენტმა ტრამპმა და ვიცე-პრეზიდენტმა ვენსმა** ზელენსკის სრული ლუსტრაცია მოახდინეს და მსოფლიოს აჩვენეს, რომ მას მშვიდობა კი არა, ომი უნდა!

ძნელი წარმოსადგენია, **სააკაშვილზე** უარესი დედამიწის ზურგზე ვინმე არსებობდეს, მაგრამ, თუ მაინც არსებობს, ეს სწორედ **ზელენსკია!**

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***



***უპრეცედენტო ეკონომიკური ზეწოლის წინაშე მდგარი საქართველო იძულებულია, განვითარების ალტერნატიული გზები მოძებნოს და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობები გააძლიეროს.***




# რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის გარეშე საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია!

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ქართულ-რუსული თანამშრომლობის პოტენციალი,** რომელიც, პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, პოზიტიურ მაგალითებს აჩვენებს, განსაკუთრებით — ტურიზმის სფეროში. სწორედ ეს შეიძლება, გახდეს საქართველოში მრეწველობის, ენერგეტიკის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და, ზოგადად, ქართული ეკონომიკის განვითარების საფუძველი.

საქართველოში რუსი ტურისტების ნაკადი, დაძაბული პერიოდების მიუხედავად, სტაბილურად იზრდება. მაგალითად, 2023 წელს ჩვენი ქვეყანა მილიონზე მეტმა რუსმა ტურისტმა მოინახულა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 40 პროცენტით აღემატებოდა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 800 მილიონი დოლარით გაამდიდრა. **რუსეთ-საქართველოს ტურისტული ურთიერთობის წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, თვითმფრინავით მგზავრობას 2 საათზე ნაკლები დრო სჭირდება და თანაც, რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლა უვიზოდ შეუძლიათ. ამასთან, კულტურულ-ისტორიული კავშირებისა და საერთო მემკვიდრეობის გამო, ქართველები და რუსები ერთმანეთთან მარტივად ამყარებენ კომუნიკაციას.**

რუსეთ-საქართველოს წარმატებული ტურისტული თანამშრომლობა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ინტერესების წყალობით, **„სტაბილურობის კუნძულების“ შექმნა შესაძლებელია მაშინაც კი, როცა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური განხეთქილება არსებობს.**

საქართველოს შეუძლია, რუსეთთან თანამშრომლობის გზით, ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიკაცია მოახდინოს. მართალია, არსებობს აზერბაიჯანული და თურქული ალტერნატივები, მაგრამ რუსული გაზი და ნავთობი, ფასის თვალსაზრისით, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელია.

ქართული ჰიდროენერგეტიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რუსული ტექნოლოგიების დანერგვა. აგრეთვე, შესაძლებელია საქართველოს პორტებისა და მილსადენების გამოყენება რუსეთის ენერგორესურსების სხვა ქვეყნებში ექსპორტისათვის. **ყოველივე ეს საქართველოში ენერგოდეფიციტის რისკებს შეამცირებს და ენერგეტიკულ სექტორში სერიოზულ ინვესტიციებს მოიზიდავს.**

საქართველოს, რომელსაც კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, შეუძლია, გაზარდოს საკუთარი ტრანზიტული როლი თურქეთის, ირანისა და ინდოეთის მიმართულებით რუსული ტვირთების გადაზიდვაში.

დღეის მდგომარეობით, საქართველოდან რუსეთში ტვირთების სახმელეთო გადაზიდვა აქტიურად იზრდება, ხოლო ფოთისა და ბათუმის პორტების გავლით რუსული კონტეინერები ევროკავშირის ქვეყნებში შედის. **ქართული ეკონომიკის წინსვლისათვის საჭიროა სატრანსპორტო კვანძების სიმძლავრის გაზრდა, საქართველოსა და რუსეთის მიერ ერთობლივი ლოჯისტიკური კომპანიების შექმნა და საერთაშორისო სავაჭრო დერეფნებში ინტეგრაცია.**

დღეს საქართველო რუსეთში, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტს აწარმოებს, მაგრამ არსებობს პოტენციალი, რომ შეიქმნას **ქართულ-რუსული ერთობლივი საწარმოები მსუბუქ მრეწველობაში,** მაგალითად, დაიწყოს ტექსტილისა და ფეხსაცმლის წარმოება ქართული დიზაინითა და რუსული ტექნოლოგიების გამოყენებით. **ასევე შესაძლებელია სამშენებლო მასალების ერთობლივი წარმოება პოსტკონფლიქტური რეგიონების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ინფრასტრუქტურის აღსადგენად.** 150-მილიონიან რუსულ ბაზარზე წვდომა საქართველოში სერიოზულად განავითარებს ფარმაცევტულ წარმოებასაც.

რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში გარკვეულ შიშებს იწვევს. **არსებობს წარმოდგენა, რომ ენერგეტიკისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით რუსეთს საქართველოზე ზეწოლის დამატებითი ბერკეტები გაუჩნდება, რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოს ევროკავშირთან და აშშ-თან ურთიერთობას გაუფუჭებს და ა.შ.**

**ამ რისკების მინიმუმამდე დასაყვანად აუცილებელია, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები ერთმანეთისაგან მკაცრად გაიმიჯნოს, საქართველოსა და რუსეთს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური პროექტები მესამე ქვეყნების, მაგალითად, ჩინეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მონაწილეობით ამუშავდეს და დაიდოს გამჭვირვალე კონტრაქტები საერთაშორისო აუდიტის ჩართულობით.**

ყოველივე ეს მარტივად შესაძლებელია, თუ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე მაღლა პრაგმატიზმი დადგება.

**რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის გარეშე საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ტერიტორიული გამთლიანება შეუძლებელია!**

## ეკონომიკური ინტერესების წყალობით, „სტაბილურობის კუნძულების“ შექმნა შესაძლებელია მაშინაც კი, როცა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური განხეთქილება არსებობს!

### კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**სავიზო სანქციები** მეტყველებს იმაზე, **როგორი უნიათოები არიან ბალტიის ქვეყნების პოლიტიკოსები,** რომლებიც, რა თქმა უნდა, **ევროკავშირთან შეთანხმებით მოქმედებენ.**

„რეზონანსი“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



თუ ოპოზიციას იმის იმედი აქვს, რომ **„ოცნება“ თავისით ჩაალაგებს ჩემოდნებს და სადღაც გაფრინდება,** ძალიან სასაცილოა. ოპოზიცია უნდა მიხვდეს, რომ **ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაა საჭირო.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ევროპა ოპოზიციას **თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მოსთხოვს.** ოპოზიციისთვის თვითმმართველობის არჩევნებზე **უარის თქმა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს.**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი კაკაბაძე**
*პარლამენტარი*



**ბალტიისპირეთის ქვეყნების სანქციები** არის საქართველოს წინააღმდეგ **ჰიბრიდული ომი.**

„პირველი არხი“

*მას შემდეგ, რაც უკრაინის ვადაგასულ პრეზიდენტ ზელენსკის თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში, მთელი მსოფლიოს დასანახად, მონიკა ლევინსკი უქნეს, საერთაშორისო პოლიტიკაში დუღილის ტემპერატურამ კიდევ უფრო აიწია. რით დამთავრდება ევროკავშირში ანტიტრამპისტული კოალიციის შეკოწიწების მცდელობა და როგორ აისახება საქართველოზე ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს ვესაუბრებით:*




# მაია ნიკოლეიშვილი:
# საქართველომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგი!

— რასაც **პრეზიდენტი ტრამპი და მისი ადმინისტრაცია** აკეთებენ, ამას შეიძლება, ამერიკული „პერესტროიკა“ ვუწოდოთ, ოღონდ, გორბაჩოვისეულ „პერესტროიკას“ ლიბერალ-გლობალისტების აღზევება მოჰყვა, ტრამპისეული „პერესტროიკა“ კი, პირიქით, ლიბერალ-გლობალისტების პოლიტიკურ განადგურებას ისახავს მიზნად! ***(გორბაჩოვისეულ „პერესტროიკას“ ზუსტად 40 წლის წინათ, 1985 წლის 11 მარტს დაედო დასაბამი, როდესაც წინა დღეს გარდაცვლილი ჩერნენკოს ადგილზე გორბაჩოვი მოვიდა. რედ.).***

ისიც აშკარაა, რომ დღეს ლიბერალ-გლობალისტების უკანასკნელ ნავსაყუდელს ევროპა წარმოადგენს, სადაც ორი კოლონიალისტური სახელმწიფოს — დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მეთაურობით, ანტიტრამპისტული კოალიცია ყალიბდება.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ევროკავშირის დღევანდელი ბიუროკრატია ტრამპის მტერია?**

— **პრეზიდენტ ტრამპსა და მის ადმინისტრაციას** ამერიკის დემოკრატიულ პარტიაზე დიდი მტერი არ ჰყავთ, ევროკავშირის ბიუროკრატია კი სწორედ დემოკრატიული პარტიის, ანუ ლიბერალ-გლობალისტების მარიონეტია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლიბერალ-გლობალისტების სახით ამერიკასა და რუსეთს ერთი ძალა უპირისპირდება, აბსოლუტურად სწორია **ტრამპის** გათვლა, ამ იდეოლოგიურ ომში რუსეთი თანამებრძოლად გაიხადოს. შეიძლება ითქვას, დღეს **ტრამპის ამერიკა და პუტინის რუსეთი** სიტუაციური მოკავშირეები არიან.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის, ისტორიულად, დიდი მტრობა არასოდეს ყოფილა. მეტიც, ისინი კრიზისულ სიტუაციებში ყოველთვის საერთო ენას პოულობდნენ და ორივე მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ.

**— როგორ ფიქრობთ, მოახერხებენ ამერიკა და რუსეთი საერთო ენა უკრაინის საკითხთან დაკავშირებითაც გამონახონ და ომი დაასრულონ?**

— ფაქტია, რომ **ტრამპმა** მსოფლიო პოლიტიკაში ახალი სტილი შემოიტანა — ხისტად მოქმედებს და პრობლემების გადაჭრას მაგიდაზე მუშტის დარტყმით ცდილობს! ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც **ზელენსკისადმი** დამოკიდებულება, როცა მას თეთრი სახლიდან დაუძახეს: **ჰეი, ბიჭუნავ, მოდი და მოაწერე ხელი, გააკეთე, რასაც გეუბნებიან!**

თუ ტრამპის ეს პოლიტიკა გაამართლებს, მაშინ საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა მთლიანად შეიცვლება და სხვა დიდი მოთამაშეებიც ძალის დემონსტრირებით შეეცდებიან თავიანთი ინტერესების გატარებას. სანამ ეს მომხდარა, საქართველომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის პროცესი, თორემ მერე არავინ არაფერს შეგვეკითხება და მოსკოვიდან თითის ქნევით დაგვიძახებენ: **ჰეი, ბიჭუნავ, აბა, ერთი ჩამოდი და ხელი მოგვიწერე!**

**— როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება იმ ფონზე, როცა ქართველი საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრისა და მედიის ნაწილი რუსოფობიითა და ანტირუსული ისტერიით არის შეპყრობილი?**

— ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, გლობალისტურმა ძალებმა სერიოზული ძალისხმევა და დიდძალი ფული დახარჯეს იმისათვის, რომ ქართველ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობები გაეძლიერებინათ, რასაც, სამწუხაროდ, მიაღწიეს კიდეც. თუმცა, რუსეთისადმი სიძულვილს საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია და რომ გვეგონა, საბჭოთა კოლონიზაციისაგან გავთავისუფლდით, სინამდვილეში, კიდევ უფრო უარეს კოლონიად ვიქეცით.

ინფანტილიზმს თუ მოვიშორებთ და ცივი გონებით განვსჯით, მაშინ იმის დანახვასაც შევძლებთ, რა სარგებელი მოაქვს საქართველოსთვის რუსეთის მეზობლობას. მაგალითად, **დღეს აჭარა საქართველოს ნაწილი რომ არის, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ფაქტორის დამსახურებაა! დიახ, ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერიდებით, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა!**

ჩვენ გვერდით რუსეთის არსებობა ძალიან დიდ როლს თამაშობს იმაშიც, რომ ლიბერალ-გლობალისტებმა ბოლომდე ვერ გადაგვიარეს. როგორ ფიქრობთ, რატომ ჩაფლავდა საქართველოში არეულობისა და ხელისუფლების დამხობის მცდელობა, რისთვისაც **იუსაიდის, ნედისა** და სხვა დასავლური ფონდების მიერ ათეულობით მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი? **რა თქმა უნდა, საქართველოს უშიშროების სამსახურებმა უმაღლეს დონეზე იმუშავეს, მაგრამ მათ სახელმწიფო გადატრიალების აღკვეთაში მეზობელი ქვეყნების — რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურებიც სერიოზულად დაეხმარნენ!**

**— როგორც საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, ევროკავშირში ანტიტრამპისტული კოალიცია ჩამოყალიბდა... ვისი გამარჯვებით დასრულდება ეს ბრძოლა და როგორი გავლენა ექნება საქართველოზე?**

— პოლიტიკურად კასტრირებული ევროკავშირის ნანგრევებზე ახალი ტიპის გაერთიანება ჩამოყალიბდება, რომლის ცენტრშიც ორბანი და სხვა კონსერვატიული ძალები დადგებიან! ეს იქნება **ავსტრო-უნგრეთის ყოფილი იმპერიის ადგილას ფორმირებული ნამდვილი ევროპა,** რომელიც ინტეგრირდება ჩინეთის ეპოქალურ პროექტში — **„ერთი გზა, ერთი სარტყელი“.**

ამ ყველაფრის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკამ ბრწყინვალედ იმუშავა და სასტიკ გეოპოლიტიკურ ქარიშხალში საქართველოს არამხოლოდ სახელმწიფოებრიობა შეუნარჩუნა, არამედ სუვერენიტეტის ხარისხიც გაუზარდა!

**— თქვენი აზრით, როდის შედგება ღია კომუნიკაცია საქართველოს ხელისუფლებასა და ტრამპის ადმინისტრაციას შორის?**

— **ტრამპს,** რომელიც ლიბერალ-გლობალისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული, ჯერ საქართველოსთვის ნამდვილად არ სცხელა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუნდაც **ორბანის** მეშვეობით ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება მის იდეოლოგიასა და პოლიტიკასთან სრულ თანხვედრაშია. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როდის შედგება ღია კომუნიკაცია „ქართულ ოცნებასა“ და **ტრამპის** გუნდს შორის, მთავარია, რომ **ბიძინა ივანიშვილის** გონივრული გათვლების წყალობით, საქართველო სწორ მხარეს აღმოჩნდა!







*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



ახლა თუ წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა და **როგორი ტონალობით ლაპარაკობდნენ „ომის პარტიის“ ემისრები ჩვენი მთავრობის კაბინეტებში, განსაკუთრებით რა გაიარა ივანიშვილმა?** ახლა კიდევ უფრო მეტად დავაფასე **ივანიშვილის** და, საერთოდ, მთავრობის საქციელი.

„აიპრესი“

**ბესიკ ალადაშვილი**
*ა/ო „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე*



2019 წლის მაისში **უკრაინის პრეზიდენტად შოუმენისა და მსახიობის არჩევა პუტინისთვის დიდი საჩუქარი იყო.**

„კვირის პალიტრა“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**სამშობლოს ღალატი ყველაზე მძიმე დანაშაულია** არამხოლოდ სამართლებრივ ჭრილში, არამედ **მორალის, ეთიკისა და ისტორიის თვალსაზრისითაც.**

„რეზონანსი“

**ლევა ხაბეიშვილი**
*ოპოზიციური პარტიის წევრი*



**პროტესტმა უნდა გადაინაცვლოს რეგიონებში,** დიდ ქალაქებში. მუდმივი საუბარი იმის შესახებ, რომ **ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს, რაღაც ერთიანი სიები უნდა იყოს** და ა.შ. ეს ოპოზიციას არაფერს კარგს არ მოუტანს.

„ახალი თაობა“

**ლელი მოროშკინა**
*პოლიტოლოგი, პროფესორი*



მორჩა, **ოპოზიცია თავიდან ბოლომდე გაკოტრებულია.** ქათამს თავს რომ მოკვეთ და **ცოტა ხანი კიდევ ფართხალებს,** აი, ამ მდგომარეობაში არიან.

„საერთო გაზეთი“

# გენერალისიმუსი

№10 (306) ★ 2025 წლის 10 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

იოსებ სტალინი

## ზუსტად 40 წლის წინათ, 1985 წლის 10 მარტს, გარდაიცვალა ჩერნენკო და მეორე დღესვე საბჭოთა კავშირის სათავეში გორბაჩოვი მოვიდა თავისი ჩერნობილებით, შევარდნაძეებითა და 9 აპრილებით!



*გაზეთის დღევანდელი ნომრის გამოსვლამდე ზუსტად 40 წლით ადრე,* ***1985 წლის 10 მარტს,*** *73 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოსწინა გენერალური მდივანი* ***კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო,*** *რომელიც ამ პოსტს, სულ რაღაც, 13 თვე —* ***1984 წლის 13 თებერვლიდან*** *იკავებდა.*



ეგრეთ წოდებულ **ბარაქიან დასაფლავებათა ხანაში,** რომელიც **1982 წლის 10 ნოემბერს** 75 წლის ასაკში მყოფი **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** გარდაცვალებით დაიწყო და **1984-ის 9 თებერვალს** 69 წლის მძიმე ავადმყოფის **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის** კვდომით დაგვირგვინდა, ზედიზედ სამი გენსეკი მიჰყვა ერთმანეთს, რათა საბჭოეთის მთავარ პოლიტიკურ ქანდარაზე **1985 წლის 11 მარტიდან** 1991 წლის 24 აგვისტომდე 54 წლის ტყლიპიანი ბოროტმოქმედი **მიხეილ სერგეევიჩ გორბაჩოვი** და მისი აბეზარი კნეინა **რაისა მაქსიმოვნა ტიტარენკო** წამომჯდარიყვნენ.

**კონსტანტინე ჩერნენკო ბრეჟნევთან** უაღრესად დაახლოებული პირი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, მოლდავეთის კომპარტიის ცეკაში ლეონიდ ილიას ძის პირველმდივნობის პერიოდიდან. დროთა განმავლობაში ის ბრეჟნევისათვის გაუცრელი ფიგურა გახდა, პირადად აკონტროლებდა მისთვის განკუთვნილ წერილებს და უკვე ცეკას მდივნის რანგში აბსოლუტურად ფლობდა პარტიული ნომენკლატურისა და კრემლის კულისების ყველა ნიუანსს. **ბრეჟნევთან** ერთად ზავიდოვოში ნადირობის უფლება მისი მხრიდან ჩერნენკოსადმი ნდობის უმაღლესი გამოხატულება იყო, ამიტომაც სამართლიანად ითვლებოდა **ლეონიდ ილიას ძის** შესაძლო შემცვლელად, თუმცა, კრიტიკულ მომენტში მას კაგებეს ტალანებში გამობრძმედილმა **ანდროპოვმა** აჯობა და ბრეჟნევის სავარძელში მოკალათებულმა სნეულმა ლამის საავადმყოფოდან მართა ქვეყანა, სულ რაღაც, 15 თვის მანძილზე.

და აი, 1984 წლის 13 თებერვლიდან **ჩერნენკოც** გაგენერალმდივანდა, მაგრამ ჯერ კიდევ წინა წლის აგვისტოში შებოლილი თევზით მოწამლულმა, რომელიც მას საბჭოთა სუკის ხელმძღვანელმა **ვიტალი ფედორჩუკმა** გამოუგზავნა, ვეღარ შეძლო ქვეყნის მართვა და ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სარეცელს მიეჯაჭვა. თითქოს ტრადიცია დამკვიდრდა: **სწორედ საავადმყოფოში გაატარა ჩერნენკომ თავისი მმართველობის პერიოდი, სადაც პოლიტბიუროს სხდომებიც გამართულა და არჩევნებიც.**

**ჩერნენკოს** პერიოდში საგრძნობლად შესუსტდა **ანდროპოვისეული შიშიანობის სინდრომი** — ადამიანებს სამუშაო საათებში აბანოებსა და კინოთეატრებში აღარ იჭერდნენ. შეწყდა ე.წ. „ბრილიანტების საქმე“ და საშინაო პატიმრობა მოეხსნა **ლეონიდ ბრეჟნევის** ქალიშვილ **გალინას,** მაგრამ ზოგიერთი ხმაურიანი საქმე ბოლომდე იქნა მიყვანილი — დაიხვრიტა საბჭოეთის №1 გასტრონომის, ე.წ. „ელისეევსკის“ დირექტორი **იური სოკოლოვი,** რომელიც ჯერ კიდევ **ანდროპოვმა** წამოაგო ანკესზე; თავი მოიკლა ასევე **ანდროპოვის** მიერ მხილებულმა შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრმა **ნიკოლაი შჩოლოკოვმა.**

ბევრისათვის უცნობია, რომ სწორედ **ჩერნენკოს** პერიოდში შემუშავდა **იოსებ სტალინის სრული პოლიტიკური რეაბილიტაციის გეგმა,** რომლის განხორციელებაც 13-თვიან გენსეკს არ დასცალდა.

**ჩერნენკოს** მმართველობის ჟამს, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის საპასუხოდ, საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

საგულისხმოა, რომ **ჩერნენკომ** სკკპ რიგებში აღადგინა 94 წლის **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მასზე 21 წლით უფროსი იყო, **კონსტანტინე უსტინის ძეზე** წლინახევრით მეტი იცოცხლა და 1986-ში მიიცვალა. **მოლოტოვის** რეაბილიტაციის შესახებ საჯარო განცხადება თავად **ჩერნენკომ** გააკეთა, რამაც ხალხში შვა ხუმრობა **— თავის შემცველს იმზადებსო.** მომაკვდავ გენსეკს საავადმყოფოში გადაეცა უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ პალატაში საგანგებოდ მოწყობილი საარჩევნო უბნის დეკორაციის ფონზე ძლივს ამოღერღა ორიოდე დაზეპირებული სიტყვა: **„Спасибо полагается!“**

**კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო** დაასაფლავეს **1985 წლის 13 მარტს, 13 საათზე, წითელ მოედანზე.** იგი გახლდათ უკანასკნელი გენსეკი, რომელიც კრემლის კედელმა ჩაიკრა გულში.

**ზუსტად 40 წლის წინათ ჩერნენკოს** გარდაცვალებით დამთავრდა საბედისწერო ხუთწლედი, როდესაც **ბრეჟნევის** პოლიტბიუროს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბარდა გამჩენს და უკვე მეორე დღიდან, **1985 წლის 11 მარტიდან,** უმაღლეს პარტიულ პოსტზე საბჭოთა კავშირის დამანგრეველი **გორბაჩოვი** მოვიდა **თავისი ჩერნობილებით, შევარდნაძეებითა და 9 აპრილებით.**

## ★ პერესტროიკის ორმოცი



**სწორედ ჩერნენკოს პერიოდში შემუშავდა იოსებ სტალინის სრული პოლიტიკური რეაბილიტაციის გეგმა, რომლის განხორციელებაც 13-თვიან გენსეკს არ დასცალდა.**

**ჩერნენკომ სკკპ რიგებში აღადგინა 94 წლის ვიაჩესლავ მოლოტოვი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მასზე 21 წლით უფროსი იყო, კონსტანტინე უსტინის ძეზე წლინახევრით მეტი იცოცხლა და 1986-ში მიიცვალა**

***სტალინის გარდაცვალებიდან ზუსტად 72 წლის შემდეგ ვაშინგტონში 2025 წლის 4 მარტს, 21:19 საათიდან, ხოლო საქართველოში — 2025 წლის 5 მარტის 06:19 საათიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 100-წუთიანი სიტყვით მიმართა კონგრესს.***




# ამერიკა

**ამერიკის კონგრესის წევრებო და ჩემო თანამოქალაქენო!** დიდი მადლობა თქვენ... **ამერიკა დაბრუნდა!** *(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. რესპუბლიკელი კონგრესმენები ფეხზე დგებიან და აპლოდირებენ, გამომსვლელის მხრიდან მარჯვნივ მსხდომი დემოკრატები პროტესტის ნიშნად დუმან).*

4 კვირის წინათ მე ვიდექი კაპიტოლიუმის გუმბათის ქვეშ და გამოვაცხადე **ამერიკის ოქროს ხანის** დაწყება. მას შემდეგ წუთით არ შევჩერებულვართ, რათა გაგვეხადა ჩვენი ქვეყანა ყველაზე დიადი და წარმატებული ისტორიაში. 43 დღეში ჩვენ მივაღწიეთ გაცილებით მეტს, ვიდრე ეს შეძლო ადმინისტრაციების უმრავლესობამ 7-8 წლის მანძილზე. და ამ ყველაფერს ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

დღეს მე ვბრუნდები ამ დარბაზში, რათა გამცნოთ, რომ ამერიკა კვლავ მოქმედებაშია, ჩვენი სული დაბრუნდა, ჩვენი სიამაყე დაბრუნდა, ჩვენი თავდაჯერებულობა დაბრუნდა! და ამერიკული ოცნებაც გახდება უფრო ძალუმი და უკეთესი, ვიდრე აქამომდე ***(ტაში)***. ასეთი რამ ჯერ არასოდეს ყოფილა! ***(ტაში).***

5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები იყო უპრეცედენტო უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ჩვენ მოვიგეთ შვიდივე მერყევ შტატში და მივიღეთ ამომრჩეველთა კოლეგიის 312 ხმა ***(რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან და სკანდირებენ. გაისმის დემოკრატთა საპროტესტო რეპლიკები, მათი მხრიდან განსაკუთრებით აქტიურობს კონგრესმენი გრინი ტეხასის შტატიდან).***

ახლა პირველად თანამედროვე ისტორიაში გაცილებით მეტ ამერიკელს სჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მიდის სწორი გზით. ეს გასაოცარი რეკორდია — უპირატესობა მთელი 27 პუნქტით! *(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან, დემოკრატი* ***კონგრესმენი გრინი*** *განაგრძობს პროტესტს და იქნევს ხელჯოხს).*

სხდომის თავმჯდომარე გამოხატავს პროტესტს დარბაზში წარმოქმნილი უწესრიგობის გამო და აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მართლწესრიგის დაცვის სერჟანტს მიეცემა განკარგულება ვითარების ნორმალიზაციისათვის ***(რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან და უკმაყოფილო სახეებით უმზერენ დემოკრატებს. სხდომის თავმჯდომარე მოუწოდებს კონგრესმენ გრინს, დაიკავოს თავისი ადგილი).*** რამდენიმე წამში კონგრესის წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელმა სპიკერმა **მაიკ ჯონსონმა** მოითხოვა **კონგრესმენ გრინის** გაძევება დარბაზიდან. ამის თაობაზე იგი მიმართავს უფლებამოსილ პირს და პროტესტანტი გარეთ გაჰყავთ.

**დონალდ ტრამპი მოხსენებას განაგრძობს:**

ბოლო 6 კვირის მანძილზე მე ხელი მოვაწერე თითქმის 40 ბრძანებას და განვახორციელე 400-ზე მეტი კონკრეტული ქმედება. ეს რეკორდია, რათა აღდგეს საღი აზრი, უსაფრთხოება, ოპტიმიზმი და კეთილდღეობა მთელ ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში. ხალხმა ამ სამუშაოსათვის ამირჩია და მე ამ სამუშაოს ვასრულებ ***(ტაში, რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

საპრეზიდენტო უფლებამოსილების მიღებიდან რამდენიმე საათში მე გამოვაცხადე საგანგებო მდგომარეობა სამხრეთ საზღვრებზე, გავგზავნე იქ სამხედროები და მესაზღვრენი. საბოლოო ჯამში არალეგალთა შემოღწევა გასულ თვეში ყველაზე დაბალი იყო მთელი ისტორიის მანძილზე ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** მათ შეისმინეს ჩემი სიტყვები და გადაწყვიტეს, აღარ ჩამოვიდნენ. შედარებისათვის — ამერიკის ისტორიაში ყველაზე ცუდი პრეზიდენტის **ბაიდენის** დროს საზღვრის არალეგალური გადალახვების რიცხვი თვეში ასი ათასებს აღწევდა და ყველა მათგანი — მკვლელები, ნარკოტიკებით მოვაჭრენი, ბანდის წევრები და ხალხი ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან თავისუფლად შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში.

ეს ჩემი მეხუთე გამოსვლაა კონგრესის წინაშე და **ყოველთვის, როცა დემოკრატებს ვუმზერ, ვხვდები — არ შემიძლია ვთქვა ისეთი რამ, რაც მათ გაახარებს, ღიმილით ფეხზე წამოაყენებს ან ტაშს დააკვრევინებს.** მე შემეძლო, მეპოვა წამალი ყველაზე დამანგრეველი ავადმყოფობის წინააღმდეგ ან მექცია ჩვენი ეკონომიკა ყველაზე ძლიერად მთელი ისტორიის მანძილზე, ან, სულაც, ყველაზე დაბალ ისტორიულ ნიშნულზე დამეყვანა დანაშაულობათა მაჩვენებელი, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ჩემ წინ სხედან ტაშს არ დამიკრავენ, არც ფეხზე წამოდგებიან და არც გაიხარებენ ამ ასტრონომიული მიღწევებით. ეს ძალიან სამწუხაროა და ასე არ უნდა იყოს! ***(რესპუბლიკელთა აპლოდირების ფონზე დემოკრატები აღმართავენ ჯოხზე დამაგრებულ წრიულ პლაკატებს, რომელთა შორისაც ჭარბობს სიტყვები „მასკი იპარავს!“ და „ტყუილია!“).***

ასე რომ, ჩემ წინ მსხდომარე დემოკრატებო, რატომ არ გსურთ შემოგვიერთდეთ და ერთად აღვნიშნოთ ამერიკის ამდენი წარმოუდგენელი გამარჯვება. **ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მოდით, ვითანამშრომლოთ და ერთად დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება!** *(რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან, გაისმის ტაში. დემოკრატები ძველებურად რჩებიან ადგილზე, აღმართული საპროტესტო პლაკატებით ხელში).*

ჩემი ადმინისტრაცია ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ ამერიკას ჰქონდეს ისეთი მომავალი, როგორსაც იმსახურებს. ახლა დიდი ოცნებების და თამამი მოქმედებების დროა ***(ტაში, რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** მე წერტილი დავუსვი ამ სასაცილო მწვანე აფერას, მე გამოვედი პარიზის უსამართლო შეთანხმებიდან კლიმატის შესახებ, რომელიც ტრილიონობით დოლარი დაგვიჯდა სხვა ქვეყნების მხრიდან გადაუხდელობის ფონზე ***(ტაში);*** მე გამოვედი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან, რომელიც კორუფციაში იყო ჩაფლული. ***(ტაში).*** მე აგრეთვე დავტოვე გაერთიანებული ერების ანტიამერიკული ორგანიზაციის საბჭო ადამიანის უფლებების შესახებ ***(ტაში).*** ჩვენ გავაუქმეთ **ბაიდენის** ყველა ეკოლოგიური შეზღუდვა, რომელიც ზიანს აყენებდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ გავაუქმეთ გიჟური მანდატი ელექტროავტომობილების წარმოებაზე, რომელიც წინა ადმინისტრაციის მიერ იქნა მიღებული და ვიხსენით ჩვენი ავტომრეწველობა ეკონომიკური კრახისაგან ***(ტაში, რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

იმისათვის, რომ ვიხსნათ ჩვენი ეკონომიკა, მე განკარგულება გავეცი, რომ თითოეული ახალი წესის შემოღებაზე მოდიოდეს 10 გაუქმებული ძველი წესი, როგორც ამას ვაკეთებდი ჩემი პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენ ბოლო მოვუღეთ პოლიტიკას, როდესაც მოქმედ პრეზიდენტს უფლება აქვს, სასტიკად დევნოს პოლიტიკური ოპონენტი, როგორც ეს ხდებოდა ჩემს შემთხვევაში. და როგორ იმუშავა ამან! არც თუ ისე კარგად! არც თუ ისე კარგად! ***(ფეხზე წამომდგარი რესპუბლიკელების მქუხარე ტაში).***

მე შევწყვიტე ყოველგვარი სამთავრობო ცენზურა და დავაბრუნე სიტყვის თავისუფლება ამერიკაში! ***(ტაში, რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან)*** და ორი დღის წინათ მე მოვაწერე ხელი ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც ინგლისური ენა ხდება ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ენა ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** მე სახელი გადავარქვი მექსიკის ყურეს და ამერიკული ყურე ვუწოდე ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ზუსტად ასევე მე კვლავ გადავარქვი სახელი **მაკ-კინლის მწვერვალს** ამერიკის დიადი პრეზიდენტის **უილიამ მაკ-კინლის** პატივსაცემად *(ცნობისათვის: ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი* ***მაკ-კინლი*** *(6190 მ.) ალიასკაზე ამ სახელწოდებით იხსენიებოდა, ვიდრე 2015 წელს პრეზიდენტმა* ***ბარაკ ობამამ დენალის*** *სახელი არ მიაკუთვნა, რაც ინდიელთა ენაზე დიადს ნიშნავს.* ***რედ.)*** მშვენიერი ალიასკა, რაოდენ ძლიერად გვიყვარს იგი. ჩვენ ვაღმერთებთ ალიასკას! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენ ბოლო მოვუღეთ „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის“ ტირანულ პოლიტიკას მთელ ფედერალურ მთავრობასა და კერძო სექტორშიც, ასევე შეიარაღებულ ძალებში, ჩვენი ქვეყანა გაიწმინდა **ვოუკიზმის** იდეოლოგიისაგან *(გაძლიერებული ყურადღება სოციალური, რასობრივი და სქესობრივი სამართლიანობის საკითხებისადმი, უმთავრესად, ლიბერალური მოძრაობის, ფემინიზმისა და ლგბტ-აქტივიზმის მიმართ.* ***რედ.) (ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან)*** და ჩვენი ქვეყანა აღარ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენ ვთვლით, რომ ვინც არ უნდა იყოთ თქვენ — ექიმი, ბუღალტერი, იურისტი თუ ავიადისპეტჩერი, უნდა აგიყვანონ სამსახურში და დაგაწინაურონ მხოლოდ უნარებიდან და კომპეტენტურობიდან გამომდინარე და არა რასისა და სქესის მიხედვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** უზენაესმა სასამართლომ მიიღო ძალიან თამამი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ ამის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. მადლობა, ძალიან დიდი მადლობა ***(ტაში).***

ჩვენ მიერ სახელმწიფო სკოლებიდან აღმოფხვრილ იქნა კრიტიკული **რასობრივი თეორიის** შხამი. **მე ხელი მოვაწერე განკარგულებას, რომლის მიხედვითაც აშშ-ში არის მხოლოდ ორი სქესი: მამრობითი და მდედრობითი** *(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*

მე ასევე ხელი მოვაწერე განკარგულებას, რომელიც უკრძალავს მამაკაცებს, მონაწილეობა მიიღონ ქალთა სპორტულ შეჯიბრებებში ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** ამიერიდან სკოლები გარიცხავენ მამაკაცებს ქალთა გუნდებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეუწყდებათ ფედერალური დაფინანსება ***(რესპუბლიკელთა მქუხარე ტაში).***

ის, რაზეც ვისაუბრე, არის იმ ჯანსაღი აზრის რევოლუციის მცირედი ნაწილი, რომელიც, ჩვენი წყალობით, ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს. ჯანსაღი აზრი საყოველთაო თემა გახდა და ჩვენ აღარასოდეს დავუბრუნდებით წარსულს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ! ***(ტაში).***

ჩემს მთავარ პრიორიტეტებში შედის ჩვენი ეკონომიკის გადარჩენა და სასწრაფო დახმარების აღმოჩენა დასაქმებული ოჯახებისათვის. როგორც იცით, წინა ადმინისტრაციისაგან მემკვიდრეობად გვერგო ეკონომიკური კატასტროფა და კოშმარული ინფლაცია. მათმა პოლიტიკამ გამოიწვია ფასების ზრდა ენერგომატარებლებსა და საკვებ პროდუქტებზე და მილიონობით ამერიკელისათვის ხელმიუწვდომელი გახდა პირველადი მოხმარების პროდუქტები. ჩვენ გვქონდა ყველაზე ძლიერი ინფლაცია უკანასკნელი 48 წლის განმავლობაში და შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. მე, როგორც პრეზიდენტი, ყოველდღიურად ვიბრძვი სიტუაციის გამოსასწორებლად, რათა გავხადო ამერიკაში ცხოვრება კვლავინდებურად ხელმისაწვდომი ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

**ჯო ბაიდენს** განსაკუთრებით მაღლა გაექცა ფასები კვერცხზე და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მათ გასაიაფებლად. მე მივმართავ სათანადო მინისტრს: კარგად წაიმუშავეთ ამაზე. თქვენ წინა ადმინისტრაციისაგან მემკვიდრეობად გერგოთ სრული ქაოსი და შეასრულეთ თქვენი სამუშაო კარგად! ***(ტაში).***

ინფლაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფი დაწევა. წინა ადმინისტრაციამ 95 პროცენტით შეამცირა ახალი ლიცენზიების რაოდენობა ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე, შეაჩერა ნავთობსადენების მშენებლობა, დაკეტა 100-ზე მეტი ელექტროსადგური. ახლა ჩვენ ხელახლა ვხსნით ამ ელექტროსადგურების დიდ ნაწილს ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** სიმართლე გითხრათ, ასეთი რამ არასოდეს გვინახავს. ამიტომაც ჩემი პრეზიდენტობის პირველივე დღეს მე გამოვაცხადე საგანგებო მდგომარეობა ენერგეტიკის სფეროში ***(ტაში).*** როგორც არაერთხელ მითქვამს, ჩვენს ფეხქვეშ უფრო მეტი თხევადი ოქროა, ვიდრე სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. ამიტომაც ვავალებ ახლა ყველაზე ნიჭიერ გუნდს, რომელიც კი ოდესმე შეგვიკრებია, გაეშუროს მის მოსაპოვებლად! სწორედ ამას ჰქვია **„ბურღე, შვილო, ბურღე!“** ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩემი ადმინისტრაცია ასევე მუშაობს გიგანტურ მილსადენზე, რომელიც






## ეს ითქვა! ★



# დაბრუნდა!

ალიასკაზე მდებარეობს და სადაც იაპონიას, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებს სურთ, გახდნენ ჩვენი პარტნიორები, რათა მოახდინონ ტრილიონობით დოლარის ინვესტირება. ამავე კვირაში მივიღებ ისტორიულ გადაწყვეტილებას კრიტიკულად მნიშვნელოვანი მინერალებისა და იშვიათი წიაღისეული ელემენტების მოპოვების გასაზრდელად აქ, აშშ-ში! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ინფლაციასთან შემდგომი ბრძოლის მიზნით, ჩვენ არამარტო შევამცირებთ ენერგორესურსების ღირებულებას, არამედ შევწყვეტთ სახელმწიფო სახსრების აღმაშფოთებელ ფლანგვას ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** სწორედ ამისათვის შევქმენი სრულიად ახალი დეპარტამენტი მთავრობის მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად *(DOGE.* ***რედ.****).* შესაძლოა, თქვენ ამის შესახებ გსმენიათ... შესაძლოა... *(გამოცოცხლება დარბაზში. ყველას მზერა მიპყრობილია* ***ილონ მასკისაკენ****).* **ილონ მასკი** დღეს ამ დარბაზშია. **გმადლობ, ილონ!** ის ძალიან ბევრს მუშაობს. ჩვენ ამას ვაფასებთ. დარწმუნებული ვარ, ამას აფასებს ყველა აქ შეკრებილი, იმ მხარესაც კი ***(ხელით მიუთითებს დემოკრატებზე)*** ამას აფასებენ, მაგრამ, უბრალოდ, არ სურთ ამის აღიარება *(გამოცოცხლება დარბაზში. დემოკრატთა ნაძალადევი გასუსულობა)*, უბრალოდ, მოისმინეთ, გაფლანგვის რამდენი შემზარავი ფაქტი გამოვავლინეთ: **22 მილიარდი დოლარი** ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროსაგან არალეგალური ემიგრანტების უფასო საცხოვრებლითა და ავტომობილებით უზრუნველყოფისათვის! **45 მილიონი დოლარი** სტიპენდიებისათვის ბირმაში „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის“ საკითხებზე! **40 მილიონი დოლარი** მოძრაობაშეზღუდული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად! საერთოდ, არავინ უწყის, ვინ არიან ესენი... ***(სიცილი. გამოცოცხლება დარბაზში); 8 მილიონი დოლარი*** ლგბტ თემების ხელშესაწყობად აფრიკის სახელმწიფო ლესოტოში, რომლის შესახებაც არავის არასოდეს სმენია! ***(ხარხარი დარბაზში); 60 მილიონი დოლარი*** ძირეული მოსახლეობისა და აფროკარიბელთა *(Afro-Caribbean — ვესტ-ინდოეთის ზანგი მოსახლეობის, ძირითადად, დასავლეთ და ტროპიკული აფრიკიდან წამოსული შავკანიანი მონების შთამომავალთა პირობითი დასახელება.* ***რედ.****)* მხარდასაჭერად ცენტრალურ ამერიკაში! **8 მილიონი დოლარი** ტრასგენდერი თაგვების გამოსაყვანად და ეს არ გახლავთ ხუმრობა! ***(პანიკური ხარხარი)*** — ეს რეალობაა! **32 მილიონი დოლარი** მოლდავეთის მემარცხენე ფრთის პროპაგანდისტული კამპანიისათვის! **10 მილიონი დოლარი** მამაკაცთა წინადაცვეთებისათვის მოზამბიკში! **20 მილიონი დოლარი** „სეზამის ქუჩის“ არაბული ვერსიისათვის ახლო აღმოსავლეთში! ***(„სეზამის ქუჩა“ — საერთაშორისო სატელევიზიო საგანმანათლებლო პროგრამა. რედ.).*** **1,9 მილიარდი დოლარი** შენობათა დეკარბონიზაციის მიზნით ამასწინათ შექმნილი კომიტეტისათვის! ***(შენობების დეკარბონიზაცია*** *ნიშნავს მავნე გამონაყოფების ლიკვიდაციას, რაც დაკავშირებულია როგორც ძველ შენობებთან, ასევე ახალ მშენებლობებთან.* ***რედ.).*** მსუყე, **3,5-მილიონიანი კონტრაქტი** თევზების პოპულაციის კონტროლისათვის! **1,5 მილიონი დოლარი** ამომრჩეველთა ნდობის ასამაღლებლად ლიბერიაში! **14 მილიონი დოლარი** სოციალური ერთიანობისათვის მალიში! **59 მილიონი დოლარი** ნიუიორკის სასტუმროებში არალეგალური მიგრანტების უფასოდ განსათავსებლად! ***(უკმაყოფილო რესპუბლიკელთა ამოხვნეშა); 250 მილიონი დოლარი*** კლიმატური ინიციატივის განვითარებისათვის ზამბიაში! **42 მილიონი დოლარი** სოციალური ქცევის შესაცვლელად უგანდაში! **14 მილიონი დოლარი** სახელმწიფო შესყიდვების გასაუმჯობესებლად სერბიაში! **47 მილიონი დოლარი** აზიაში სწავლების შედეგების სრულყოფისათვის! **101 მილიონი დოლარი** „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის“ საკითხებთან დაკავშირებით განათლების დეპარტამენტთან დადებულ კონტრაქტებზე! ბევრი ასეთი პროგრამა მხილებულ იქნა და გაუქმდა **ილონ მასკის** ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ.

ჩვენ აღმოვაჩინეთ ასეულობით მილიონი დოლარის თაღლითური სქემები ***(ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან),*** დავაბრუნეთ ფული და შევამცირეთ ვალი, რათა ვებრძოლოთ ინფლაციას და სხვა პრობლემებს. ჩვენ დროზე მივუსწარით და დავაბრუნეთ ბევრი ფული. ეს მხოლოდ დასაწყისია. სახელმწიფო აღრიცხვის პალატამ, ფედერალურმა სახელმწიფო დაწესებულებამ ყოველწლიური თაღლითობის მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში 500 მილიარდზე მეტი დოლარით განსაზღვრა და ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ ეს პროცესი შევაჩეროთ.

გინდ, დაიჯერეთ, გინდ — არა, მონაცემთა სამთავრობო ბაზებში ირიცხება 4,7 მილიონი ადამიანი **100-დან და 109 წლამდე *(შეძახილები დარბაზში),*** 3,6 მილიონი კაცი **110-დან 119 წლამდე *(შეძახილები დარბაზში).*** მე არცერთ მათგან არ ვიცნობ. მე ვიცი, რომ არსებობენ უხუცესები, მაგრამ არა ამ რაოდენობით. უფრო მეტიც — რეგისტრირებულია 3,47 მილიონი ადამიანი **120-დან 129 წლამდე,** 3,9 მილიონი კაცი — **130-დან 139 წლამდე,** 3,5 მილიონი ადამიანი **140-დან 149 წლამდე** და მათ უმრავლესობაზე გაიცემა ფულადი სახსრები. უფრო მეტიც, ფიქსირდება 1,3 მილიონი პირი **150-დან 159 წლამდე** *(სიცილი და შფოთი დარბაზში)* და 1039 კაცი **220-დან 229 წლამდე.** არის ერთი ადამიანიც 240-დან 249 წლამდე და მთლად რეკორდსმენიც, რომელიც უკვე **360 წლისაა** და ჩვენს ქვეყანაზე მთელი ერთი საუკუნით ხნიერია! ***(სიცილი დარბაზში).***

ჩვენ გამოვარკვევთ, სად მიდიოდა ეს ფული და ვიღაცა ცუდ დღეში აღმოჩნდება. ამ გზით ჩვენ მოვსპობთ თაღლითობასა და ქურდობას, დავამარცხებთ ინფლაციას, დავაბალანსებთ ფედერალურ ბიუჯეტს ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენ დეტალურად დავამუშავეთ ე.წ. **„ოქროს ბარათი“,** რომელიც ძალიან მალე გამოვა გაყიდვაში. 5 მილიონ დოლარად ჩვენ მივცემთ საშუალებას მთელი მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ადამიანებს, ვინც სამუშაო ადგილებს ქმნიან, იყიდონ გზა ამერიკის მოქალაქეობისაკენ. ეს იქნება ერთგვარი „გრინ-კარტა“, მაგრამ გაცილებით უკეთესი. ამ ადამიანებს მოუწევთ გადასახადების გადახდა არა იქ, საიდანაც ჩამოვიდნენ, არამედ ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, ისინი თავიანთი კოლეჯებიდან მოიზიდავენ საუკეთესო წარმომადგენლებს და დააფინანსებენ მათ ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში, რომ ველარავინ გააძევოს აქედან ისინი. ისინი იქნებიან საუკეთესო მოსწავლეები, რომლებიც შექმნიან ჩვენთან უამრავ სამუშაო ადგილს. არადა, **ბაიდენის** ადმინისტრაციასა და დემოკრატებს თავიანთი ღია კარის პოლიტიკით აქ შემოჰყავდათ მხოლოდ დამნაშავენი, მკვლელები, ნარკობარიგები და მცირეწლოვანებზე მოძალადენი. ამ შეშლილობამ კინაღამ დაანგრია ჩვენი ქვეყანა. ამიერიდან ჩვენ ჩამოვიყვანთ ყველაზე ჭკვიან და შრომისუნარიან ადამიანებს. ისინი გადაიხდიან ბევრ ფულს, რითაც ჩვენ შევიმცირებთ ვალებს ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენი გეგმის შემდგომ ეტაპზე დიადი ეკონომიკის შექმნის მიზნით კონგრესი შემოიღებს საყოველთაო საგადასახადო შეღავათებს და მე მჯერა, რომ ჩემ მარჯვნივ მსხდომი ადამიანები ***(მიუთითებს დემოკრატებზე)*** და მე არ ვგულისხმობ მემარჯვენე რესპუბლიკელებს, არამედ ადამიანებს, მსხდომარეთ ჩემი მარჯვენა ხელის მარჯვნივ, რომ ხმას მისცემენ საგადასახადო შეღავათებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვი მეპარება, რომ მათ ოდესმე ვინმე მისცემს ხმას ***(ხანგრძლივი ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ეს გახლავთ ჩვენი გეგმის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენ მივაღწიეთ უზარმაზარ წარმატებებს მმართველობის პირველ ვადაში და მომავალშიც გამუდმებით ვიზრუნებთ საშემოსავლო გადასახადის დაწევაზე. ამასთან, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავეხმაროთ ამერიკელებს და განსაკუთრებით ინფლაციით დაზარალებულებს, მე გთავაზობთ, გავაუქმოთ გადასახადი დამატებით გასამრჯელოზე, ზეგანაკვეთურ მუშაობასა და სოციალურ დახმარებაზე ჩვენი შესანიშნავი პენსიონერებისათვის ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** და, ამასთანავე, გთავაზობთ, რომ პროცენტები ავტოკრედიტებზე გამოაკლდეს დასაბეგრ თანხას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავტომობილი ამერიკაშია გამოშვებული ***(აპლოდისმენტები. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან. დემოკრატები კანტიკუნტად უკრავენ ტაშს).*** ჩვენი პოლიტიკის წყალობით, ავტომრეწველობა აყვავდება! იქნება ბუმი. აი, ასეთია ურთიერთკავშირი არჩევნებში მოპოვებულ გამარჯვებასა და გადასახადებს შორის.

მე დღეს ვესაუბრე სამი უმსხვილესი კომპანიის ხელმძღვანელებს. ისინი ძალიან შთაგონებულნი არიან. სინამდვილეში ძალიან ბევრმა საავტომობილო კომპანიამ განაცხადა, რომ ააშენებს ახალ, უზარმაზარ ქარხნებს ამერიკაში, ხოლო „ჰონდამ“ ეს-ესაა გვამცნო, რომ ააგებს ახალ ქარხანას ინდიანაში. ეს იქნება ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხანა მსოფლიოში ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან.).***

და ეს ყველაფერი მოხდა ჩვენი დიადი გამარჯვების შედეგად 5 ნოემბრის არჩევნებზე, რომელიც, მჯერა, ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ***(ტაში).***

ამასთან ერთად, გადასახადების შემცირების კუთხით გვინდა, დავწიოთ გადასახადი სამამულო წარმოებაზე და მთელ გადამმუშავებელ მრეწველობაზე. მაგრამ, თუ თქვენ არ აწარმოებთ თქვენს საქონელს ამერიკაში, მაშინ **ტრამპის** ადმინისტრაციის პირობებში ზოგჯერ საკმაოდ მაღალ ბაჟსაც გადაიხდით.

სხვა ქვეყნები ათწლეულების მანძილზე გვიწესებდნენ ბაჟს... ახლა ჩვენი რიგია! ევროკავშირი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, მექსიკა და კანადა... თქვენ გსმენიათ მათ შესახებ? და სხვა უამრავი ქვეყანაც გვაკისრებს გაცილებით მაღალ ბაჟს, ვიდრე ჩვენ ვახდევინებთ. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა! ამიტომ 2 აპრილიდან, თუმცა, მსურდა ეს პირველ აპრილს გამეკეთებინა, მაგრამ შეგნებულად უარი ვთქვი, რათა საპირველაპრილო ხუმრობად არ მიეღოთ ***(სიცილი),*** მე ძალიან ცრუმორწმუნე კაცი ვარ... ამიტომ 2 აპრილიდან ძალაში შედის ორმხრივი დაბეგვრა ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** რაც არ უნდა შემოიღონ ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენ დავუწესებთ ბაჟს. თუ ისინი შემოიღებენ არაფულად ბაჟს, რათა არ შეგვიშვან თავიანთ ბაზარზე, ჩვენ ასევე შევქმნით არაფულად ბარიერებს, რომ არ შემოვუშვათ ჩვენთან. ჩვენ მივიღებთ ტრილიონობით დოლარს და შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს, რაც ადრე არასოდეს ყოფილა.

ჩვენ ათწლეულების მანძილზე გვძარცვავდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა და ჩვენ არ დავუშვებთ ამას მომავალში ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ბოლო სამი თვის მანძილზე ბევრს ლაპარაკობდნენ მექსიკისა და კანადის შესახებ, მაგრამ ჩვენ მათთან გვაქვს ძალიან დიდი დეფიციტი. მათ დაუშვეს, რომ **ფენტანილი** *(1968 წელს შემუშავებული სინთეტური ნარკოტიკი, რომელიც თითქმის 100-ჯერ ძლიერია, ვიდრე იმავე მასის მორფინი.* ***რედ).*** მოხვედრილიყო ჩვენს ქვეყანაში არნახული ოდენობით, რამაც ასიათასობით ჩვენს მოქალაქეს და, მათ შორის, ახალგაზრდებს და ძალიან ლამაზ ადამიანებს მოუსწრაფა სიცოცხლე, დაანგრია ოჯახები... ასეთი რამ ადრე არასოდეს ყოფილა. საბოლოო ჯამში ისინი იღებენ ასობით მილიარდი დოლარის სუბსიდიებს. ჩვენ ვუხდით ასობით მილიარდობით სუბსიდიებს კანადასა და მექსიკას, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები მომავალში ამას აღარ გაკეთებს ამას *(ტაში).*

ჩვენი პოლიტიკის წყალობით, სულ რამდენიმე კვირაში ამერიკაში ჩაიდო 1,7 ტრილიონი დოლარის ინვესტიცია...

ჩვენი პოლიტიკური კურსის წყალობით, რაშიც იგულისხმება **„ამერიკა უპირველეს ყოვლისა“,** ჩვენ უკვე მივიღეთ 7 ტრილიონი დოლარის ახალი ინვესტიცია ბოლო რამდენიმე კვი-

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე***



**დემოკრატმა სენატორმა გრინმა აურია**

## ძვირფასო ამერიკელებო, ემზადეთ წარმოუდგენელი მომავლისათვის, რადგან ამერიკის ოქროს ხანა ეს-ესაა დაიწყო!

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე

# ამერიკა დაბრუნდა!

რის მანძილზე. არჩევნების შედეგებიდან და ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, Softbank-ის წარმომადგენლებმა გაიღეს 200 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. აიტი-კომპანიებმა OpenAI, Oracle და მათმა დირექტორმა **ლარი ელისონმა** გამოაცხადეს 500-მილიარდიანი ინვესტიციის შესახებ, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ, **კამალას** რომ გაემარჯვა. კომპანია Apple-მ გამოაცხადა 500-მილიარდიანი ინვესტიციის თაობაზე. მისმა დირექტორმა **ტიმ კუკმა** დამირეკა და მითხრა: ეს იქნება ხანგრძლივი ზრდადი ინვესტირება, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ისინი გაცილებით მეტს გააკეთებენ და დაიწყებენ თავიანთი ქარხნების მშენებლობას აქ და არა ჩინეთში. და აი, გუშინ დამირეკეს ტაივანურ კომპანია Taiwan Semiconductor-იდან, რომელიც იკავებს ნახევარგამტარების ბაზრის 97 პროცენტს და მაცნობეს 165-მილიარდიანი ინვესტიციის შესახებ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ჩიპების შესაქმნელად პირდაპირ აქ, აშშ-ის ტერიტორიაზე ***(რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან. კანტიკუნტად დემოკრატებიც უკრავენ ტაშს).***

ჩვენი ახალი სავაჭრო პოლიტიკა უბრალო ამერიკელ ფერმერებსაც გაახარებს. მე მიყვარს ფერმერები. თქვენ ამიერიდან შეგეძლებათ, გაყიდოთ პროდუქცია ამერიკის შიდა ბაზარზე, რადგან ვეღარავინ გაგიწევთ კონკურენციას. იმის გამო, რომ **იმპორტული პროდუქციის ინსპექტირებას არავინ ახდენს, შემოაქვთ საშინელი ხარისხის აბსოლუტური სიძინძურე** და როდესაც ეს პროდუქცია ბაზარზე ხვდება, ის, უპირველეს ყოვლისა, ვნებს ამერიკელ ფერმერებს. **2 აპრილიდან ჩვენ გავზრდით მოსაკრებელს სოფლის მეურნეობის შემოტანილ პროდუქციაზე** *(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*

ერთი წლის წინ ლონგ-აილენდში მოკლეს 31 წლის ნიუიორკელი პოლიციელი **ჯონათან დილერი.** მან უბრალოდ გააჩერა მანქანა საეჭვო ნომრებით. მე ვიყავი მის დასაფლავებაზე. საშინელი ბანდიტი, რომელმაც ეს მკვლელობა ჩაიდინა, მძიმე დანაშაულებისათვის 21-ჯერ იყო დაპატიმრებული. მის გვერდით მანქანაში იჯდა ბოროტმოქმედი 14 პატიმრობით, რომლის ანგარიშზეც უამრავი მკვლელობა იყო. ოფიცერ **დილერის** დასაფლავებაზე მე შევხვდი მის ქვრივს **სტეფანის** და ერთი წლის ვაჟს — **რაიანს.** დღეს **სტეფანი** ჩვენი სტუმარია. მადლობა, **სტეფანი,** დიდი მადლობა! ჩვენ გვინდა, **რაიანმა** იცოდეს, რომ მამამისი ნამდვილი გმირი იყო, საუკეთესო ნიუ-იორკში და ჩვენ ვაპირებთ ავლაგმოთ ეს ცივსისხლიანი მკვლელები და რეციდივისტები ჩვენი ქუჩებიდან. ჩვენ ამას სწრაფად გავაკეთებთ. მათ ჩაიდინეს 28 მკვლელობა, ისინი ხელს ჰკრავენ ადამიანებს მეტროს ექსპრესებში; ისინი ურტყამენ ადამიანებს ბეისბოლის ჯოხებს თავსა და კეფაში; ჩვენ უნდა შევაჩეროთ ისინი! **მე უკვე მოვაწერე ხელი განკარგულებას, რომელიც ითხოვს ნებისმიერი პირის უცილობელ სიკვდილით დასჯას, ვინც პოლიციელს მოკლავს.** და მე დღეს ვთხოვ კონგრესს, მიიღოს ეს კანონი! ***(ტაში).*** მე ასევე ვითხოვ, მივიღოთ ახალი კანონი, რომელიც გაამკაცრებს სასჯელს რეციდივისტებისათვის და, ამავდროულად, გააძლიერებს პოლიციელთა დაცვას, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ისე, რომ არავინ მოკლას სამუშაო ადგილზე. ჩვენ არ დავუშვებთ მათ მკვლელობას! დღეს საღამოს ჩვენ შემოგვიერთდება ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გულწრფელად უყვარს ჩვენი პოლიცია. მას **დიჯეი დენიელი** ჰქვია, 13 წლისაა და ყოველთვის ოცნებობდა, პოლიციელი გამხდარიყო. მაგრამ 2018 წელს **დიჯეის** ტვინის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ექიმები მხოლოდ ხუთი თვის სიცოცხლეს აძლევდნენ. ეს იყო 6 წელიწადზე მეტი ხნის წინათ. იმ მომენტიდან **დიჯეი** და მამამისი ეძებდნენ მისი ოცნების ახდენის გზას — **დიჯეიმ** ფიციც კი დადო, როგორც სამართალდამცავი ორგანოების საპატიო მუშაკმა და დღეს მის მიმართ გვინდა გამოვხატოთ განსაკუთრებული პატივი. დიჯეი, მე ვთხოვ საიდუმლო სამსახურის ახალ დირექტორს **შონ კარრენს,** ოფიციალურად გაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის აგენტად ***(ხალხი სკანდირებს: დიჯეი! დიჯეი!)*** ექიმები თვლიან, რომ სიმსივნე **დიჯეის** ჩამოუყალიბდა ბავშვობაში ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად. 1975 წლის შემდეგ კიბოთი ავადობის შემთხვევები ბავშვებში 40 პროცენტით გაიზარდა. ამ ტენდენციის შეჩერება ამერიკაში ჯანმრთელობის აღდგენის მიმართულებით შექმნილი ახალი საპრეზიდენტო კომისიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მას სათავეში უდგას ჯანმრთელობისა და სოციუზრუნველყოფის ახალი მინისტრი **რობერტ ფ. კენედი — უმცროსი.** ***(აპლოდისმენტები კენედის მისამართით).***

ჩვენი ამოცანაა — გავაქროთ ტოქსინები გარემოდან, შხამები — კვების პროდუქტებიდან და შევუნარჩუნოთ ჯანმრთელობა ჩვენს ბავშვებს. **არც კი დაიჯერებთ, რომ არცთუ შორეულ წარსულში 10 ათასიდან მხოლოდ ერთი ბავშვი იტანჯებოდა აუტიზმით, ახლა კი აუტიზმი 36-დან 1 ბავშვში ვლინდება.** ვიფიქროთ ამაზე!

ჩემი ადმინისტრაცია მუშაობს იმაზე, რომ დაიცვას ჩვენი ბავშვები ტოქსიკური იდეოლოგიისაგან სკოლებში. რამდენიმე წლის წინათ **ჯენუარ ლიტლჯონმა** და მისმა ქმარმა აღმოაჩინეს, რომ სკოლაში მათ 13 წლის ქალიშვილს უჩუმრად შეუცვალეს სქესი. მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტეს, მოეტყუებინათ მშობლები და იმავდროულად წაახალისეს **ჯეინი,** ესარგებლა ახალი სახელითა და ნაცვალსახელით. ის დღეს ჩვენთან არის დარბაზში და ჩამოყალიბდა ძალადობის ამგვარი ფორმების წინააღმდეგ მამაც მებრძოლად. მადლობა, **ჯენუარ! აი, რატომ მოვაწერე ხელი გაპრეზიდენტებისთანავე ხელი განკარგულებას, რომელიც უკრძალავს სახელმწიფო სკოლებს ბავშვებისათვის ტრანსგენდერული იდეოლოგიის ჩანერგვას.** მე ასევე გამოვეცი ბრძანება ყველა იმ ორგანიზაციისთვის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ, სადაც ადგილი აქვს ჩვენი ახალგაზრდობის სექსუალურ გარყვნას. **ახლა მე მსურს, რათა კონგრესმა მიიღოს კანონი, რომელიც სამუდამოდ აკრძალავს ბავშვებისათვის სქესის შეცვლას და ბოლოს მოუღებს ცრუ წარმოსახვას, თითქოს ნებისმიერი ბავშვი იმყოფება არა იმ სხეულში! ეს დიდი ტყუილია!** *(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).* გზავნილი თითოეული ბავშვისათვის იქნება შემდეგი: თქვენ ხართ მშვენიერები იმ სახით, როგორადაც შეგქმნათ ღმერთმა ***(მხურვალე ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები აღარ იქნებიან აქტივისტები და იდეოლოგები, ისინი იქნებიან მებრძოლები და მეომრები, ისინი იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნისათვის. გილოცავ, პიტ, გილოცავ! ჩვენს თავდაცვის მინისტრ **პიტ ჰეგსეტს** ვულოცავ!

როგორც მთავარსარდალი, მე ვესწრაფვი მომავლის ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას და პირველ ნაბიჯად კონგრესისაგან ვითხოვ ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის **„ოქროს გუმბათის“** დაფინანსებას, რომელიც დაიცავს ჩვენს ქვეყანას და მთლიანად ამერიკაში იქნება წარმოებული ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** **რონალდ რეიგანს** სურდა ამის გაკეთება, მაგრამ მაშინ არ იყო სათანადო ტექნოლოგიები. დღეს ასეთი ტექნოლოგიები არსებობს ისრაელშიც და სხვა ადგილებშიც. და ამერიკის შეერთებული შტატებიც უნდა ფლობდნენ მას დღევანდელ ძალიან საშიშ მსოფლიოში. ჩვენ ასევე **ავაღორძინებთ ამერიკულ გემთმშენებლობას** კომერციული და სამხედრო გემთმშენებლობის ჩათვლით, ამასთან დავაწესებთ საგადასახადო შეღავათებს, რათა მრეწველობის ეს დარგი ამერიკაში დაბრუნდეს და რათა შემდგომშიც გაძლიერდეს ნაციონალური უსაფრთხოება... ჩემი ადმინისტრაცია დააბრუნებს პანამის არხს ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან)*** და მე ამ საღამოს მაქვს აგრეთვე გზავნილი **გრენლანდიის** მშვენიერი ხალხის მისამართით. **ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს უფლებას, თავად განსაზღვროთ საკუთარი მომავალი და თუ ისურვებთ, მიგიღებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში**. ჩვენ გვჭირდება გრენლანდია ნაციონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც. ჩვენ ვმუშაობთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან ამის მისაღწევად. ჩვენ ეს ნამდვილად გვჭირდება საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის! და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას მოვახერხებთ! ასეა თუ ისე, ჩვენ ამას მივაღწევთ! ჩვენ დაგიცავთ, გაგამდიდრებთ და ერთად ავწევთ გრენლანდიას იმ დონეზე, რომელზეც არც კი ოცნებობდით!

სამწლინახევრის წინათ ისლამური რესპუბლიკის ტერორისტებმა მოკლეს 13 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და უამრავი სხვა ადამიანი. ეს მოხდა ავღანეთიდან სამხედრო შენაერთების კატასტროფული და არაკომპეტენტური გამოყვანის დროს. მე არ ვლაპარაკობ უშუალოდ გამოსვლის ფაქტზე, არამედ იმაზე, როგორ წარიმართა ეს პროცესი, რომელიც ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

დღეს მე სიხარულით მინდა გამცნოთ, რომ ეს-ესაა დავაკავეთ ამ ბოროტმოქმედებაზე პასუხისმგებელი მთავარი ტერორისტი, რომელიც მოჰყავთ ამერიკაში პასუხისგებაში მისაცემად ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).*** აქვე განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო პაკისტანის მთავრობას, რომელიც ამ მონსტრის დაპატიმრებაში დაგვეხმარა.

***მე ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ დასრულდეს სასტიკი კონფლიქტი უკრაინაში.*** მილიონობით უკრაინელი და რუსი ამაოდ დაიღუპნენ ან დაიჭრნენ ამ საშინელ და სისხლიან კონფლიქტში, რომელსაც ბოლო არ უჩანს. თქვენ გინდათ, რომ ეს კიდეც 5 წელიწადს გაგრძელდეს! აი, პოკახონტასს ***(ამ თიკუნით შეამკო ტრამპმა პრეზიდენტობის დემოკრატი ექსკანდიდატი და სენატორი მასაჩუსეტსიდან ელიზაბეტ უორენი, რომელიც ხაზს უსვამს თავის წარმომავლობას ინდიელთა წიაღიდან. რედ.)*** *(სიცილი და გამოცოცხლება დარბაზში).* ყოველკვირეულად იქ იღუპება 2000 კაცი, შესაძლოა, მეტიც. ესენი არიან რუსი და უკრაინელი ჭაბუკები და ამ დროს ევროპა, სამწუხაროდ, ხარჯავს მეტ თანხებს რუსული ნავთობისა და გაზის შესყიდვაზე, ვიდრე უკრაინის დაცვაზე! იფიქრეთ ამაზე! ჩვენ თვალისდაუხამხამებლად დავხარჯეთ 350 მილიარდი დოლარი, მათ კი 100 მილიარდი დოლარი დახარჯეს. ამ დროს ჩვენ ოკეანე გვყოფს. **ბაიდენმა** გამოყო გაცილებით მეტი ფული, ვიდრე ევროპამ. მოდით, გავათანაბროთ ანგარიში. დღეს მე მივიღე მნიშვნელოვანი წერილი უკრაინის პრეზიდენტ **ზელენსკისაგან.** წერილში ნათქვამია: **„უკრაინა მზადაა, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან რაც შეიძლება მალე, რათა მოახლოვდეს მტკიცე მშვიდობა“.**

„არავის სურს უკრაინელებზე მეტად მშვიდობა, — წერს იგი, — მე ჩემი გუნდით მზად ვარ, ვიმოქმედო **პრეზიდენტ ტრამპის** ხელმძღვანელობით. ჩვენ ნამდვილად ვაფასებთ, რომ ამერიკამ ძალიან ბევრი გააკეთა უკრაინის დასახმარებლად მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. რაც შეეხება შეთანხმებას სასარგებლო წიაღისეულსა და უსაფრთხოებაზე, უკრაინა მზადაა, ხელი მოაწეროს მას ნებისმიერ დროს“.

მე ვაფასებ, რომ მან ეს წერილი გამოგზავნა. პარალელურად ჩვენ გვქონდა სერიოზული მოლაპარაკებები რუსეთთან. მე მივიღე მკაფიო სიგნალი, რომ ისინი მზად არიან მშვიდობისათვის. განა ეს მშვენიერი არ არის?! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან).***

მე მჯერა, რომ იმ დღეს ბატლერში სიკვდილს გადავურჩი ფრიად წონადი მიზეზით. მე გადამარჩინა ღმერთმა, რათა ამერიკა კვლავ დიადი გავხადო! ***(ტაში. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან!).***

ძვირფასო ამერიკელებო, ემზადეთ წარმოუდგენელი მომავლისათვის, რადგან ამერიკის ოქროს ხანა ეს-ესაა დაიწყო! **მადლობა თქვენ, დაე, გფარავდეთ ღმერთი, დაე, ფარავდეს ღმერთი ამერიკას!** *(მქუხარე ოვაცია. რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან, დემოკრატები დაჩქარებული წესით ტოვებენ დარბაზს).*





13 წლის დიჯეი დანიელს აშშ-ის საიდუმლო სამსახურის მოწმობა გადაეცა




ბოროტმოქმედის მიერ მოკლული პოლიციის ოფიცრის დილერის ქვრივი სტეფანი



13 წლის ჯენუარ ლიტლჯონი, რომელსაც სკოლაში უჩუმრად შეუცვალეს სქესი, ძალადობის წინააღმდეგ მამაც მებრძოლად ჩამოყალიბდა

## ეს ითქვა! ★

გენერალისიმუსი
2025 წლის 10 მარტი. №10 (306)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

**მსოფლიოში ახალი ერა დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ნიღაბი ჩამოხსნა ფარულ დასს (დიფ სთეიტს რედ.) და აღმოჩნდა, რომ არამარტო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები, არამედ ევროპის ლიდერებიც, რომლებიც დემოკრატიული ღირებულებებით იწონებდნენ თავს, კორუფციის ჭაობში ყოფილან ჩაფლული. გვესაუბრება უფლებადამცველი და ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი:**

# ირაკლი ზაქარეიშვილი: მაღალი ალბათობით, წელიწად-ნახევარში ამერიკა ნატოს ბლოკს დატოვებს!








— ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტის მიმართ პლანეტის მოსახლეობას ორგვარი დამოკიდებულება აქვს — უმრავლესობა მის გაბედულ ნაბიჯებს გულშემატკივრობს, უმცირესობა კი მზად არის, ნებისმიერ მომენტში სასიკვდილოდ გაიმეტოს. კორუფციის მასშტაბებით განცვიფრებულია **ტრამპის** მიერ შექმნილი **მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტი,** რომელსაც **ილონ მასკი** ხელმძღვანელობს. წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ, რომ „იუსაიდის" მეშვეობით მთელ მსოფლიოში ფინანსდებოდა სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც სინამდვილეში შირმას წარმოადგენდა, ხოლო რეალურად ეს ფული ხმარდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინტერესებს, **ფარული დასის** ნების შესაბამისად. წარმოიდგინეთ, **საპენსიო ფონდში აღმოაჩინეს 19 მილიონი 120 წელს მიტანებული ადამიანი, რომელიც თითქოს პენსიებს და სხვადასხვა შემწეობას იღებდა, სინამდვილეში კი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.** ანუ, რეალურად, მუშაობდა საკმაოდ ორგანიზებული და გამართული „ატკატების" სისტემა და უკრაინის მოვლენებიც სწორედ ამას უკავშირდებოდა. ეს გახლდათ **ფარული დასის** მიერ ფულის გათეთრების გრანდიოზული პროექტი და ასობით მილიარდი დოლარი, რომელიც ვითომ უკრაინის დასახმარებლად, გამოიყოფოდა, ილექებოდა როგორც ამერიკელი, ისე ევროპელი მაღალჩინოსნების ჯიბეში. ამ ფულით ფინანსდებოდა მედიის, სინამდვილეში კი საზოგადოების დეზინფორმირების სამსახურები. ამიტომაც არ არის ძნელი დასაჯერებელი, რომ მავანს ტრამპის მოშორება სურს. უპირველესად ისინი, ვისი უმძიმესი დანაშაულებიც ტრამპის ახალმა პოლიტიკამ ამხილა და გააშიშვლა!

**— არის თუ არა ტრამპი გულწრფელად მოწოდებული, მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად და უკრაინაში ომის შესაჩერებლად?**

— აღმოჩნდა, რომ **ტრამპი** ამისთვის მართლაც არის მოწოდებული, მაგრამ არც **ზელენსკის** და არც მის მფარველებს ომის დასრულება არ აწყობთ! ეს თვალნათლივ გამოჩნდა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში, სადაც **ზელენსკიმ ტრამპს** ლამის ქუჩური გარჩევა მოუწყო და იშვიათი ლითონების შეთანხმებაზე ხელმოწერა ჩაშალა. ამის შემდეგ **ზელენსკი** ევროპაში ჩავიდა, სადაც ევროპელმა ლიდერებმა მრავალმილიარდიანი პროექტი და ყოველმხრივი დახმარების პირობა დააჩვედრეს. მათ ძალიან კარგად იციან, თუ ომი დასრულდება, ფინანსური

**„თანამედროვე ე.წ. ოპოზიციონერებიც ფარული დასის ბაღლინჯოები არიან!"**




წყაროები გადაეკეტებათ, ხოლო ფარული დასის ჩამოშლის შემთხვევაში, ხალხი თავიანთ მთავრობებს — ომის პარტიის დამქაშებს რადიკალური ფორმებით, სულაც ლინჩის წესით მოთხოვს პასუხს.

**— ნუთუ ფარული დასი მართლაც შეიძლება ჩამოიშალოს და კაცობრიობამ დაისვენოს?**

— მოვლენები საკმაოდ საშიშ ფაზაში შევიდა. ამერიკამ შეუწყვიტა ყოველგვარი დახმარება უკრაინას როგორც შეიარაღების, ასევე სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ხოლო ევროპა გამალებით ცდილობს, თავად იტვირთოს ეს ფუნქციები. ასეთი დამოკიდებულება უეჭველად წარმოქმნის ნატო-რუსეთის მძაფრი კონფლიქტის რისკს და არც ისაა გამორიცხული, ტრამპის ადმინისტრაციამ ამერიკა ნატოს ბლოკიდან გამოიყვანოს! ამას სჭირდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა, სადაც მცირე უპირატესობა აქვთ რესპუბლიკურ პარტიას, თუმცა, წინ არჩევნებია და ტრამპის მიზანია, ფარული დასის საფუძველი ჩამოშალოს, რათა დემოკრატიულმა პარტიამ გამარჯვება ვეღარ შეძლოს, რესპუბლიკელებმა მყარი უმრავლესობა მიიღონ და მავნებლები საბოლოოდ დაასამარონ. **ვფიქრობ, ამ მხრივ სიტუაცია წელიწადნახევარში დალაგდება და, მაღალი ალბათობით, ამერიკა ნატოს ბლოკს დატოვებს.**

**— რაღა დარჩენია ფარულ დასს, ანუ დიფ სთეითს, თუ არა ტრამპის ლიკვიდაცია?**

— ტრამპის ლიკვიდაცია უკვე არაერთხელ სცადეს. მანამდე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გაუყალბეს ადგილობრივმა მავნებლებმა, ხოლო სოციალურ ქსელებში **ტრამპი** პირდაპირ იბლოკებოდა! უკვე გაირკვა, რომ **ტრამპის** ლიკვიდაციის ერთ-ერთი მცდელობა უკრაინის სპეცსამსახურებს უკავშირდება, ისინი მაქსიმალურად დაინტერესებულები იყვნენ, იგი პრეზიდენტი არ გამხდარიყო. ამჟამად **ტრამპი** აპირებს ყველა საიდუმლო მასალის გამოქვეყნებას, რასაც **ფარული დასი** არჩევნების პროცესში სჩადიოდა, მათ შორის, არასრულწლოვან გოგონათა სექსუალურ თრეფიკინგსა და მკვლელობებში მსჯავრდებული **ჯეფრი ეპშტეინის** ფაილების დღის სინათლეზე გამოტანას. **ფარული დასი** იმდენად გათავხედდა, რომ ეპშტეინის მასალების დამალვაც კი სცადა, მაგრამ გამოძიების ფედერალურმა ბიურო უკვე ამოიღო სათანადო დოკუმენტები და ამჟამად ამერიკის გენერალურ პროკურატურაში მათი დამუშავება მიმდინარეობს. ასევე გამოქვეყნდება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მასალები, საიდანაც გაირკვევა, რომ ეს საშინება ტერორისტებმა კი არა, დიფ სთეითის დამქაშების ჩადენილია! ასეთი მძაფრი მხილების ფონზე, რა თქმა უნდა, ფარული დასი გულმოდგინედ შეეცდება მამხილებლის დადუმებას, ანუ ლიკვიდაციას, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად შეძლებენ ამას. თანამედროვე ქართული ე.წ. ოპოზიციონერებიც ამ ფარული დასის ბაღლინჯოები არიან და საქართველოს ხელისუფლებას ამ მავნებლების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მართებს, თუნდაც **სალომე ზურაბიშვილის** წინააღმდეგ, რომელსაც შეწყალების აქტის გამოცემისას დიდი ოდენობით ქრთამი (მოიპოვება ასეთი მასალები!) აქვს აღებული. თუნდაც უცხოეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით **ბაჩიაშვილის** საზღვარზე გაპარების ისტორიაც დეტალურად არის შესწავლილი!

**— უკრაინასთან დაკავშირებით საინტერესო განცხადება გაავრცელა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა...**

— მან თქვა — თუ რომელიმე რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირში შესვლით მიიღო სიმდიდრე და მიიმატა რუსეთის ისტორიული ტერიტორიები, უნდა დარჩეს თავდაპირველ საზღვრებში. მე კი დავაზუსტებ, რომ უკრაინა თავიდან ბოლომდე ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა, რომლის ისტორიაც ლენინის სახელს უკავშირდება. უკრაინა მუდამ იყო რუსეთის განუყოფელი ნაწილი, ვისი მიწებიც მოგვიანებით **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ლენინის შექმნილ რესპუბლიკას აჩუქა. შეგახსენებთ, რომ თვით ლენინის მიერ შექმნილ რესპუბლიკაშიც კი საერთოდ არ შედიოდა ყირიმი!

**— და მაინც, ვის არ უყვარს ტრამპი ან ვის და რატომ მოსწონს აშშ-ის ახალი პრეზიდენტი?**

— ტრამპმა ორიენტირი კონსერვატიული ღირებულებებისკენ აიღო და კრაზანების ბუდეში დიხლოფოსი ჩაასხა. ამერიკის საკანონმდებლო არჩევნებამდე **ტრამპმა** უნდა მოასწროს და მსოფლიოს ხალხების მახრჩობელა ფარული დასი ბეჭებზე დაადოს, რითაც უზრუნველყოფს ამერიკის და მთელი მსოფლიოს ნორმალურ განვითარებას. უკვე საყოველთაოდ გაცხადდა, რომ ფარული დასის შავი სალარო მთლიანად პლანეტის მოსახლეობის შემცირებას, ომების ხელოვნურად გამოწვევას და სხვა პროვოკაციებს ხმარდებოდა. შესაბამისად, ტრამპი უყვარს პლანეტის ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფარული დასის პოტენციურ მსხვერპლად მოიაზრებოდა და ვისაც პლანეტაზე მშვიდობა სურს. ტრამპი მოსწონთ კონსერვატიული მენტალიტეტის ადამიანებს, ვისაც სწამს ღმერთი, გააჩნია ზნეობა და სინდისი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** სწორად აღნიშნა, რომ ყველა უბედურება ევროპიდან წამოვიდა, დაწყებული ჯვაროსნებით, გაგრძელებული ინკვიზიციით და ბოლოს — ფაშიზმით, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ 1945 წლის მაისში მომაკვდინებელი დარტყმა იგემა, თანამედროვე ევროპაში ისევ წამოყო თავი. **იკვეთება პერსპექტივა, რომ ევროპის შუაგულში ფაშიზმზე გამარჯვების დროშას მალე ისევ რუსეთი აღმართავს, მთავარია, ქართველები ამ ბრძოლაში სწორ მხარეს აღმოვჩნდეთ!**

**— შესაძლებელია თუ არა, რომ ლიბერასტული ფაშიზმის წინააღმდეგ ომში რუსეთი და ამერიკა ერთ სანგარში აღმოჩნდნენ?**

— შესაძლებელია, თუმცა, სხვა ინტერესებიც იკვეთება — **რუსეთი არ დათმობს პარტნიორობას ჩინეთთან და ირანთან.** თუ აშშ ამას შეეგუება, პლანეტაზე მშვიდობა დაისადგურებს!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-10



# ლაზარე ჯორბენაძე: სააკაშვილსა და მის ნაცხროვას მხოლოდ ამ გზით, სულ მცირე, 30 მილიარდი დოლარი აქვთ ამოღებული ჩვენი მოსახლეობის ჯიბიდან!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე იმ გაუგონარი ფინანსური მაქინაციების შესახებ საუბრობს, რომელსაც სააკაშვილის ხროვა ცხრაწლიანი მმართველობის წლებში მიმართავდა:***

**„როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, გენერალურ პროკურატურაში 13 ათას 400 საჩივარი იდო, სადაც საქართველოს მოქალაქეები ბანკებს, სასამართლოს, ადეიშვილის პროკურატურას, აღსრულებას და კეზერაშვილის ფინანსურ პოლიციას ქონებებისა და ფულის წართმევის გამო ედავებოდნენ!“**

— სააკაშვილის რეჟიმი ორ მთავარ ბურჯს ეყრდნობოდა — ერთი იყო შიშველი სისხლიანი დიქტატურა და ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, ხოლო მეორე — ბიზნესმენების გაკულაკება და ქონებების ჩამორთმევა! ეს უკანასკნელი საბოლოო ჯამში მაინც ბანკების საშუალებით ხორციელდებოდა. ძირითადად ამ საქმისთვის გამოიყენებოდა ორი ბანკი — **„საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“**, რომლებიც შექმნილია შევარდნაძის მიერ მეანაბრეებისთვის წართმეული ფულით და ორივეს სათავეში დგანან შევარდნაძის ხელისბიჭები — **მამუკა ხაზარაძე და ნიკა გილაურის** ძმა. ნაცრეჟიმის დროს, წართმეული ქონებებისა და ფულების სახით, ამ ბანკების ანგარიშებზე ილექებოდა მილიარდები, რომლებიც მერე გადაიქაჩებოდა სააკაშვილისა და მისი ხროვის „ობშიაკში“...

**— ბატონო ლაზარე, მაინც რა მეთოდით ართმევდნენ სააკაშვილის ყასბები ადამიანებს ფულსა და ქონებას?**

— პირველ რიგში, პიროვნებას მიზანში რომ ამოიღებდნენ, **კუდ**-ისა და **სოდ**-ის თანამშრომლები დაიწყებდნენ მის თვალთვალს და დაკვირვების ქვეშ მყოფი ობიექტის შესახებ ინფორმაციების შეგროვებას. ამის შემდეგ, პიროვნებას რომ დაიჭერდნენ და საქმეების შეთითხნას მორჩებოდნენ, პატიმარს გადაამისამართებდნენ ბანკებთან — **„თიბისი ბანკთან“ ან „საქართველოს ბანკთან“** და საპროცესო შეთანხმებისთვის აღებინებდნენ დიდძალ სესხს. დასკვნით ეტაპზე იწყებოდა ძალიან საინტერესო პროცესი — **დავით კეზერაშვილის** ფინანსური პოლიცია საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლებულ ბიზნესმენს განგებ და მიზანმიმართულად შეუქმნიდა პრობლემებს, რის გამოც ბიზნესმენი ბანკში აღებული სესხის დაფარვას ველარ ახერხებდა და იძულებული იყო, ყველაფერზე წასულიყო! აი, სწორედ ამ დროს ერთვებოდა საქმეში ბანკი, რომელიც გაცემული სესხის სანაცვლოდ, ბიზნესმენს ჩალის ფასად ართმევდა უზარმაზარ ქონებას. **აქ საუბარია ათასობით ჩამორთმეულ ქონებასა და მილიარდობით დოლარზე, რომელიც ხალხს წაართვეს!** ადრე ამის შესახებ განვაცხადე და პროკურატურისა და სპეცსამსახურების გასაგონად კიდევ ერთხელ ვაცხადებ: **სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს „საქართველოს ბანკმა“ გამოსცა 500 მილიონი დოლარის ფასიანი ქაღალდები – ობლიგაციები. ეს ფული შევიდა „საქართველოს ბანკში“, თუმცა, ქვეყნის აღმშენებლობასა და სიკეთეს არ მოხმარებია და უცხოეთში გადაიქაჩა!**

**— მაინც სად გადაქაჩეს ამოდენა თანხა?**

— ჩემი ინფორმაციით, ამ ფულით ოდესაში მყოფმა **მიხეილ სააკაშვილმა** უკრაინაში „საქართველოს ბანკის“ ფილიალი გახსნა!

**— „საქართველოს ბანკი“ სააკაშვილის საკუთრებაა?**

— დღევანდელი მდგომარეობით, **„საქართველოს ბანკის“** უკან ოფიციალურად დგანან **ნიკა გილაური და მისი ძმა.** სხვათაშორის, **„თიბისი ბანკის“** მეპატრონე, მევახშე **მამუკა ხაზარაძე** ბევრად უფრო ამაზრზენი და სულიერად გახრწნილი ადამიანია, ვიდრე **ძმები გილაურები.** სააკაშვილი **გილაურებსა და „საქართველოს ბანკს“** დავალებებს აძლევდა, თუ რა დანაშაული უნდა ჩაედინათ, ხოლო **მამუკა ხაზარაძეს,** იმდენად ბინძური და ვერაგია, დავალების მიცემა არც სჭირდებოდა, თვითონაც სიამოვნებით სჩადიოდა ათასგვარ სისაძაგლეს!

**— კიდევ ვინ აძლევდა ბანკებს დავალებას, გაეტყავებინათ და ქონება წაერთმიათ ბიზნესმენებისთვის?**

— ცხადია, ბრძანებას იძლეოდნენ უშუალოდ **სააკაშვილი ან სააკაშვილის პრემიერ-მინისტრები,** მაგრამ ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის **გიორგი ქადაგიძის** პოზიცია! კარგად მახსოვს, სააკაშვილის დროს ეროვნული ბანკის საბჭოში მესტვირიშვილი მუშაობდა... საერთოდ, იმ საბჭოში სუყველა ნაცი იყო, სხვას იქ ვერ ნახავდით. სხვათაშორის, სააკაშვილის დროინდელი კადრები — გაქანებული ნაცები, ეროვნული ბანკის საბჭოს ბოლო დრომდე შემორჩნენ. თუ გახსოვთ, **ნათია თურნავას** პრეზიდენტობის დროს ეროვნული ბანკის საბჭოში ჩაბუდებულმა ნაცებმა „პროტესტის ნიშნად“ უწყება დატოვეს! ამ ხალხმა ყველაფერი იცის იმის შესახებ, რაც ეროვნულ ბანკში სააკაშვილის დროს ხდებოდა!



**„ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პირწავარდნილი ნაცი გიორგი ქადაგიძე დღემდე არავის დაუკითხავს და გენერალური პროკურატურა მისი წარსული საქმიანობითა და ჩადენილი მაქინაციებით არ დაინტერესებულა!“**

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პირწავარდნილი ნაცი **გიორგი ქადაგიძე** დღემდე არავის დაუკითხავს და საქართველოს გენერალური პროკურატურა მისი წარსული საქმიანობითა და ჩადენილი მაქინაციებით არ დაინტერესებულა!

**— ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე მაინც რა სახის მაქინაციებში მონაწილეობდა?**

— სქემა ასეთი იყო: ეროვნულ ბანკში არსებობს სავალუტო რეზერვები. ეს მოძრავი თანხაა, რომელიც ხან იზრდება, ხან — მცირდება. თუ ლარი უფასურდება, მაშინ ეროვნული ბანკი პროცესში უნდა ჩაერიოს, რათა ეროვნული ვალუტის სიმყარე შეინარჩუნოს, ხოლო, თუ ლარი მყარდება, მაშინ ეროვნული ბანკი პირიქით უნდა მოიქცეს და უცხოური ვალუტა იყიდოს. **სააკაშვილის** დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები 10-დან 25 მილიარდ დოლარამდე მერყეობდა... საკმარისია, დიდი ოდენობით დოლარი გაუშვა ბრუნვაში, ლარი მაშინვე გაუფასურდება, მაგრამ, თუ დოლარს მცირე პორციებით მიაწვდი ბაზარს, მაშინ სულ სხვა პროცესები წავა...

**— მოკლედ, ვალუტის კურსის მანიპულაცია ხელოვნურად შესაძლებელია?**

— ცხადია, შესაძლებელია! ერთბაშად 5 და 10 მილიარდი დოლარი რომ გაუშვა ბაზარზე, ეს საქართველოს ეკონომიკას დააქცევს, მაგრამ, **თუ 500 ან 400 მილიონ დოლარს გაყიდი და მცირე პორციით მოახდენ მანიპულაციას, მაშინ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, ეს 500 და 400 მილიონი დოლარი 70-დან 100 მილიონ დოლარამდე სუფთა მოგებას დატოვებს.**

**— ანუ ფული ფულს მოიგებს?**

— დიახ! სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, **გიორგი ქადაგიძის** ეროვნული ბანკი სწორედ ამ მანიპულაციებითა და მაქინაციებით იყო დაკავებული! საქართველოს ეროვნულ ბანკს, სააკაშვილის ბრძანებით და ბანკის პრეზიდენტ **გიორგი ქადაგიძის** დასტურით, სისტემატურად გაჰქონდა ბაზარზე სავალუტო რეზერვების თანხები, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა დაფარულად, ანუ „ლევად“... საერთოდ, სავალუტო რეზერვების თანხები, როგორც წესი, დასაწყობებულია და როცა თანხა ბაზარზე გასაყიდად გადის, ამის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაცია დგება — რა თანხა გაიტანეს, რატომ გაიტანეს და ა.შ. **სააკაშვილის** დროს, გარდა იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაშიც ეროვნული ბანკი ბაზარზე ოფიციალურად ყიდდა დოლარს, პარალელურად „ლევი“ ფულიც სისტემატურად გაჰქონდათ და თანხის „ტრიალის“ შედეგად, ძალიან სერიოზულ მოგებას ნახულობდნენ!

**— მაინც რა თანხა გაჰქონდათ „ლევად“?**

— ჩემი ინფორმაციით, ყოველ

## კვირგვინოსნები



**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

**არანაირ არჩევნებში მონაწილეობას არ აქვს აზრი,** თუ ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც ითვლის. აუცილებელია ახალი, სამართლიანი თამაშის წესები, რათა **ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები.**

„პირველი არხი“



**ბექა ლილუაშვილი**
*„გახარია — საქართველოსთვის“ წევრი*

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოებაში არანაირი მოთხოვნა არ არსებობს **თვითმმართველობის არჩევნებზე,** ჩვენ ვემზადებით ამ არჩევნებისთვის, **ნებისმიერი არჩევნებისთვის ვართ მზად.**

„პირველი არხი“



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

**თვითმმართველობის არჩევნებზე ვიდრე გადავალთ,** 100 დღეა, ხალხი ქუჩაშია და **ხელახალ, სამართლიან არჩევნებს ითხოვს,** ეს დგას დღის წესრიგში, სხვა საკითხებზე ჩვენ არ ვმსჯელობთ.

„პირველი არხი“



**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი*

**თვითმმართველობის არჩევნებზე** დღეს საუბარი არის იმ ადამიანების ღალატი, რომლებიც ციხეში არიან და **ახალ არჩევნებს** ითხოვენ.

„პირველი არხი“



**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი*

მოსწონთ თუ არა **არალეგიტიმური ხელისუფლების** წარმომადგენლებს, **დღეს ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი,** რომელსაც დასავლური სამყარო ესაუბრება, **სალომე ზურაბიშვილია.**

„აიპრესი“



**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*

საქართველოში **ოპოზიცია ოროსანია!**

„ახალი თაობა“


ნიკა გილაური–ირაკლი გილაური–მამუკა ხაზარაძე

„სააკაშვილი გილაურებსა და „საქართველოს ბანკს“ დავალებებს აძლევდა, თუ რა დანაშაული უნდა ჩაედინათ, ხოლო მამუკა ხაზარაძეს, იმდენად ბინძური და ვერაგია, დავალების მიცემა არც სჭირდებოდა!“

ორშაბათს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებიდან დაახლოებით 200-დან 500 მილიონ დოლარამდე გაჰქონდათ და პარასკევს ამ თანხას ისევ უკან იბრუნებდნენ.

გატანილი თანხა პარასკევს, ნაშუადღევს, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების განყოფილებაში შედიოდა, სადაც მისი აღრიცხვა ხდებოდა და ყველაფერი წესისა და რიგის თანახმად მოწმდებოდა, მაგრამ ის თანხა, რასაც ეს ფული იმ ერთი კვირის განმავლობაში იგებდა, მიდიოდა სააკაშვილისა და მისი ხროვის ჯიბეებში!

ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა, ძალიან მაგარმა ეკონომისტებმა დათვალეს და დაასკვნეს, რომ აი, ამ მაქინაციის გზით, რომლის უშუალო თანამონაწილე და შემოქმედი ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე** იყო,

**სააკაშვილი და მისი ხროვა, სუფთა მოგების სახით, კვირაში 70-დან 100 მილიონ დოლარამდე მაინც შოულობდნენ!**

გამოთვალეთ, რამდენი კვირაა იმ ცხრა წელიწადში, რაც სააკაშვილი საქართველოს სისხლს წოვდა, გაამრავლეთ ეს ყველაფერი საშუალოდ 80 მილიონზე მაინც და ნახავთ, რასაც მიიღებთ!

**— ცხრა წლის განმავლობაში დაახლოებით 39 მილიარდი დოლარი გამოდის!**

— დიახ, სააკაშვილსა და მის ხროვას მხოლოდ ამ გზით, **სულ მცირე, 30 მილიარდი დოლარი მაინც აქვთ საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული!** ეს ქონება, ეს მილიარდები ნაწილდებოდა ნაციონალური მოძრაობის ხროვის წევრებზე და ხმარდებოდა მათი ოჯახებისა და ახლობლების ბედნიერებას. სპეცსამსახურების, ფინანსური პოლიციისა და ბანკების გარდა ქონების წართმევის პროცესში ასევე აქტიურად იყო ჩართული **აღსრულების ეროვნული ბიურო,** რომლის სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსიც **ნიკა მელია** იყო. ცხადია, პროცესში თავიდან ბოლომდე ჩართული იყო სასამართლოც, რომელიც ამ უკანონობას აკანონებდა. მოკლედ, ყველა ეს უწყება მოქმედებდა შეხმატკბილებულად და ატყავებდნენ ადამიანებს.

როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, გენერალურ პროკურატურაში 13 ათას 400 საჩივარი იდო, სადაც საქართველოს მოქალაქეები ბანკებს, სასამართლოს, ადეიშვილის პროკურატურას, აღსრულებას და კეზერაშვილის ფინანსურ პოლიციას ქონებებისა და ფულის წართმევის გამო ედავებოდნენ! სამწუხაროდ და საუბედუროდ, თუ ერთეულ შემთხვევებს სათვალავში არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ იმ 13 ათასმა კაცმა სამართალი დღემდე ვერ იპოვა! სხვათაშორის, ძალიან კარგად ვიცნობ დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრ **მიხეილ სარჯველაძეს,** რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ჯერ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ იუსტიციის მინისტრი იყო. **არჩილ კბილაშვილის** გენერალური პროკურორობის დროს, როცა პროკურატურაში ხშირად მიწევდა მისვლა და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობა, არაერთხელ მისაუბრია **მიხეილ სარჯველაძესთანაც** და მითქვამს, რომ სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ დაზარალებული მოსახლეობისთვის ქონებების დაბრუნება აუცილებელი იყო!

**— მაინც რა უნდა მომხდარიყო, სახელმწიფოს რა უნდა გაეკეთებინა?**

— **მიხეილ სარჯველაძეს,** რომელიც მაშინ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობდა, ვეუბნებოდი, რომ გამოსულიყო წინადადებით, რათა ნაცების მიერ მიტაცებული ქონებების კანონიერების შესახებ სახელმწიფოს მსჯელობა დაეწყო! **სარჯველაძისგან** მაშინ მივიღე ასეთი პასუხი — **ეს იმდენად მოცულობითი ქონებებია და იმოდენა თანხა დგას ამ ქონებების უკან, მათი წარმომავლობისა და კანონიერების შესახებ საუბარი საქართველოს ეკონომიკას ძალიან სერიოზულად შეარყევსო!** აი, სწორედ ამიტომაა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სააკაშვილის დროს დიდძალი ქონებები და ფული დაკარგეს, დღესაც დადიან სასამართლოსა და პროკურატურაში, მაგრამ უშედეგოდ — სამართლი და სამართლიანობა მათთვის დუმს! **ნაცების მიერ მიტაცებული ქონებები და დიდი ფული დღეს უკვე გადანაწილებულია სხვადასხვა პირებზე და აშკარაა, რომ ამ უზარმაზარი სიმდიდრის უკან დაბრუნება არავის აწყობს!**

„ნაცების მიერ მიტაცებული ქონებები და დიდი ფული დღეს უკვე გადანაწილებულია სხვადასხვა პირებზე და ამ უზარმაზარი სიმდიდრის უკან დაბრუნება არავის აწყობს!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნიკო კვარაცხელია**
*ტურიზმის სფეროს ანალიტიკოსი*



პოლიტიკური პროცესები ზამთრის ტურიზმზე საერთოდ არ ასახულა. **იანვარსა და თებერვალში გუდაურმა და ბაკურიანმა დიდი დატვირთვით იმუშავეს,** სულ მცირე, 70-80 პროცენტი იყო სასტუმროების დატვირთვა, ზოგან შეიძლება მეტიც, რაც კარგი მაჩვენებელია.

„რეზონანსი“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*



თავი უნდა დავანებოთ ახალ არჩევნებზე ლაპარაკს. **არჩევნები ბიძინა ივანიშვილის გარეშე უნდა ჩატარდეს.** 2004 წლის 6 მაისს როგორც გავუშვით **ასლან აბაშიძე** და შემდეგ მის გარეშე ჩატარდა არჩევნები, ასე უნდა მოხდეს.

„ახალი თაობა“

**მალხაზ დოლიძე**
*„საქართველოს პურის მწარმოებელთა კავშირის“ თავმჯდომარე*



**ახლა პური არ ძვირდება,** ძველ ნიშნულს უბრუნდება. დღეს **ერთი ბოთლი წყალი უფრო ძვირია, ვიდრე — პური.**

„რეზონანსი“

## აკადემიკოსის სიტყვა




# განათლების სამინისტროში საქართველოს მტრები არიან ჩანერგილი და დღემდე კახა ლომაიას კანონებით მოქმედებენ!

***ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და კრიტიკოსი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აცხადებს, რომ 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების შემსწავლელი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის საქმიანობას არავითარი აზრი არ ექნება, თუ ზვიად გამსახურდიასა და გურამ შარაძის მკვლელობა არ გახსნა:***

— ე.წ. დიფ სთეითისგან (ფარული დასი. რედ.) პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** ნახევარზე მეტი ამერიკა გაწმინდა, მაგრამ საქართველოს განათლების სამინისტროს საშველი მაინც არ დაადგა. გეკითხებით — **რატომ არის დღევანდელ თბილისში ლანა ღოღობერიძის მამის, საქართველოს ცეკას მდივნის ლევან ღოღობერიძის სახელობის ქუჩა, რომელიც ხალხს ხვრეტდა და რატომ შეიტანეს ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ სისხლიანი ქალის, ლანა ღოღობერიძის ბიოგრაფია, რომელიც იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამამხობლების ავანგარდში?!**

ჩვენი სასკოლო პროგრამები ისეთი საშინელებაა, ლანა ღოღობერიძის კი არა, უფრო დიდი უბედურების ბიოგრაფია რომ არ შეიტანეს, ეგეც დიდი ამბავია. რა არ ვიღონეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით შევძელით თბილისში რომელიმე ქუჩისთვის სახელოვანი მეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი მიგვენიჭებინა. და ამ დროს, თურმე, ლევან ღოღობერიძის სახელობის ქუჩა გვქონია. კი ბატონო, კარგი კინორეჟისორი იყო, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრებით საქართველოს მტრობდა. **ლანა ღოღობერიძის ქალიშვილები კიდევ ცალკე საუბრის თემაა, რასაც ამ ხნის კაცი ვარ და არ ვიკადრებ...** მთელი თავისი ცხოვრება ილია ჭავჭავაძეს მტრობდა, ილიას ნაშენებს ანგრევდა და ამის მიუხედავად, ამ ბოლო ხანს, ლანა ღოღობერიძე ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიაზეც კი წარადგინეს! განა ეს სირცხვილი არ არის? **ამ სისხლიან ქალს, ყოველივე ეროვნულისა და ქართულის მტერს რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიაზე წარადგენ, ილია ჭავჭავაძე საფლავში არ ამოტრიალდება?** არ ვიცი, ამ ინტერვიუს შემდეგ განათლების სამინისტროში ვინმე გამოფხიზლდება თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ არაკომპეტენტურმა კადრებმა ქვეყანა დაღუპეს. თანამდებობაზე კაცი ინიშნება, განათლების მინისტრი ხდება და მისი არც წარსული და არც აწმყო კარგად არ ვიცით!

**— თუ განათლების მინისტრის ალექსანდრე წულაძის შესახებ ამბობთ ამას, გეტყვით, რომ იგი ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის კადრია, მისი მრჩეველი იყო, რომელიც მერე ნაცებმა საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშნეს!**

— ადამიანები, როგორც წესი, არ იცვლებიან, მაგრამ პოზიციებს იმის მიხედვით იცვლიან, თუ საით ქრის ქარი! **განათლების სამინისტროში ხუთი განყოფილებაა და ხუთივემ პროტესტი გამოთქვა გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო!** ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ერზე მოფიქ-

გაგრძელება 22-ე გვერდზე

# ელიზბარ ჯაველიძე: ამერიკაში პრეზიდენტად მოვიდა დიფ სთეითის დაუძინებელი მტერი და ახლა მაინც გამოაცხადეთ გახსნილად ზვიადის მკვლელობა!



*დასაწყისი 21-ე გვერდზე*

რალი ხალხი კი არა, საქართველოს მტრები არიან ჩანერგილი. ეს უწყება მიშისტების ბუნაგია. ეს ხალხიც მისი შექმნილია და დღემდე კახა ლომაიას კანონებით მოქმედებს! დადის და განათლების სამინისტროს ხალხი უმაღლეს სასწავლებლებში ვითომ განათლების ხარისხს ამოწმებს. ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს კომუნისტების დროინდელ მაქინაციებს, რაც ე.წ. ობეხესთან იყო დაკავშირებული. „ობეხესის“ თანამშრომლები, რომლებიც, როგორც წესი, გაქანებული მექრთამეები იყვნენ, შევიდოდნენ, რომელიმე საწარმო-დაწესებულებაში და სანამ ქრთამის სახით დიდძალ ფულს არ აიღებდნენ, იქიდან არ გამოდიოდნენ.

**— ბავშვები ლექცია-სემინარებზე არ დადიან, სწავლა-განათლების პროცესი, ფაქტობრივად, პარალიზებულია, სტუდენტები უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებენ და არავითარი განათლება არა აქვთ... ამას რა ეშველება?**

— ყველაფერი სკოლიდან არის დასაწყები, რომელიც განათლებას ვერ იძლევა! გუშინწინ პროფესორი **სოსო სიგუა** მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა, სტუდენტებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, ვინ არის გალაკტიონი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიო! ასეთმა ხალხმა უმაღლესი როგორ უნდა დაამთავროს?! ერთი პერიოდი სამშობლოს ხსენება აკრძალეს, ცნება „სამშობლო“ ყველაფრიდან ამოიღეს, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ სახელმძღვანელოებიდან გააქრეს... შედეგად რა მივიღეთ? აი, ის უბედურება, რაც ყოველ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე ტრიალებს, როცა ახალგაზრდების რაღაც ჯგუფი პარლამენტის წინ უშვერი სიტყვებით ილანძღება! დიახ, ყოველ საღამოს ადამიანების რაღაც ჯგუფი, თითქოს სამსახურში მიდიოდეს, ისე იკრიბება ქვეყნის მთავარ ქუჩაზე და ეს ოპოზიცია არ არის, ესენი არიან ჩვენი ქვეყნის მტრები, რომლებთანაც ენის მოჩლექით საუბარი ყოვლად დაუშვებელია!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიჭრნენ ეს გარეწრები... ე.წ. „შტურმავიკებს“ შორის ძირითადად იყვნენ ე.წ. ილიაუნის სტუდენტები. არადა, წიხლებით არიან ეს გარეწრები გამოსაგდები და ეს „ილიაუნიც“ გასაუქმებელია...

დღეს საქართველოში სულ შვიდი თუ ექვსი სახელმწიფო უნივერსიტეტია და 46 — კერძო. კომუნისტების დროს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონს აჭარბებდა და 17 უმაღლესი სასწავლებელი მთელ რესპუბლიკას ჰყოფნიდა. მართლაც არ სჭირდება საქართველოს ამდენი უმაღლესი სასწავლებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი გამოსახშირია... **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის** რექტორმა, აკადემიკოსმა **დავით გურგენიძემ** მოახერხა და ტექნიკურ უნივერსიტეტში ეროვნული, ქართული სული შეინარჩუნა. რაც შეეხება **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს,** მის რექტორს, აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას** არ ვემდური, მას უნივერსიტეტში მარტივი სიტუაცია არ დახვედრია. მოგეხსენებათ, იქაურ პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობა სააკაშვილის მიერ ჩანერგილი მიშისტია, რომელიც სააკაშვილთან გადაღებული სურათებით დღემდე თავს იწონებს. ისრაელში, რომელიც მთელ მსოფლიოს აზანზარებს, ხუთი თუ ექვსი უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ ჩვენთან რომ ამბავია, ასეთი რამ არსად არ ხდება! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და უნიკალური იყო. მსოფლიო მასშტაბის კორიფეები კითხულობდნენ ლექციებს. თურქული, არაბული და სპარსული ენები უმაღლეს დონეზე ისწავლებოდა. სამწუხაროდ, აღარ არსებობს ეს ფაკულტეტი, გაანადგურეს! უნივერსიტეტის 22 ფაკულტეტი 7 ფაკულტეტამდე დაიყვანეს, უამრავი კაბინეტი მოსპეს!

**— ტრამპმა ამერიკაში აკრძალა პირბადიანთა პროტესტი და საპროტესტო აქციებში უცხოელი სტუდენტების მონაწილეობა!**

— **ტრამპი** დიდ საქმეს აკეთებს, მაგრამ ამ დიფ სთეითს ისე აქვს ფესვები გადგმული, დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. ლატვიის პრეზიდენტი, რომელიც აქამდე თავისი „პედ....ობით **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ამაყობდა, ახლა ჩვენ გვასწავლის ჭკუას და ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ აცხადებს — პედ…ტი **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ადრე ვიყავი, ახლა აღარ ვარო! მოკლედ ახლა გახდა ვაჟკაცი... ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**— საერთოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნები ამ ბოლო დროს ძალიან გვიტევენ და მტრად მოგვეკიდნენ! როცა ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი იყავით, ვიტაუტას ლანდსბერგისი — მაშინდელი ლიტვის ლიდერი, ზვიად გამსახურდიას გვერდით დაუდგა?**

— ჩვენ ლიტველებმა მაშინ გვიღალატეს და ზვიად გამსახურდიას ხანჯალი ზურგში ჩასცეს! **საერთოდ, ეს ბალტიისპირეთის ხალხები დოლარზე არიან ორიენტირებული და მაგათ უნდათ ცალმხრივი მეგობრობა,** ანუ საქართველო უნდა იყოს მაგათი მეგობარი, ხოლო მაგათ ძირი უნდა გამოგვითხარონ! მოკლედ, როგორც კი მაგათ თავიანთი გაინაღდეს, მაშინვე ზურგი გვაქციეს, როცა ზვიადს გაუჭირდა და მოსაკლავად დასდევდნენ, ერთი სიტყვაც არ გაუმეტებიათ მის დასაცავად. ასე რომ, ბალტიისპირელები არასოდეს ყოფილან ქართველი ხალხის მეგობრები, ხოლო მაგათთან ცალმხრივი მეგობრობის პოლიტიკას არანაირად არ ვემხრობი.





„დანამდვილებით ვიცი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა პროკურატურას გამოძიებული აქვს!“

**— პარლამენტში შეიქმნა 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო კომისია. გაქვთ იმედი, რომ ეს კომისია რამეს გამოიკვლევს და ხელშესახებ შედეგებს დადებს?**

— ხელისუფლებამ კარგად უნდა იცოდეს — თუ ეს კომისია ნაცების შესაშინებლად შეიქმნა, მიშისტები არ შეშინდებიან! ესენი არიან ტვინგამორეცხილი ფაშისტები და მათთან მკაცრი ლაპარაკის გარეშე არავითარი შედეგი არ დადგება. რატომ ვცემ **ირაკლი ღარიბაშვილს** უდიდეს პატივს? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ როდის თქვა: **ქალი ქალია და კაცი — კაციო...** ხოლო ნაცებთან ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვსო! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ასევე არავითარი აზრი არ ექნება ამ კომისიის მუშაობას, თუ მან **ზვიად გამსახურდიასა და გურამ შარაძის** მკვლელობა არ გახსნა! დანამდვილებით ვიცი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა პროკურატურას გამოძიებული აქვს, მაგრამ შედეგებს პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე არ ახმაურებს! მოვუწოდებ ხელისუფლებას: ამერიკაში პრეზიდენტად მოვიდა დიფ სთეითის დაუძინებელი მტერი და ახლა მაინც გამოაცხადეთ გახსნილად ზვიად გამსახურდიას მკვლელობა! ბათუმში რომ ვიყავი, მაშინ მითხრეს — **ბესარიონ გუგუშვილი ჩამოდის და აუცილებლად გნახავსო!** ჩამოვიდა, მაგრამ არც ვუნახივარ, ისე დაკრა ფეხი და წავიდა...

**— რატომ წავიდა?**

— **გუგუშვილი** იმ პრინციპით მოდიოდა, რომ ჩემთვის ეთქვა — ზვიადმა თავი მოიკლაო! ალბათ, უთხრეს, რომ ამ ზღაპრებს არ დავიჯერებდი და ამიტომაც არ შემხვდა. რატომ არ ჩამოდის **ბესარიონ გუგუშვილი** ფინეთიდან, ვის და რას ემალება? ჩამოვიდეს და ილაპარაკოს სიმართლე, რადგან მან ყველაფერი იცის! ნაწამები და მოკლული ზვიად გამსახურდია მიასვენეს იმ სახლში... ბევრი რამ ვიცი და არ მინდა, ყველაფერი ვილაპარაკო! ერთი ცნობილი კაცი ამბობდა — **მუხრან მაჭავარიანი და ელიზბარ ჯაველიძე** ქართულ მიწაზე რომ დააბიჯებენ, დიდი სირცხვილიაო! მიუხედავად იმისა, რომ არ იყო საპატიებელი, იმ კაცს მაინც მივუტევე. „ხალხის ძალას“ იმიტომ ვცემ პატივს, რომ ბევრს აუხილეს თვალი და ყველას უთხრეს, რომ არ შეიძლება არც ამერიკის, არც რუსეთის და არც ევროპის გაღმერთება! **შენი სამშობლო უნდა გაალმერთო!**

ჰიტლერმა ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის დროშა სახელმწიფო დროშად გამოაცხადა... ერთადერთი, სააკაშვილმა რაც გააკეთა, ის იყო, რომ ჰიტლერის მსგავსად, ნაცმოძრაობის პარტიული დროშა სახელმწიფო დროშად აქცია. გული მწყდება, რომ ამ ხელისუფლებამ სააკაშვილის დროშაც კი ვერ გამოცვალა!

## „რატომ არ ჩამოდის ბესარიონ გუგუშვილი ფინეთიდან, ვის და რას ემალება? ჩამოვიდეს და ილაპარაკოს სიმართლე, რადგან მან ყველაფერი იცის!“

## „ამ სისხლიან ქალს, ყოველივე ეროვნულისა და ქართულის მტერს — ლანა ღოღობერიძეს რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიაზე წარადგენ, ილია ჭავჭავაძე საფლავში არ ამოტრიალდება?“



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნინო ჩხობაძე**
*„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე*



**დიდთოვლობის მერე პრობლემა მეწყერი იქნება.** გურია ისედაც მეწყრულია. თუ თოვლი ნელ-ნელა დადნა, კიდევ არა უშავს, მაგრამ, თუ ჯერ დაადნო და მერე მოყინა, საშინელება იქნება... **არსებობს ზვავის საშიშროება, რომელმაც შესაძლოა სოფლები წალეკოს.**

„კვირის პალიტრა“

**ალექსანდრე თევზაძე**
*საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*



თოვლის დნობის პირველი შედეგია **ზვავი,** მეორე — **წყალმოვარდნა, წყალდიდობები** და **პატარა მეწყრები...** არ გამოვრიცხავ, ამ ყველაფერს მსხვერპლიც მოჰყვეს. ამიტომ ჯობს, **ახლავე დაიწყონ მოქმედება.**

„კვირის პალიტრა“

**გია მაჭარაშვილი**
*კომპოზიტორი*



დარწმუნებული ვარ, **რომელიმე დიდ ქვეყანაში რომ დავბადებულიყავი,** მაგალითად, შტატებში, **ბევრად დაფასებული ვიქნებოდი.**

„თბილისელები“

**წინა კვირას სამოქალაქო აქტივისტმა და სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლმა მიშა მესხმა, რომელიც ცნობილი მომღერლის სოფო ბედიას ქმარია, ნაცსექტანტი დავით (ტორნადო) გაბუნია სცემა. ჩხუბისა და ე.წ. ტორნადოს მიწაზე გაგორების ამსახველმა კადრებმა სოციალური ქსელები ლამის ააფეთქა... მიშა მესხის განცხადებით, ის ძალადობას არ ამართლებს, მაგრამ ადამიანი, რომელიც „ქართული ოცნების“ 1 მილიონ 200 ათას ამომრჩეველს დედას აგინებს, ადეკვატური პასუხისთვის მზად უნდა იყოს:**

# „ორ კაცთან ჩხუბში ხუთი კაცი გაგვექცა და ეს ხალხი რომელ ომსა და ვაჟკაცობაზე გველაპარაკება?“

## მიშა მესხი:



# გაბუნია არ გაჩერდა და ჩაიდინა ისეთი რაღაც, რამაც მოთმინების ფიალა ამივსო!



დავით (ტორნადო) გაბუნია

**„ე.წ. ტორნადო გაბუნიამ ჯერ ღმერთზე დაიწყო აგდებულად ლაპარაკი, მერე გადავიდა საპატრიარქოზე, პოლიციაზე და ბოლოს ყველაფერზე!“**

— 2025 წლის 3 მარტს, გამთენიისას, ჩემს მეუღლესთან და რამდენიმე მეგობართან ერთად რესტორანში ვიყავი. გარეთ რომ გამოვედით, მერე გადავინაცვლეთ შარდენზე, „სტელაში“... დაახლოებით დილის 4 საათი იქნებოდა...

**— სულ რამდენი კაცი იყავით?**

— მე, ჩემი ძმაკაცი, ჩემი მეუღლე და ჩემი მეუღლის ორი მეგობარი გოგო... „სტელაში“ გვითხრეს, რომ ხუთი კაცისთვის მაგიდა არ ჰქონდათ და ცოტა უკანა მხარეს შეძლებდნენ ჩვენს მოთავსებას. გავხედე და ჩვენი მაგიდიდან დაახლოებით ათ მეტრში **დავით (ტორნადო) გაბუნია** ხუთ კაცთან და ერთ გოგოსთან ერთად იჯდა... ერთი ბიჭია, რომელიც შარდენზე დოლით დადის და მოწყალებას ითხოვს... ის ბიჭი სუფრასთან მოვიპატიჟე და გავუმასპინძლდი. ამასობაში **გაბუნიას** სუფრიდან ერთი კაცი მოვიდა და სიგარეტი მთხოვა. მე სიგარეტს არ ვეწევი, მაგრამ ჩემს მეგობარს ვთხოვე და იმ ბიჭს სიგარეტი მივეცით... თავად **გაბუნია** ძალიან აგრესიულად იქცეოდა, იგინებოდა... მართალია, არ უთქვამს — „მიშა მესხის დედაო“, მაგრამ აშკარად ჩემს ბოსტანში ისროდა კენჭებს.

**— მაინც რას ამბობდა და როგორ ბილწსიტყვაობდა?**

— ე.წ. **ტორნადო გაბუნიამ** ჯერ ღმერთზე დაიწყო აგდებულად ლაპარაკი, მერე გადავიდა საპატრიარქოზე, პოლიციაზე და ბოლოს ყველაფერზე... რასაც შეეხო, ყველაფერს და ყველას აგინა. მისი გინება და ბილწსიტყვაობა კარგად გვესმოდა, რადგან ჩვენი მაგიდები ახლოს იყო. ჩემი მეუღლე **სოფო ბედია** მთხოვდა, რომ **გაბუნიას** გინებისთვის ყურადღება არ მიმექცია და მისთვის ეს საღამო არ ჩამეშხამებინა. მეც მაქსიმალურად ვცდილობდი, თავი შემეკავებინა და **გაბუნიას** პროვოკაციებს არ ავყოლოდი. კაცი როცა ხედავ, რომ პიროვნება მეუღლესთან ერთად არის, ქალბატონებთან ერთად არის და ასეთ რაღაცას კადრულობ, ასე არაკაცურად იქცევი და იგინები, უკვე ნაცემი ხარ ცხოვრებით და იმას კიდევ ცემა აღარ უნდა, მაგრამ ე.წ. **ტორნადო გაბუნიას** რომელ კაცობასა და ქართველობაზე ველაპარაკო? **გაბუნია** არ გაჩერდა და ჩაიდინა ისეთი რაღაც, რამაც მოთმინების ფიალა ამივსო!

**— მაინც რა მოხდა?**

— **გაბუნია** ადგა და გასვლის მომენტში ჩემს სუფრასთან წაიმღერა — **„ოლე, ოლა, ქოცების დედის...“** აი, აქ უკვე ვეღარ მოვითმინე და მეც შევიგინე — **ვინც ჩვენი მისამართით შეიგინა, იმის დედაც-მეთქი!** გაბუნია და მასთან თანმხლები ბიჭები გასასვლელთან იდგნენ, როცა მათთან მყოფი გოგონა მომიტრიალდა და მკითხა — ვის შეაგინეო? — შენ ვინმემ რამე გითხრა? მეორე კიდევ, შენ რომ დაგტოვეს და ქალს გალაპარაკებენ, ისინი სად წავიდნენ-მეთქი? — არსად წასულან, აგერ არიანო! — მიპასუხა იმ გოგონამ... სხვათაშორის, ის გოგო ძალიან მაგარი ადამიანი აღმოჩნდა და ისინი რომ გაიქცნენ და მიატოვეს, მერე ჩვენთან ერთად დარჩა. გავედით გარეთ...**გაბუნია** და მასთან ერთად მყოფი ხუთი თუ ექვსი კაციც იქვე იყო. მივედი **გაბუნიასთან,** რომელსაც კითხვა დავუსვი და პასუხიც კი ვერ გამცა... როგორც იტყვიან, მეც გამოვედი მწყობრიდან და მოხდა ის, რაც მთელმა საქართველომ ნახა!

**— ამ ყველაფერს ტელეფონით ვინ იღებდა?**

— ყველაფერს მე ვიღებდი, რადგან კარგად ვიცოდი, თუ რა პროვოკატორებთან მქონდა საქმე. იქ კამერებიც იყო და მერე სხვანაირად რომ არ დაეწყოთ ლაპარაკი და ეს ჩანაწერები თავის ჭკუაზე არ გადაეხვიათ, ტელეფონით ვიღებდი ყველაფერს. ბოლოს და ბოლოს, მოხდა ჩხუბი... კადრები ყველამ ნახეთ... ძალადობის მომხრე არ ვარ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვრი!

**— გასაგებია, რომ გაბუნიას მოხვდა და გაგორდა, მაგრამ იმ ხუთმა თუ ექვსმა კაცმა, რომელიც გაბუნიას ახლდა, ხელი არ შემოგიბრუნა?**

— (იცინის) იქ ჩხუბი რომ ატყდა, სხვებიც წაიქცნენ და გაგორდნენ... თავიდან ე.წ. **ტორნადო გაბუნიას** ძმაკაცებიც წამომექაჩნენ, მაგრამ მერე გაიქცნენ. ერთმა წყალი შემასხა... ვისაც წავწვდი, მოვარტყი, მაგრამ აღარ მივდიე... ამის შემდეგ მოვიდა პატრული.

**— პატრული ვინ გამოიძახა?**

— პატრული თავად **გაბუნიამ** გამოიძახა. პოლიცია ჩემთან მოვიდა და მითხრა — გაბუნია ბოდიშის მოხდას ითხოვს — თუ ბოდიშს მომიხდის, არ ვუჩივლებო! ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. ამის შემდეგ არ ვიცი, რა მოხდა, ჩემსა და გაბუნიას შორის ლაპარაკი წავიდა და ასე ვთქვათ, შერიგებულებივით დავშორდით ერთმანეთს. საბოლოოდ **„ტორნადო“ გაბუნიამ** შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების თვალწინ დააფიქსირა, რომ ჩემ მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია... ასე ამოიწურა ეს კონფლიქტი.

**— სხვათაშორის, ჰააგაში გაილახა მიშა ანდღულაძეც, ანუ იგივე „ნანული“... გაბუნიასა და ანდღულაძის გალახვა დროში ერთმანეთს დაემთხვა, თუ რა მოხდა? „ნანული“ რისთვისღა ცემეს?**

— წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა! მეგობრებმა გადმომიგზავნეს მიშა ანდღულაძის ცემის ამსახველი კადრები... მეტი მაგ საქმისა არაფერი ვიცი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ძალადობასა და უსამართლობას ვებრძვი, მაგრამ, როცა შენ გამოდიხარ და 1 მილიონ 200 ათას კაცს, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა, დედას აგინებ, ამის შემდეგ რატომ გიკვირს, რომ ვიღაცა პასუხს მოგთხოვს? ადრე გადაბრუნებული სიტყვა რომ გვეთქვა, მაგის გულისთვის უმკაცრესად გვსჯიდნენ, ახლა ძალიან არიან ესენი აშვებული და „გაბლატავებული“ და ამის ბრალია ყველაფერი. როცა „სამართლიანობისთვის“ იბრძვი და ამდენ ადამიანს შეურაცხყოფას აყენებ, ეგ უკვე სამართლიანობა აღარ არის. გაივლის დრო და იმ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით გოგონებს, რომლებიც უბინძურესი სიტყვებით იგინებიან და საშინელ „სიმღერებს“ მღერიან, თავიანთი საქციელის ძალიან შერცხვებათ!

**— აუცილებლად უნდა გკითხო უკრაინის ომზე, რომელშიც საქართველოს უპირებდნენ ჩათრევას...**

**– უკრაინის ომი უკვე დამთავრებულია... გუბაზი, ალეკო ელისაშვილი და მისთანები რომ გამოდიოდნენ და ერთ ამბავში იყვნენ, უკრაინა ამ ომს იგებსო! – მოიგო უკრაინამ ეს ომი?**

ანდა ქართველი ვითომ პატრიოტები რომ გულზე მჯიღებს იბრაგუნებდნენ, ორ კაცთან ჩხუბში ხუთი კაცი გაგვექცა და ეს ხალხი რომელ ომსა და ვაჟკაცობაზე გველაპარაკება? ზელენსკი არის მეორე სააკაშვილი, რომელმაც უკრაინელი ხალხი ამოხოცა! ზელენსკი რუსეთში რუსი მილიონერების გამრთობად მუშაობდა და მათი ოჯახის წევრების გახალისებაში ფულს იღებდა. აი, ასეთი კაცი მოიყვანეს უკრაინის პრეზიდენტად და დალუპეს აყვავებული ქვეყანა. ამ ხელისუფლებას რომ არ ევაჟკაცა, საქართველო უკრაინაზე უარეს დღეში აღმოჩნდებოდა, რუსები მიწასთან გაგვასწორებდნენ და კაციშვილი ჩვენი პატრონი არ იქნებოდა!



**„ზელენსკი არის მეორე სააკაშვილი, რომელმაც უკრაინელი ხალხი ამოხოცა!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნანული ჯაჯანიძე**
*მომღერალი*



**ნატო ვაჩნაძემ** დედას ჰკითხა — **ასეთი ლამაზი ქალბატონი ვინ ბრძანდებითო?** მე ვუთხარი — დედაჩემია-მეთქი. **ნატომ მე გადმომხედა და მითხრა — შენ ვის დაემსგავსეო.** ისე მეწყინა მისი სიტყვები, რომ დღესაც გულში მაქვს ჩარჩენილი.

„სარკე“

**დავით კენჭიაშვილი**
*მომღერალი*



როცა საერთოდ არავის უფიქრია, რომ მე მუსიკალურ კარიერას შევქმნიდი, ასეთი ჩანაწერი გავაკეთე: **„აუცილებლად გავხდები ცნობილი ადამიანი და ამას მივაღწევ კიდეც!“** 14 წლის ვიყავი და არ ვიცი, რატომ ვთქვი ეს ასე დარწმუნებით, მაგრამ **რაღაც შინაგანი შეგრძნება მქონდა,** თითქოს წინასწარ ვიცოდი, რომ ეს ჩემი გზა იქნებოდა.

„კვირის პალიტრა“

**ლელა ალიბეგაშვილი**
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



**ფარაჯანოვმა** სკივრს თავი ახადა, **ამოიღო საოცრად ლამაზი თავსაბურავი და მომახურა,** მერე სურათი გადაგვიღო. ჩემს მეგობარს უთხრა — **ეს იქნება ახალგაზრდა ვარდო, სოფიკო ჭიაურელი კი ასაკში შესული ვარდოს** როლის თამაშს გააგრძელებსო.

„სარკე“

**ვლად არამოვი**
*მომღერალი*



ზუსტად ვიცი, **რომელ ქვეყანაშიც არ უნდა დავდგე დიდ სცენაზე, ისეთ სიყვარულსა და ემოციას ვერ მივიღებ,** როგორსაც საქართველოში ვგრძნობ. თბილისის ქუჩებში **სხვანაირი სუნთქვა მეხსნება** და გემოც კი მეცვლება. აქ პურსა და წყალს სხვა გემო აქვს, ჰაერს სხვა დოზით ვსუნთქავ.

„თბილისელები“

***ცნობილი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ პათოლოგიებზე მიგვითითებს, რომელთა იდენტიფიცირებაც ენის ფერის, ფორმისა და ნადების მიხედვით არის შესაძლებელი:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ე.წ. გეოგრაფიული ენა სხვადასხვა პათოლოგიების მანიშნებელია, მაგრამ, ძირითადად, კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ დაავადებებსა ან ალერგიებზე მიგვითითებს!

— არსებობს ასეთი გამოთქმა — თვალი სულის სარკეა, ხოლო ენა — ჯანმრთელობისო! ეს მართლაც ასეა. ენის ფერის, ფორმისა და ნადების მიხედვით შესაძლებელია, თავისუფლად ვიმსჯელოთ სხვადასხვა ორგანოების პათოლოგიაზე. გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობა — როდესაც მშობლები ექიმთან მიგვიყვანდნენ, ძველი თაობის ექიმები, რომლებსაც უნიკალური განათლება და გამოცდილება ჰქონდათ, პირველ რიგში, სწორედ ენას ათვალიერებდნენ და შემდეგ იწყებდნენ გამოკითხვას, თუ რა გვაწუხებდა. დღეს ამას თითქმის არავინ აკეთებს, რაც დიდი შეცდომაა, რადგან ენა ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მგრძნობიარე ბარომეტრია.

დაკვირვებულმა და საზრიანმა ექიმმა ენა არათუ პატარებს, არამედ ზრდასრულ პაციენტებსაც უნდა დაუთვალიეროს. არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ ყველა დაავადება კუჭ-ნაწლავიდან იწყება, ენა კი სწორედ კუჭ-ნაწლავის სისტემის გაგრძელებაა, რომელიც ნებისმიერ პათოლოგიაზე სწრაფად და გარკვეული ნიშნებით რეაგირებს.

**— როგორ გამოიყურება ჯანმრთელი ენა?**

— ენა კუნთოვანი ორგანოა, რომელიც ლორწოვანი გარსით და ამობურცული დვრილებით არის დაფარული. სწორედ ამ დვრილების მეშვეობით ვგებულობთ საკვების გემოს. კონკრეტულად, ენის წვერი ტკბილს შეიგრძნობს, გვერდები — მარილის გემოს, ენის ძირი მჟავიანობას აფიქსირებს, ხოლო უკიდურეს უკანა ნაწილში სიმწარის აღქმა ხორციელდება. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან მწარე საკვები საყლაპავში რომ არ გადაგვცდეს, იგი შეიგრძნობა ენის ბოლო ნაწილში, რომელიც საყლაპავთან ახლოს მდებარეობს.

ჯანმრთელი ენა მკრთალი მოვარდისფრო ფერისაა და მის შუაში სწორი ღარი უნდა გადიოდეს. ამასთან, ენა რბილი უნდა იყოს და თავისუფლად მოძრაობდეს. მცირეოდენი თეთრი ნადები ჯანმრთელი ადამიანის ენაზე დასაშვებია, მაგრამ, თუ საგრძნობლად გასქელდა, სერიოზული პათოლოგიის მაჩვენებელია!

**— მაინც რაზე მიგვანიშნებს ენაზე სქელი ნადები?**

— ნადები, როგორც წესი, ენის ფერისგან განსხვავდება. თეთრი ნადები იმას ნიშნავს, რომ მსხვილ ნაწლავში გარკვეული პრობლემაა. ეს შესაძლოა, შეკრულობის მაჩვენებელიც იყოს... ენის შუაში თხელი ნადები გასტრიტზე მიუთითებს, მაგრამ, თუ ეს ნადები გასქელდა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გასტრიტი გამწვავდა ან ქრონიკულ ფორმაში გადავიდა. ენის ძირში თეთრი ნადები წვრილი ნაწლავის პრობლემებზე მიუთითებს. თუ ენაზე ნადები ყვითელი ან შავია და ერთი კვირის განმავლობაში არ ქრება, მაშინ პრობლემა ღვიძლში, ნაღვლის ბუშტში ან ელენთაში უნდა ვეძებოთ! თუ ენის ზურგი სუფთაა, მაგრამ ნადები გვერდებსა და წვერზეა, მაშინ პრობლემა ფილტვებშია. თუ ასეთი ნადები გამუქებულია, მაშინ ფილტვის ანთებასთან, ანუ პნევმონიასთან გვაქვს საქმე.




**„ათაშანგის დროს ენაზე ერთადერთი წყლული ჩნდება, რომელიც მაგარი, ღია წითელი და უმტკივნეულოა!“**

**— ენის ფერის მიხედვით რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია?**

— თუ ენა ფერმკრთალია, ეს ანემიაზე ან გულის უკმარისობაზე მიუთითებს. ყვითელი ენა მწეველებს ან ისეთ ადამიანებს აქვთ, რომლებსაც ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის სერიოზული პრობლემები აღენიშნებათ. თუ ენა სისხლივით წითელია და კაშკაშებს, ეს ციროზის ან საჭმლის მომნელებელი სისტემის სერიოზული პათოლოგიის მაჩვენებელია. ინფექციური დაავადებების, მაგალითად, წითელას ან გრიპის დროს, ან მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში, ენა შინდისფერია. თუ ენა გაშავდა, ეს ღვიძლის ან ელენთის სერიოზულ პათოლოგიაზე მიგვანიშნებს. თუმცა, ენის გაშავება შესაძლოა, გამოიწვიოს დიზენტერიამ და საშიშმა ვირუსულმა ინფექციებმაც. ლურჯი ენა თირკმლის დაავადებაზე მიგვითითებს, ხოლო, თუ ენა ოდნავ გალურჯდა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ორგანიზმში სისხლის ცირკულაცია დაირღვა და გულს უნდა მივხედოთ. როცა ენა თეთრია, ეს გაუწყლოვნებაზე ან სოკოზე მეტყველებს!

**— შესაძლებელია თუ არა ენის ფორმისა და ზომის მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ვიმსჯელოთ?**

— ზოგ ადამიანს მსხვილი ან ფართო ენა აქვს. ასეთებს, როგორც წესი, ნივთიერებათა ცვლა აქვთ დარღვეული ან კალციუმისა და D3 ვიტამინის ნაკლებობა აღენიშნებათ. ზოგიერთი ჩივის, რომ ენა დაუმოკლდა ან მოულოდნელად შეეკუმშა... (იცინის) ეს იმის ნიშანია, რომ ორგანიზმი გამოფიტული ან გაუწყლოვნებულია.



**გამორიცხული არ არის, ენადამოკლებულ ადამიანებს ცენტრალური ნერვული სისტემა ჰქონდეთ დაზიანებული.**

**— რამდენად ალბეჭდავს ენა ონკოლოგიური პაციენტების მდგომარეობას?**

— როგორც აღვნიშნეთ, ენა დაფარულია დვრილებით, რომელიც ენის ზედაპირიდან ოდნავ წამოწეულია. ონკოლოგიური დაავადებების დროს ხშირია ამ დვრილების ატროფია, ამ დროს ენა მოპრიალებულია, ბრწყინავს და ღია კაშკაშა ფერისაა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ენა შესაძლოა, ქრონიკული კოლიტის დროსაც შეგვხვდეს. ენის შუა ღარი, რომელიც მას ორ ნაწილად ჰყოფს, აბსოლუტურად სწორი უნდა იყოს. იგი, ფაქტობრივად, ხერხემლის პროექციაა და თუ ენის ძირში გამრუდდა, წელის პრობლემებთან გვაქვს საქმე. ენის წვერში გამრუდებული ღარი კისრის ოსტეოქონდროზზე მიუთითებს, ხოლო ენის შუა ნაწილში ღარის გამრუდება იმის მანიშნებელია, რომ პრობლემა ხერხემლის შუა ნაწილში უნდა ვეძებოთ!

**— რას წარმოადგენს ე.წ. გეოგრაფიული ენა?**

— ზოგიერთი ადამიანის ენას რომ დავხედოთ, მისი ზედაპირი მართლაც გეოგრაფიულ რუკას მოგვაგონებს. გეოგრაფიული ენა სხვადასხვა პათოლოგიების მანიშნებელია, მაგრამ, ძირითადად, კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ დაავადებებსა ან ალერგიებზე მიგვითითებს.

**— რას ნიშნავს ენაზე ნახეთქები ან წყლულები?**

— ენაზე ნახეთქები ადამიანს შესაძლოა, დაბადებიდან ჰქონდეს, რაც არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება წყლულებს, თუ ენის ზედაპირზე მცირე რაოდენობით წყლულები გაჩნდა, ეს მსხვილი ნაწლავის არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტზე ან კრონის დაავადებაზე მიუთითებს. ენის წვერზე, გვერდებზე ან შუა ხაზზე ბრტყელი წყლულების გაჩენა, დიდი ალბათობით, ტუბერკულოზის მანიშნებელია. ათაშანგის დროს ენაზე ერთადერთი წყლული ჩნდება, რომელიც მაგარი, ღია წითელი და უმტკივნეულოა. შიდსის დროს ენაზე ხდება მეჭეჭების წარმოქმნა.

**— სტომატიტს, რომელიც პირის ღრუს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებაა, ენასთან რამე კავშირი აქვს?**

— სტომატიტი პირის ღრუს ანთება ან წყლულია. მან შესაძლოა, მოიცვას ლოყის შიდა ზედაპირი, ღრძილები, ტუჩის შიდა ზედაპირი და ენა. სტომატიტი ორი სახისაა — ჰერპესული და აფტოზური. ჰერპესული სტომატიტი ჰერპეს-ვირუსთან არის დაკავშირებული და ორგანიზმში შესაძლოა, ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ასაკში მოხვდეს. რაც შეეხება აფტოზურ სტომატიტს, ის გადამდები არ არის და უფრო მოზრდილებში გვხვდება და შესაძლოა, კუჭ-ნაწლავის პრობლემებითაც იყოს გამოწვეული. როცა ჩემთან სტომატიტიანი პაციენტები ხვდებიან, მათ გამოკვლევასა და მკურნალობას სწორედ კუჭ-ნაწლავიდან ვიწყებ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-10*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** აცხადებს, რომ დაახლოებით ცხრამეტი საუკუნის წინათ, იბერიის სახელოვანი მეფე **ფარსმან მეორე ქველი,** როგორც ბრძოლის ველზე, ისე რომის არენაზე, სრულიად კავკასიის თავისუფლებასა და სახელს იცავდა. რაც შეეხება **შამილს** — ჩრდილოეთ კავკასიელთა სულიერ და ზნეობრივ სიმბოლოს, ერთ დღეს ეს სიმბოლო აულ ღუნიბში რუსებს დანებდა, მერე თავისუფლად დადიოდა რუსეთის ქალაქების ოპერის თეატრებში, იდეალური ურთიერთობა დაამყარა პეტერბურგის საიმპერატორო კართან და ჟანდარმერიის იმდენად დიდი ნდობა მოიპოვა, რომ ნება მისცეს, რუსული პენსიით მედინაში წასულიყო და იქ მუჰამედის საფლავთან დაკრძალულიყო:*



## სვიმონ მასხარაშვილი:

## რომის იპოდრომზე, იქ, სადაც დღეს ვატიკანია, ქართველი მებრძოლები და რომაელი პრეტორიანელები ხის ხმლებით ეკვეთნენ ერთმანეთს. ბრძოლა ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა!

— წინა საუბრისას ჩვენ განვიხილეთ ჰაოს-ქართლოსის ძმობისა და „უფროს-უმცროსობის“ საკითხი, რომლის რეკლამირება-მანიპულაციით დაკავებული იყო **ნიკიტა ხრუშჩოვის** ადმინისტრაცია. ხრუშჩოვის ეს პოლიტიკა მიზნად მხოლოდ ქართველთა დამცირებას არ ისახავდა, ამით ის ქართველებსა და სომხებს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას ცდილობდა. სხვათაშორის, რუსეთის იმპერიის დროს ქართველების ქება-დიდების ხარჯზე სომეხთა დამცირების მცდელობებსაც ჰქონდა ადგილი, რომელსაც ისევ და ისევ პეტერბურგელი ვითომ ქართველოფილი ლიტერატორები ახორციელებდნენ, მაგრამ ამ ყველაფრის უკან სინამდვილეში მეფის საიდუმლო სამსახურები იდგნენ, რომლებსაც ქართველთა და სომეხთა შორის კონფლიქტის აგორება სურდათ. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ ფსევდოქართველოფილ ლიტერატორებს მთელი ცხოვრება ამხელდა და ებრძოდა **აკაკი წერეთელი,** რომელსაც არაერთგზის განუცხადებია ასეთი შინაარსის რამ — ჩვენ და სომხები ერთი ოჯახი ვართ და არავის საქმე ჩვენს ოჯახში ცხვირის ჩაყოფა არ არისო!

**— ფაქტია, რომ რუსეთის იმპერია ავტოქტონ კავკასიელებს ერთმანეთს ყოველთვის უქსევდა და უპირისპირებდა. ამის მაგალითია აფხაზეთის ომი, ყარაბაღის კონფლიქტი, ცხინვალის ომი...**

— რა თქმა უნდა, იმპერია იმპერიაა და მოქმედებდა და მოქმედებს პრინციპით — „დაყავი და იბატონე!“ სწორედ ამის გამოხატულება იყო **ხრუშჩოვის** ანტიქართული გამოხდომები, მაგრამ ორ რამეს მივაქციოთ ყურადღება, კერძოდ, ობიექტურად რა არის განმასხვავებელი კავკასიელებს შორის და რა გვაერთიანებს! ისიც საინტერესოა, ამ ორი ფაქტორიდან რომელი დომინირებდა მაშინ, როცა გარეშე ძალა კავკასიის საქმეებში არ ერეოდა?

მოგეხსენებათ, რუსეთი არ ყოფილა პირველი და უკანასკნელი იმპერია, რომელიც კავკასიაში ვითარებას ურევდა. სხვადასხვა დროს ასე იქცეოდნენ: რომი, ბიზანტია, სპარსეთი, ოსმალეთი... კავკასიელთა შორის განსხვავებები მართლაც თვალშისაცემია. მეტიც, კავკასია სამყაროს მრავალფეროვნების ერთგვარი მიკრომოდელია. კავკასიაში უამრავი ენობრივი ჯგუფია. დაღესტნის ერთ სოფელში შესაძლოა, ორენოვანი მოსახლეობაც კი შეგხვდეთ. კავკასიურ ენათა ჯგუფში უამრავი ენა და დიალექტი შედის, მაგრამ ამას გარდა კავკასიაში დღეს გავრცელებულია თურქული, ირანული, სომხური, ივრითი, ბერძნული და რუსული ენები. ამას ემატება კავკასიის მოსახლეობის რელიგიური თავისებურებანი. დედამიწის ამ პატარა მონაკვეთზე ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, კათოლიკენი, გრიგორიანები, ზოროასტრიზმის მიმდევარი იეზიდები, შიიტები, სუნიტები, იუდეველები და წარმართებიც კი... მაგრამ ამ დიდი განსხვავებულობის მიუხედავად, კავკასიელებს ბევრი რამ აერთიანებთ. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი საერთო გენეტიკა, რაც მეცნიერულად არის დამტკიცებული. **ფაქტობრივად, ყველა კავკასიელში დომინირებს ხურიტული, მესხურ-მებრულსვანური და კიმერიული გენეტიკა.** თუმცა, არც ეს არის მთავარი, მთავარია, კავკასიელთა ისტორიული გამოცდილება და ადათი, რომელიც **შამილამდე** მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრების მთავარი წესი იყო.

**— შამილმა ამ წესებსა და ადათებს რა უქნა?**

— **შამილმა,** სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენთვის ბოლომდე აუხსნელი მოტივებიდან გამომდინარე, კავკასიური ადათით ცხოვრება, ფაქტობრივად, აკრძალა და ათწლეულების განმავლობაში მთიელთა შორის ძალით ამკვიდრებდა კავკასიისთვის მანამდე უცხო შარიათის კანონებს. ამას დაემატა მეორე უბედურება, **შამილი** მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან 1859 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიელთა სულიერ და ზნეობრივ სიმბოლოდ იქცა. ერთ დღეს ეს სიმბოლო აულ ღუნიბში რუსებს დანებდა, მერე თავისუფლად დადიოდა რუსეთის ქალაქების ოპერის თეატრებში, იდეალური ურთიერთობა დაამყარა პეტერბურგის საიმპერატორო კართან, ანუ შამილმა დაუშვა პრეცედენტი, რომლის თანახმადაც შენი ძმების ამომჟლეტი მტრისგან პენსიის აღება და მისი პრივილეგიითა და მფარველობით სარგებლობა სირცხვილად არ ითვლება. ეს არ არის შარიათის კანონები, ეს „შამილური კანონებია“...

**შამილმა ვეფხისა და მოყმის, აგრეთვე ჯოყოლასა და ზვიადაურის ადათი ისევე, როგორც მუცალისა და ალუდა ქეთელაურის ადათი „შამილურ-ჟანდარმული ადათით“ შეცვალა, რამაც კავკასიასა და კავკასიელებს დიდი იარა დაასვა!**

ამ იარის მოშუშება შესაძლებელია, რადგან კავკასიური ადათი ათასწლოვანი ისტორიითაა გამყარებული.

**— მაგალითად...**

— მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის 89-63 წლებში მსოფლიოში პირველობისთვის რომს ეჯიბრებოდა პონტოს მეფე **მითრიდატე მეექვსე ევპატორი** (ძვ.წ.აღ. 111-63 წ.წ.) დავიწყოთ იმით, რომ პონტოს სამეფოში უმრავლესობას ლაზები შეადგენდნენ. ამასთან, პონტოს სამეფოსთან, ფაქტობრივად, კონფედერაციის პრინციპით იყო დაკავშირებული კოლხეთის სამეფოც და ბოსფორის სამეფოც, რომელიც დღევანდელი ყირიმის ტერიტორიას მოიცავდა. ამ ომში მითრიდატეს სამი მოკავშირე ჰყავდა — იბერიის მეფე **არტაგი,** ალბანეთის სამეფო, რომელიც დღევანდელ აზერბაიჯანს მოიცავდა და **მითრიდატეს** ქალიშვილის ქმარი, სომხეთის მეფე **ტიგრან მეორე დიდი** (ძვ.წ.აღ 95-55 წ.წ.). ჩრდილოეთ კავკასიელები, როგორც ყოველთვის, სამხრეთ კავკასიელების უერთგულესი მოკავშირეები და თანამებრძოლნი იყვნენ. ახალი წელთაღრიცხვის პირველ და მე-2 საუკუნეებში ძალიან გაძლიერდა **ფარსმან პირველისა და ფარსმან მეორე ქველის** იბერია. **ფარსმან პირველმა** სწორედ ჩრდილოეთ კავკასიელების დახმარებით განდევნა სომხეთიდან პართიელები, ანუ ირანელები და სომხების მოთხოვნით, სომხეთში მეფედ თავისი ძმა, **მითრიდატე** დასვა. რომ არა თვით ფარსმანის ოჯახში დაწყებული დიდი არეულობა, შესაძლოა, **ფარსმანიდებს** სომხეთში საუკუნეების განმავლობაში ემეფათ. სამწუხაროდ, ფარსმანის ვაჟმა **რადამისტმა** მოკლა საკუთარი ბიძა, სომხეთის მეფე **მითრიდატე** და თავი სომხეთის მეფედ გამოაცხადა. ბიძის მკვლელი სომხებმა არ მიიღეს და საქართველოში გამოქცეული **რადამისტი** თავად მამამ — **ფარსმან პირველმა** დასაჯა სიკვდილით. ამის შემდეგ სომხეთის ტახტზე, რომისა და პართიის საერთო შეთანხმებით, სომეხი, კერძოდ, არშაკიდი უფლისწული დაჯდა.



## „გურია-აჭარა, ანუ ძიდრიტების მიწა, ფარსმან მეორემ მე-2 საუკუნეში რომს ხელიდან გამოჰგლიჯა და სამუდამოდ საქართველოს დაუბრუნა!“

**— ერთიანი კავკასიის იდეას ანტიკურ ხანაში, ალბათ, ყველაზე უფრო ქართველმა მეფემ ფარსმან მეორე ქველმა შეასხა ფრთები!**

— **ფარსმან მეორე** დაუპირისპირდა რომის იმპერატორ **ადრიანეს** (117-138 წ.წ.) და ეს მაშინ, როცა რომი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. რაოდენ უცნაურადაც გინდა, მოგეჩვენოთ, **ფარსმან მეორე ქველისა** და რომის დაპირისპირების დროს, მსოფლიოში სიძლიერით ნომერ მეორე იმპერია — პართია, რომელიც ტრადიციულად რომის მთავარი კონკურენტი იყო, რომს უჭერდა მხარს და იბერიის მეფეს დაახლოებით ათჯერ მაინც მოუწია პართიელთა დამარცხება. ამ ბრძოლაში **ფარსმანმა** მოიშველია ალანები, ანუ ოსები და სხვა ჩრდილოეთკავკასიელები. **ფარსმან მეორემ** ბრძოლის რაღაც ეტაპზე ალბანეთიდან (აზერბაიჯანი) და სომხეთიდან უკუაგდო პართიელები, დაარბია ჩრდილოეთ ირანი, ანუ ადარბადაგანი, შეიჭრა კაბადოკიაშიც და მხოლოდ აქ შეძლო რომის არმიამ მისი შეჩერება. **ფარსმან მეორის** მიერ ნაცემი პართია რომის იმპერიას ისე უყურებდა, როგორც მხსნელსა და გადამრჩენს... **ფარსმანის** ბრძოლის შედეგად რომისაგან დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა მოიპოვეს დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროებმა, **ფარსმან მეორე** კავკასიის გამათავისუფლებლად იქცა და, ბოლოს და ბოლოს, რომის იმპერატორი **ანტონინუს პიუსი** (138-161 წ.წ.) იძულებული გახდა, მას შერიგებოდა. უფრო მეტიც, **ფარსმან მეორემ** მიიერთა რომის მიერ დაპყრობილი უძველესი ქართული სანახები, მაგალითად, ძიდრიტების მიწა. გურია-აჭარა, ანუ ძიდრიტების მიწა **ფარსმან მეორემ** მე-2 საუკუნეში რომს ხელიდან გამოჰგლიჯა და სამუდამოდ საქართველოს დაუბრუნა! რომის იმპერატორმა **ანტონინუს პიუსმა** კავკასიის გმირი ოჯახთან, დიდებულებთან და დიდ რაზმთან ერთად რომში მიიპატიჟა და კაპიტოლიუმში მსხვერპლშეწირვის უფლება მისცა, რაც რომის არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ. ეს იგივეა, სვეტიცხოვლის საკურთხეველში სხვა რელიგიის ადამიანს რიტუალი რომ აღასრულებინო!

**— მანდ კიდევ სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა...**

— რომაელი ისტორიკოსი და სენატორი **დიონ კასიუსი** მოგვითხრობს, რომ ამის შემდეგ იმპერატორმა **ანტონინუს პიუსმა ფარსმან მეორეს** შესთავაზა, მის თანმხლებ რაზმსა და რომის რჩეულ პრეტორიანული გვარდიის ლეგიონერებს შორის ორთაბრძოლა გამართულიყო. რომი მაშინ 900 წლის იუბილესთვის ემზადებოდა... იდგა მე-2 საუკუნის 40-იანი წლები. გლადიატორებს შორის ორთაბრძოლები რომში დიდი დღესასწაულების განუყრელი ატრიბუტი იყო, მაგრამ რომს რომაელი ლეგიონერების უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ბრძოლა არენაზე აქამდე არასოდეს ენახა. გლადიატორები მოქალაქეები არ იყვნენ, ხოლო პრეტორიანელები რომაელ მოქალაქეებს შორის განსაკუთრებული პატივით გამოირჩეოდნენ. რომის იპოდრომზე, იქ, სადაც დღეს ვატიკანია, უსისხლო ბრძოლა გაიმართა. ქართველი მებრძოლები და რომაელი პრეტორიანელები ხის ხმლებით ეკვეთნენ ერთმანეთს. ბრძოლა ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა. ამ ამბის უკვდავსაყოფად, იმპერატორის ბრძანებით, სენატის გადაწყვეტილებითა და რომის მოქალაქეთა თანხმობით, ფორუმზე მდგარ მარსის ტაძარში ცხენზე ამხედრებული **ფარსმან მეორე ქველის** ძეგლი აღმართეს. ეს ძეგლი დაკარგული და განადგურებულია... არ არის გამორიცხული, ფარსმანის თანმხლებ იბერიელ მებრძოლთა შორის, ეთნიკურ ქართველთა გარდა კავკასიის ყველა ტომის რჩეული მხედრებიც ყოფილიყვნენ, რადგან **ფარსმანი** როგორც ბრძოლის ველზე, ისე რომის არენაზე სრულიად კავკასიის თავისუფლებასა და სახელს იცავდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# ლეგენდარული ალპინისტების



დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2025 წლის №3-4, 6-8, 10

## ივანე ჯაფარიძე:

# მივფრინავ! – ეს იყო მიხეილ ხერგიანის უკანასკნელი შეძახილი!

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს. ამჯერად ის ლეგენდარულ მიხეილ ხერგიანსა და 32 წლის შემდეგ ქართველი ალპინისტების იმ მწვერვალზე ასვლის შესახებ გვიამბობს, სადაც დარჩა „კლდის ვეფხვის“ სიცოცხლე:***

— **ლევან გოთუა** ამბობდა: „თოკის გრძნობა მთამსვლელის მეექვსე გრძნობააო“. და მართლაც, თოკის ენა მხოლოდ მთამსვლელებს ესმით, მხოლოდ მათთვისაა იგი გასაგები და მეტყველი, ამ თოკზე ჰკიდია მათი სიცოცხლე... ამჯერად **მიხეილ ხერგიანზე** მსურს გიამბოთ.

**— ამბობენ, რომ მისი ოცნება იყო ევერესტზე ასვლა...**

— შეიძლება ითქვას, რომ დასაბამიდან ყველა ქართველი მთამსვლელის გზა ევერესტისკენ მიდიოდა, მათ შორის, **მიხეილ ხერგიანის** გზაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა. ბანგურიანი იყო პირველი მწვერვალი, რომელიც 15 წლისამ დალაშქრა და აქედან დაწყებული გზა, კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა და ალპების ურთულეს მწვერვალებზე გააგრძელა. კლდეზე ცოცვაში ხომ ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში. სრულიად უნიკალურია მის მიერ გავლილი მარშრუტების სირთულე — უშბის სარკე, „კომუნიზმის პიკი“, შჩუროვსკის პიკის ჩრდილო-დასავლეთი კედელი...

1958 წლის მაისში პეკინიდან დეპეშა მოვიდა, სადაც ჩინელები საბჭოთა მთამსვლელებს ერთობლივი ექსპედიციის მოწყობას სთავაზობდნენ ევერესტზე. გადაწყდა, რომ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალისათვის, 1959 წლის გაზაფხულზე შეეტიათ ტიბეტის მხრიდან — მანამდე გაუვლელი ჩრდილოეთის გზით. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ ნაკრებში, ცნობილ მოსიმაღლეებთან ერთად, ორი ქართველი — **მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანიც** შეიყვანეს. ევერესტზე პირველი წარმატებული ექსპედიციის ხელმძღვანელი, ინგლისელი ლორდი **ჯონ ჰანტი** ამბობდა: ხერგიან-კახიანის წყვილი უეჭველად გამოიჩენს თავს ჰიმალაებშიო.

1959 წლის თებერვალში ჩვენს მთამსვლელებს ყველაფერი მზად ჰქონდათ, 20 მარტს უკვე მოსკოვში იყვნენ, იქიდან ჩინეთში უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ პეკინიდან მოსული ცნობის თანახმად, ტიბეტის იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია შეუძლებელს ხდიდა ერთობლივი ექსპედიციის ჩატარებას. მომდევნო, 1960 წელს, ჩინელმა მთამსვლელებმა უკვე დამოუკიდებლად მიიტანეს იერიში ევერესტზე და პირველად ალპინიზმის ისტორიაში ჩრდილოეთის მხრიდან დალაშქრეს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი. აი, ამ მიზეზების გამო ვერ განახორციელა ევერესტზე ასვლა **მიხეილ ხერგიანმა.**

**— მანამდე იყო სხვა მწვერვალები...**

— მას შემდეგ, რაც 1957 წელს ცნობილმა მთამსვლელმა **ვიტალი აბალაკოვმა** თავის გუნდში **მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი** შეიყვანა, ქართველებმა არაერთი მწვერვალი დალაშქრეს, მათ შორის, დონგუზორუნი, რომელზე ასვლაც ჩრდილო-დასავლეთის კედლით გადაწყვიტეს. ეს მარშრუტი იმდენად რთული არ იყო, რამდენადაც სარისკო, რადგან კედელს ვეება ყინულოვანი ქუდი ეხურა, რომელსაც განუწყვეტლივ სწყდებოდა ყინულის უზარმაზარი ლოდები. **მიხეილ ხერგიანმა და იოსებ კახიანმა** მწვერვალის შტურმი 22 ივლისს ღამით დაიწყეს. ჯიბის ფარნის შუქზე გაიარეს ქვედა კლდოვანი სამკუთხედი, შემდეგ ბერგშრუნდიც გადალახეს, ბოლოს ნელ-ნელა გათენდა და ყინულის ქუდმაც ვეება ნატეხები დაუშინა. დასაძინებლად დაწვნენ თავბოლოშექცევით, ლოდის დაცემის შემთხვევაში, ერთდროულად ორივესთვის რომ არ გაეჭყლიტა თავი. ის იყო ჩათვლიმეს, რომ მუშტისოდენა ქვამ კარავი ჩახია და მათ შორის დაეცა. ძილი გაუტყდათ, მაგრამ შემდეგ გაახსენდათ, რომ აქეთ წამოსვლისას გზაზე ბაყაყები ხვდებოდათ, რაც სვანური ტრადიციით, კარგის ნიშანია. ამიტომ გათამამდნენ და მეორე დილას ყინულის ქუდი მართლაც ადვილად დაძლიეს. **ხერგიანი** იხსენებდა — 4 საათს ვმუშაობდი ლავგარდანზე, შემდეგ ყინული ნელ-ნელა გასწორდა და შუადღისას უკვე მწვერვალზე ვიყავიო...

**— 1961 წელს ტიან-შანზე, მწვერვალ „გამარჯვების პიკზე“ ქართველი ალპინისტების დაღუპვის შემდეგ, მიხეილ ხერგიანის დაღუპვა იტალიაში, ქართველი ალპინისტის მორიგი ტრაგედია იყო საზღვარგარეთ?**

— ეს მოხდა **1969 წლის 4 ივლისს.** მანამდე, 1967 წელს, ის საფრანგეთში შეხვდა 8-ათასმეტრიანი მწვერვალის — ანაპურნის პირველ დამლაშქრავს, ცნობილ ფრანგ მთამსვლელს **მორის ერცოგს.** ქალაქ შამონიში ალპინისტთა საერთაშორისო შეკრების დამთავრების შემდეგ ბანკეტზე, სადაც თავმოყრილი იყო მსოფლიო მთამსვლელთა თანავარსკვლავედი, ანაპურნის გმირმა გულითადად ჩამოართვა თავისი უთითო ხელი **მიხეილ ხერგიანს...** აქ იყო ყველა მთამსვლელი, გარდა იტალიელ **ვალტერ ბონატისა.** მოგვიანებით მიხეილი მას მაინც შეხვდა, **ბონატის** მიერ გავლილი მარშრუტი გრან-კაპუცინზე მან და **ვიაჩესლავ ონიშჩენკომ** 12 საათში დაძლიეს საუკეთესო შედეგით.

ამ ასვლაზე **ონიშჩენკოს** თავის დღიურში ჩაუწერია: *„გადავწყვიტეთ, უვალი გზით წავსულიყავით პირდაპირ ზემოთ. დაახლოებით 50 მეტრზე მოგვიწევდა ურთულესი ცოცვა მიკროსკოპული შვერილების გამოყენებით, ვიდრე ჩვეულებრივ გზაზე გავიდოდით. ამ მონაკვეთის გავ-*



მიხეილ ხერგიანი და ალექსანდრა ჯაფარიძე



### კლდის ვეფხვი

საბჭოთა სპორტმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

4 ივლისს, იტალიაში მთამსვლელთა საერთაშორისო შეკრებაზე, დოლომიტის ალპების ერთ-ერთი მწვერვალის — სუალტოს იერიშის დროს დაიღუპა მიხეილ ხერგიანი — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი მთამსვლელობასა და კლდეზე ცოცვაში, ჩვენი ქვეყნის სწორუპოვარი მთამსვლელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი...

„არწივმა ფრთები დაკეცა“, როგორც წერს პოეტი. და ეს მოხდა არა მისი მშობლიური კუთხის — სვანეთის ბევრად უფრო მაღალსა და სახიფათო მთებში, რომელთა მწვერვალები ჩვენს მიხეილს არაერთგზის წარმატებით დაულაშქრავს, არამედ შორეულ იტალიაში, უცხო ცის ქვეშ. ეს იყო მარცხი, ბრმა შემთხვევა, თ[...] ერთ მწვერვალზე [...] ხავს.

სიყმაწვილიდანვე ეზიარა სპორტის გმირულ ხელოვნებას ჩვენი მიხეილი. მერე ბუნებრივი სიმარჯვე, ვაჟკაცური ღონე და ბუნებრივი ნიჭი მაღალი რანგის სპორტსმენისა ისე შეაზავა და შეადუღა, როგორც მხოლოდ ბუნების მიერ განსაკუთრებით მომადლებულ შვილებს შეუძლიათ.

მიხეილს „კლდის ვეფხვს“, ჯადოქარს ეძახდნენ. ფრიალო კლდის კედელზე, უფსკრულების თავზე, თეთრ მწვერვალზე თავს ისე გრძნობდა, როგორც ფრთოსანი, დაცოცავდა მსუბუქად, ლაღად, უხმაუროდ.

1960 წლიდან მოყოლებული, მიხეილმა არაერთხელ ასახელა საბჭოთა სპორტი ბულგარეთის, ინგლისის, საფრანგეთის მთებში. მისი გმირული მარშრუტები — ეს იყო საბჭოთა სპორტული სკოლის ბრწყინვალე ტრადიციების, მისი ტექნიკური სრულყოფის ტრიუმფი.

საოცრად თავაზიანი, უბრალო ადამიანური იყო ეს „ვეფხვი“, და თქვენ უბრალო საუბარშიც გეჭირდათ მისი ადამიანური სიმაღლეების მიწვდომა უფრო მეტად, ვიდრე მას უჭირდა ფრიალო მწვერვალების [...] მა გრძნობდით ამ კაცში და გარწმუნებდით საბჭოთა სპორტსმენის იდეალურ სრულყოფილობაში.

ფეხი დაუცდა, დაუცდა სრულიად მოულოდნელად და უცაბედად. მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**ალექსანდრა ჯაფარიძე,**
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოჩენილ სპორტსმენს ესტუმრა ფოტომოყვარული არსენ ნიჟარაძე და მშობლიური კუთხის ერთ-ერთ სოფელში უშგულში ფირზე აღბეჭდა მიხეილ ხერგიანის მოღიმარი სახე სტუმრად მყოფ კინომუშაკებთან ერთად.

მალე ხერგიანი იტალიაში გაემგზავრა, და ვინ იცოდა, რომ საზეიმო ვითარებაში გადაღებული ფოტოსურათი „კლდის ვეფხვის“ გამოსათხოვარს დაერთვოდა!

გაზეთი „კომუნისტი“. 1969 წლის 11 ივლისი

## კვირგვინოსნები

**მადონა კოიძე**
*სახალხო არტისტი*



**ერთ „კონვერტზე“ არ გავცვლი** იმას, რაც მთელი ცხოვრება მიშენებია. **არ გავიყიდები!**

„სარკე“

**ანა სანაია**
*მსახიობი*



**თუ შეყვარებული არ ხარ,** ეს არ ნიშნავს, რომ სამყარო ნაცრისფერია. **ამ ეტაპზე არ ვარ შეყვარებული.**

„სარკე“

**თიკა ჯამბურია**
*მომღერალი*



ნამდვილად **იღბლიანი გოგო** ვარ!

„ახალი თაობა“

**ლადო კახაძე**
*ექიმი, ყოფილი პარლამენტარი*



**ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი მეუღლეა.** უკვე 57 წელიწადია, ერთად მოვდივართ.

„თბილისელები“

**გიორგი სიხარულიძე**
*რეჟისორი*



საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, **მიშა თუმანიშვილი** მარტო თუ იყო, **მიდიოდა და სცენის ფიცარნაგს კოცნიდა.** მისთვის რეპეტიცია იყო პაემანი საყვარელ ადამიანთან.

„კვირის პალიტრა“

# მემკვიდრე მოგვითხრობს

ლისას მიშამ მეკლდეურის მთელი ხელოვნება გამოავლინა. ვისაც მიშა ხერგიანი კლდეზე უნახავს და ბედნიერება ჰქონია, მასთან ერთად ასულიყო მწვერვალზე, ადვილად გაიგებს აღტაცებას“.

**ონიშჩენკოს** გარდა, ამ საოცარ სანახაობას სხვა ალპინისტებიც ადევნებდნენ თვალს. მეორე დღეს მთელი შამონი, შეკრების ყველა მონაწილე ალაპარაკდა მათ ასვლაზე. ალპებში ახვიდე ახალი გზით, სადაც ყველა მარშრუტი გაკვალული და დადგენილია, მართლაც საოცრებაა. დღეს გრან-კაპუცინის ჩრდილო კედელზე არის ე.წ. „რუსული ვარიანტი“, რომელიც ქართველმა **მიხეილ ხერგიანმა** და უკრაინელმა **ვიაჩესლავ ონიშჩენკომ** გაკვალეს. აი, ამის შემდეგ მოხდა ტრაგედია.

**— სუალტო იქცა მიხეილ ხერგიანის ბოლო მწვერვალად...**

— მანამდე იყო ორი სარეკორდო ასვლა იტალიაში, დოლომიტის ალპებში, ბოლოს ჯერი სუალტოზე მიდგა. **მიხეილ ხერგიანი და ვიაჩესლავ ონიშჩენკო** დილაადრიან გავიდნენ ვაცოლერის თავშესაფრიდან. თოვლ-ყინულოვან ფერდობებზე წინ **ონიშჩენკო** მიდიოდა, ხოლო შემდეგ, როცა ურთულესი კლდეები დაიწყო, **ხერგიანი** გავიდა წინ. დღის პირველი საათისათვის უკვე ნახევარი თოკილა რჩებოდათ რთულ კლდეებზე ასასვლელად. **ხერგიანს** ვეება შვერილმა გადაუღობა გზა. მისი შემოვლა მარჯვნიდანაც შეიძლებოდა და მარცხნიდანაც, მაგრამ მან უკან მოიხედა, რა დროსაც **ონიშჩენკომ** სურათი გადაუღო. შემდეგ **ხერგიანი** მარჯვნივ წავიდა, სამსაფეხურიანი კიბის დახმარებით ოთხიოდე მეტრი გაიარა, კლდის „ბუხარში“ შეძვრა და თვალს მიეფარა. **ონიშჩენკო** დაცვაზე დადგა. ცოტა ხნის შემდეგ კი ქვათაცვენის ხმა მოისმა. მივფრინავ! — ეს იყო **მიხეილ ხერგიანის** უკანასკნელი შეძახილი. ბუნებრივია, მიხვდა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო და ამ შეძახილით კლდეზე შერჩენილ თანამეწყვილეს აფრთხილებდა, მისი ბედი არ გაეზიარებინა და თავდაცვისათვის საჭირო ზომები მიეღო.

**— მიხეილ ხერგიანის შემდეგ სუალტოს მწვერვალზე ახალი თაობის ქართველი ალპინისტები ავიდნენ...**

— 32 წლის შემდეგ, 2001 წლის 1 ივლისს, იტალიაში გაემგზავრნენ ქართველი მთამსვლელები: **აფი ბიბანი, გელა ოთარაშვილი და ბენო ქაშაკაშვილი,** რომელიც ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად ტელეოპერატორისა და რეჟისორის ფუნქციასაც ითავსებდა.

ჯგუფის წევრთა გადაწყვეტილება მარტივი და ამაღლებული იყო — 32 წლის შემდეგ გაევლოთ სახელოვანი თანამემამულის **მიხეილ ხერგიანის** შეწყვეტილი მარშრუტი მწვერვალ სუალტოზე. დაბა ალეგში ჩასულებს, თვალწინ გადაეშალათ ჩივეტას მასივის დიდებული პანორამა, სადაც 25-მდე მწვერვალს ითვლიან, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 3 000 მეტრს აღემატება. ამ მწვერვალებზე ყველა სირთულის მარშრუტს შეხვდებით, სუალტოც ამ მასივის მწვერვალია. სწორედ ამის ძირში დგას ბრინჯაოს შესანიშნავი მემორიალი, რომელიც გვაუწყებს, რომ სუალტოზე ასვლისას, 1969 წლის 4 ივლისს, დაიღუპა ქართველი მთამსვლელი **მიხეილ ხერგიანი.** ეს არის **ვახტანგ ონიანის** მიერ შექმნილი მემორიალი, რომელიც, თავდაპირველად, ქალაქის ცენტრში იდგა, შემდეგ კი იტალიელმა ალპინისტებმა სუალტოს ძირში აიტანეს.





**აფი ბიბანი, გელა ოთარაშვილი, ბენო ქაშაკაშვილი**

**მიხეილ ხერგიანი – კლდის ვეფხვი**





**დაღუპულები აღარ ბერდებიან ისევე, როგორც აღარ ქრება მათი სიკვდილით მოყენებული ტკივილი და აღარ ხუცდება მათი ხსოვნა.**

*ლევან გოთუა*

სუალტოზე ეს მარშრუტი წარმოადგენს 800-მეტრიან კედელს, რომელიც პირველად 1951 წელს გაიარა ფრანგების წყვილმა — **გაბრიელმა და ლივანოსმა.** ქვათაცვენის მუდმივი საფრთხის გამო ამ მარშრუტს მთამსვლელები ხშირად თავს არიდებენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, 2001 წლის 5 ივლისს, დილაადრიან, სამი ქართველი: **ბენო ქაშაკაშვილი, აფი ბიბანი და გელა ოთარაშვილი** სუალტოს მწვერვალისაკენ გაემართნენ. ნაშალზე სიარულის შემდეგ თოვლიან ფერდს მიადგნენ, დაიწყეს ასვლა. დაზღვევაზე **გელა და აფი** მუშაობდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ხოლო **ბენოს** ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, ვიდეოკამერით იღებდა რთული მონაკვეთების გავლას. მარშრუტი იწყებოდა კლდოვანი „ბუხრით“ და, რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მოძრაობა მით უფრო ძნელდებოდა. აქა-იქ ხის და დაჟანგული რკინის პალოებს აწყდებოდნენ, ყველას ერთი ფიქრი ჰქონდა, იქნებ რომელიმე **მიხეილ ხერგიანის** ხელით იყო ჩაჭედებული. ციცაბო კედელზე დიდხანს იმუშავეს და დაბინდდა კიდეც. ზემოთ ღამისთევის ადგილი არ ჩანდა. გადაწყვიტეს 50 მეტრით ქვემოთ დაშვება, რადგან იქ პატარა „თარო“ ეგულებოდათ. დილით მთამსვლელები სიცივემ გააღვიძა. ამინდიც აირია, **აფი ბიბანმა** მოხერხებული ადგილი აირჩია და ტელეფონით მესტიას დაუკავშირდა. საოცარი ის იყო, სუალტოსა და მესტიას შორის „მაგთის“ სატელეფონო კავშირის გარდა, თითქოს სულიერი კავშირიც დამყარდა, რომლის მთავარი შემოქმედიც სამი ათეული წლის შემდეგ კვლავ **მიხეილ ხერგიანი** იყო.

**— ეს იყო ზუსტად ის ადგილი, სადაც მიხეილ ხერგიანი დაიღუპა?**

— **აფიმ, ბენომ და გელამ** კლდის კედელთან „ბუხარი“ შეამჩნიეს, დაფიქრდნენ, ნუთუ ეს ის „ბუხარია“, სადაც **ხერგიანი** შევიდა და შემდეგ **ონიშჩენკოს** ხედვის არედან გაქრა? თვალწინ წარმოუდგათ **ონიშჩენკოს** მონათხრობი: კლდეზე ხერგიანის მოძრაობას ქვემოთ დარჩენილი ონიშჩენკო თოკის მეშვეობით აკონტროლებდა. როცა ქვათაცვენის ხმა მოისმა, ონიშჩენკომ დაზღვევაზე თოკი დაჭიმა და ძლიერი ბიძგისათვის მოემზადა, მაგრამ ბიძგი არ იყო და უცებ ზემოდან წამოსულ ქვებთან ერთად, მან ჰაერში ვეფხვივით ხელფეხგაშლილი **მიხეილი** დაინახა, ქვათაცვენას თოკი გადაეჭრა... დიახ, ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც **მიხეილ ხერგიანი** დაიღუპა.

**— აფიმ, ბენომ და გელამ მიაღწიეს მწვერვალამდე?**

— **აფი ბიბანის** საიმედო დაცვით, **გელა ოთარაშვილმა** კედლის ურთულესი მონაკვეთი დაძლია და მწვერვალისწინა შვერილამდე მიაღწია. ახლა თვითონ დადგა დაცვაზე. კიდევ რამდენიმე მეტრი და მწვერვალზე ავიდნენ, ერთმანეთს მიულოცეს წარმატება, თითო ყლუპით **მიხეილ ხერგიანისა** და მისი დამსხვრეული ოცნების სადღეგრძელოც შესვეს. იქ ასვლის ძალა მათ სწორედ **მიხეილ ხერგიანის** ხსოვნამ და სახელმა შემატა. მათთვის საოცარი მხოლოდ ის იყო, 32 წლის წინათ, მაშინდელი საჭურველითა და აღკაზმულობით, როგორ შეძლო მან უსწრაფესი ტემპით სუალტოს კედლის გავლა?! ახლა უფრო გასაგები გახდა **მიხეილ ხერგიანის** წარმატების საიდუმლო, მისი სიძლიერე და მასშტაბურობა...

მწვერვალის ძირში, **ვახტანგ ონიანის** შექმნილ მემორიალთან, **ბენომ, აფიმ და გელამ** ერთმანეთს ექსპედიციის წარმატებით დასრულება მიულოცეს და **მიხეილის** შესანდობარიც თქვეს, მოიგონეს ის ადამიანები, ვინც მთაში წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, ვის ხსოვნასაც დავიწყება არ უწერია.

ქართველი ალპინისტების ისტორიების შესახებ ჩვენი წერილები „ასავალ-დასავალში“ ეძღვნება იმ მამაც ადამიანებს, ვინც მთაში წავიდა და უკან ვეღარ დაბრუნდა, ვის ხსოვნასაც დავიწყება არ უწერია და ვისზეც ამაღლებულად წერდა ცნობილი მწერალი და მთამსვლელი **ლევან გოთუა:** „დაღუპულები აღარ ბერდებიან ისევე, როგორც აღარ ქრება მათი სიკვდილით მოყენებული ტკივილი და აღარ ხუცდება მათი ხსოვნა“.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნუცა თოფურია**
*მომღერალი*



წინაამდეგი ვარ ყველანაირი **ხელოვნური ჩარევის,** განსაკუთრებით სახეზე. **ადამიანმა საკუთარი თავი უნდა მიიღოს ისეთი, როგორიც არის.** პირადად **მე საკუთარი თავი მიღებული მაქვს** თავისი ბევრი ნაკლით.

„სარკე“

**ქეთევან ჩიხლაძე**
*„ათლეტის“ კავშირის თავმჯდომარე*



ერთ ბიბლიურ პერსონაჟს ორი ცოლი ჰყავდა — კანონიერი და არაკანონიერი. შვილებიც უხვად გააჩინეს. და-ძმების ურთიერთობა ხშირად იძაბებოდა, მაგრამ მამა ყოველთვის მათ ხუშტურებზე მაღლა დგებოდა. **დღეს საქართველოც ასეთ მდგომარეობაშია** და ორი დედის და ერთი მამის შვილებო, **ჭკუას მოუხმეთ!**

**თეა ახალაძე**
*მომღერალ ლაშა ღლონტის მეუღლე*



**რასაც 10 წლის წინ ვიცვამდი, აღარ ვიცვამ,** რადგან ვიცი, რამდენი წლის ვარ. **ჯინსს ასაკი არ აქვს,** 80 წლისაც რომ ვიყო, **ჯინსზე უარს არასდროს ვიტყვი** და ვერც ბოტასს შეველევი.

„სარკე“

**ლიკა კვარაცხელია**
*ყოფილი მოდელი, ტელეწამყვანი*



გული საერთოდ არ დამწყდა, **ჩემი სამოდელო კარიერა რომ არ გაგრძელდა.** არასდროს ვიყავი შინაგანად ის ტიპი, რომელიც პოდიუმზე დგომით გიჟდებოდა.

„სარკე“




**გაზეთი „კომუნისტი“. 1969 წლის 12 ივლისი**

თარაზულად: 1. ცოლის დედა; 7. საკრავის ჟღერადობის ელფერი; 9. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 10. ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი; 11. მიმდინარეობა მუსიკაში; 12. იტალიელი კომპოზიტორი; 13. კვიპროსის საბერძნეთთან შეერთების მოძრაობა; 17. აკრძალული ილეთი ფეხბურთში; 18. ფოლკსვაგენის მოდელი; 21. კაცის სასიმღერო ხმა; 22. ფრანგი მწერალი; 24. ბრაზილიური ცეკვა; 25. იტალიელი მოქანდაკე; 26. ირმის ტყავის რბილი ჩექმები; 27. ვენერიული სნეულება; 31. ორკესტრის ხელმძღვანელი; 35. ქვის კუბო; 36. კოლონების მწკრივი; 37. მსახიობ ხვიჩიას სახელი; 38. სახელმწიფო შესყიდვის საჯარო ფორმა; 39. პატარა სარწყავი არხი; 41. ზედმეტი გოჯის ნომერი; 44. პატარა, გამხდარი ტანის ადამიანი; 45. მარცვლოვანი კულტურა; 48. იტალიელი კინორეჟისორი; 49. საიქიოს ბერძნული ქალღმერთი; 50. რუსი მოჭადრაკე; 54. რუსი კომპოზიტორი; 58. მარიტას ბებია; 59. ელჩი; 60. საორკესტრო კლავიშიანი საკრავი; 61. ხელისგული თითებიანად; 62. „სამკითხაო" ყვავილი.

შვეულად: 1. რისამე გასამაგრებელი ლითონის რკალი; 2. სოფელი ახმეტის რაიონში; 3. ფრანგი გმირი ქალი; 4. ერთგვარი კანფეტი; 5. მარილმჟავას უქონლობა კუჭის წვენში; 6. ლეონკავალოს ოპერა; 7. „მტირალა" ხე; 8. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი, გამოიყენება ცეცხლგამჩენ ბომბებში; 14. ქალაქი იტალიაში; 15. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 16. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 18. თვითმფრინავის მძღოლი; 19. ძველი დროის საფლავი; 20. ველი, მინდორი; 22. ვისიმე საცოლე ან საქმრო; 23. მკვახე, შემოუსვლელი ხილი; 27. რემბრანდტის ცოლის სახელი; 28. კუნძულ ტაივანის ძველი სახელი; 29. ქართველი პოეტი; 30. იტალიური მაკარონი; 31. ინგლისელი მწერალი; 32. ამობურცულობა სიბრტყეზე; 33. ნავთიერების ნაერთი ჟანგბადთან (ქიმია); 34. ლოკატორი; 40. ამერიკელი მომღერალი მამაკაცი; 41. ამერიკელი კინორეჟისორი; 42. თავსართი, ნიშნავს ძალიან პატარას; 43. წყვილთა ცეკვა; 44. ბზრიალა; 45. გლუვი ზედაპირის მქონე რამ; 46. ფრანგი მსახიობი ქალი; 47. მოჭედვის ტექნიკა; 50. ქიშმიში; 51. მაიმუნის სახეობა; 52. საბერძნეთის კუნძული; 53. მუდამ, ყოველთვის (ძვ. წიგნ.); 54. ლიბრი; 55. იგივეა, რაც ბრინჯაო; 56. მოლდავური ხალხური სიმღერა; 57. მმართველი შამილის საიმამოში.



## ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სიდედრი; 7. ტონი; 9. რექტორი; 10. ლიკურგი; 11. რეპი; 12. სალიერი; 13. ენოსისი; 17. ფოლი; 18. პასატი; 21. ბარიტონი; 22. სიუ; 24. ლამბადა; 25. დონატელო; 26. ტორბასები; 27. სიფილისი; 31. დირიჟორი; 35. სარკოფაგი; 36. კოლონადა; 37. იპოლიტე; 38. ტენდერი; 39. რუ; 41. ცამეტი; 44. ჩია; 45. სიმინდი; 48. ვისკონტი; 49. პერსეფონე; 50. ჩიგორინი; 54. ბოროდინი; 58. მარადია; 59. დესპანი; 60. ჩელესტა; 61. ნები; 62. გვირილა.

შვეულად: 1. სალტე; 2. დიკლო; 3. დარკი; 4. ირისი; 5. აქილია; 6. ბოჰემა; 7. ტირიფი; 8. ნაპალმი; 14. ნეაპოლი; 15. სეივალი; 16. სტოპერი; 18. პილოტი; 19. სამარხი; 18. ტრამალი; 22. საბედო; 23. უნდილი; 27. სასკია; 28. ფორმოზა; 29. ლეონიძე; 30. სპაგეტი; 31. დიკენსი; 32. რელიეფი; 33. ჟანგი; 34. რადარი; 40. უანდერი; 41. ცვიკი; 42. მიკრო; 43. ტანგო; 44. ჩიკორი; 45. სიპი; 46. მარსო; 47. ნიელო; 50. ჩამიჩი; 51. გორილა; 52. როდოსი; 53. ნიადაგ; 54. ბისტი; 55. რვალი; 56. დოინა; 57. ნაიბი.

## საეკლესიო კალენდარი



14 მარტი - ღირსმოწამისა ევდოკიასი

✝ 10 მარტი. ორშაბათი. **ტარასისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი;** მოწამისა ალექსანდრესი, რომელი იწამა დლიზიპარს თრაკიისასა; მოწამისა აბდალმესია პურიისა; მღვდელმოწამისა რიგინისა, სკოპელოსის ეპისკოპოსისა; მოწამისა ანტონისა; ნეტარისა თეოდორე სალოსისა.

✝ 11 მარტი. სამშაბათი. **პორფირისა, ღაზელი მთავარეპისკოპოსისა;** დიდმოწამისა ფოტინე სამარიტელისა და მისთანა მოწამეთა: ბიქტორისა, იოსესი, ანატოლიასი, ფოტოსი, ფოტიდესი, პარასკევასი, კვირიაკიასი, დომნინასი, სებასტიანესი და ქრისტოდულესი; მოწამისა თეოკლიტე მეწამლისა; ხსენება იოანე ოქროპირის ხუცესად ხელთდასხმისა; წმიდისა ნიკოლოზ კატოპინელისა; ახალმოწამე იოანე კალფასი, კონსტანტინოპოლელისა.

✝ 12 მარტი. ოთხშაბათი. ღირსისა პროკოფი დეკაპოლელისა, აღმსარებელისა; ღირსისა თალალე სირიელისა; ღირსისა სტეფანესი, რომელმან აღაშენა სასნეულო არმატიისა; მოწამისა ნისიოსისა; მოწამისა გელასისა; ღირსთა ასკლეპიოსისა და იაკობისა; ლეანდრესი, სევილიის ეპისკოპოსისა; ახალმოწამისა ილია ტრაპეზუნდელისა; რაფაელისა, ბრუკლინის ეპისკოპოსისა.

✝ 13 მარტი. ხუთშაბათი. **ღირსისა ბასილი აღმსარებელისა;** მღვდელმოწამისა პროტერისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა; მღვდელმოწამისა ნესტორ ეპისკოპოსისა, პამფილიის პერგეს ვნებულისა; ღირსთა დედათა მარინასი და კირასი; მოციქულთა: ევულოსისა და ნუმფასი; მოწამისა აბერკისი; ახალმოწამისა ნა (ანა) თესალონიკელისა; ღირსისა გერმანესი.

✝ 14 მარტი. პარასკევი. ღირსმოწამისა ევდოკიასი; მოწამისა ანტონინასი; მოწამეთა მარკელესი და ანტონისა; ღირსისა დომნანა სირიელისა; ღირსისა აგაპი ვათოპედელისა, ათონელისა; დავითისა, უელსის მთავარეპისკოპოსისა და მფარველისა; ღირსისა ლუკა სიცილიელისა; მოწამისა პარასკევა ტრაპეზუნდელისა.

✝ 15 მარტი. შაბათი. **მიცვალებულთა ხსენება. მღვდელმოწამისა თეოდოტესი, კვირინელი ეპისკოპოსისა;** ქალწულმოწამისა ევთალია სიცილიელისა; მოწამისა ტროადისა და მისთანა წამებულთა; 440-თა იტალიელ მოწამეთა; არსენისა, ტვერელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა ნესტორისა და ტრიივიმისა; მოწამისა კონტე აღმსარებელისა, სასწაულმოქმედისა, ფრიგიელისა; მღვდელმოწამისა ათინოდორესი, ეგვიპტელი ეპისკოპოსისა, აღმსარებელისა; მოწამისა ევსუქი სინკლიტიკოსისა; წმიდისა ჩანდი შოტლანდიელისა; ღირსისა იოაკიმ ითაკელისა; ღირსისა ნიკოლოზ პლანასი.

✝ 16 მარტი. კვირა. **წმიდა გრიგოლ პალამისი, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა; კრება ყოველთა ღირსთა მამათა, კიევის ქვაბთა შინა დავანებულთა; იოანე IV ოქროპირისა, ქართლის კათალიკოსისა;** მოწამეთა: ვეტროპისა, კლეონიკესი და ბასილისკოსი; ღირსისა პიამუნ ქალწულისა; წმიდათა ზენონისა და ზოილესი; მღვდელმოწამისა თეოდორიტესი, ანტიოქიელი ხუცისა.







## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ღრუბელი; 9. საგა; 11. კაკანათი; 12. ცენტი; 13. ღერღილი; 14. ნარი; 15. ბენეფისი; 16. ნიკეა; 17. ლუიდორი; 18. ნები; 19. ბარისახო; 23. სანდუ; 24. კაფია; 27. ლელა; 28. სარაბანდა; 29. მადანი; 32. მესია; 33. ბია; 35. ალაბამა; 39. ტორპედო; 40. ერგი; 42. აკრიბია; 43. არ; 45. ჩიპოლინო; 49. ბაზილიკა; 53. ცეილონი; 54. მესი; 57. კვარი; 58. ნინუა; 59. კაპილარი; 64. ემუ; 66. კონკა; 67. რესტორანი; 69. სეკუნდი; 70. ობი; 71. იმაგო.

შვეულად: 1. ფანერა; 2. ჩარექი; 3. მამიდა; 4. ღიღილო; 5. უკრაინა; 6. ეპიზოდი; 7. იცინის; 8. ანაკონდა; 9. სინანული; 10. გარიბალდი; 19. ბასმა; 20. რუარუა; 21. საბრა; 22. ხონჩა; 24. კამერა; 25. ფისკი; 26. ამატი; 30. დარკი; 31. ნიელო; 33. ბონი; 34. ანიონი; 36. ლუკმა; 37. ბლიცი; 38. მძივი; 41. გრაცია; 44. ალიზი; 45. ჩიორა; 46. პაიკი; 47. ლემა; 48. პა; 49. ბოლერო; 50. ზანუსი; 51. ლანდო; 52. კმარა; 55. ერინია; 56. სი; 59. კლიო; 60. პასი; 61. ლუკი; 62. რენო; 63. სარო; 65. მე; 66 კიო; 68. რუ.

ლოტოსინიორაძეგლისერიამატიანეტროსინიშანიძე
სახლიკაციალიბინომინალიაბაზიერინიამორისონი

## კვირგვინოსნები



**ნელი აგირბა**
*ჟურნალისტი*

ქვეყანაში აღარ უნდა არსებობდეს **„მე"** და **„ისინი"**, **„ჩემი მხარდამჭერები"** და **„მოწინააღმდეგეები"**, უნდა არსებობდეს **„ჩვენ"**.

„კვირის პალიტრა"



**ლაშა ღლონტი**
*მომღერალი*

**ადამიანებს კი არ ვკარგავ, უბრალოდ, ვშორდები** ისე, რომ ეს ადამიანები ვერც კი ხვდებიან, თუ ჩემი ახლობლების სიაში აღარ არიან. **კონფლიქტები არ მახასიათებს.**

„თბილისელები"



**გვანცა ბუცხრიკიძე**
*მევიოლინე*

მე და ჩემს ქმარს **ქუთაისში, ალბათ, გვივლია გვერდიგვერდ, მაგრამ ერთმანეთი ნიუ-იორკში შევამჩნიეთ.**

„სარკე"



**ლევან ნვერავა**
*მომღერალი*

**არაფრის ფასს არ ვკითხულობ,** ისიც კი არ ვიცი, **პური რა ღირს.**

„თბილისელები"



**ნანა ნებიერიძე**
*სპორტსმენი*

ჩემი სახე ჩემი რუკაა, **ჩემი ცხოვრება მასზე იკითხება,** ამიტომ არაფერს ვცვლი.

„თბილისელები"



**ჯენიფერ ლოპესი**
*მსახიობი*

მინდა, რომ **სიყვარულის ისევ მჯეროდეს.** მჯერა, რომ მომავალში **ისევ შევხვდები ადამიანს,** რომელთანაც ბედნიერი ვიქნები.

„სარკე"

***რამაზ იოსელიანი* ძაღლის წელიწადში, თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული მსახიობია, რომელიც სცენასა და ცხოვრებაში ემოციური, გულწრფელი და შეუპოვარი ადამიანია. მის ხასიათში კარგად იგრძნობა თავისუფლებისკენ სწრაფვა და ერთგულება:**

# რამაზ იოსელიანი:

# საკუთარი დაუფიქრებლობის გამო თევზი ანკესზე არ უნდა წამოეგოს!






— დავიბადე ძაღლის წელიწადში,1958 წლის 11 მარტს, დილის 7 საათზე. ზოდიაქოს ნიშნით თევზები ვარ. ამბობენ, რომ წყნარი ბავშვი ვიყავი, 11 თვისამ დამოუკიდებლად გავიარე, ხოლო საუბარი დავიწყე სამი წლის ასაკში და იმის მერე აღარ გავჩერებულვარ. ბავშვობა ჩემთვის ბედნიერი ხანა იყო, მშობლები სულ იმას მეუბნებოდნენ, თქვენმა თაობამ არ იცის, რა გადავიტანეთ: 37 წელი, შემდეგ — ომი და ღმერთმა გაშოროთ ის ტანჯვაო. მაგრამ გავიდა დრო და ჩვენს თაობას უფრო მეტი ტანჯვის გადატანა მოუწია.

**— თევზებისთვის დამახასიათებელი თვისებები ემთხვევა თქვენს ხასიათს? ამბობენ, რომ თქვენი ნიშანი მუდმივად ეძებს თავგადასავლებს...**

— თევზის ზოდიაქოს ნიშანთან დაკავშირებული თვისებები ზუსტად ემთხვევა ჩემს ხასიათს. ვარ მოუსვენარი და თავგადასავლების მაძიებელი. მინდა, სულ საქმე მქონდეს და რაღაც ვაკეთო. 20 წლის წინათ სოფელში გადავედი საცხოვრებლად, შევქმენი ჩემი მეურნეობა და დავიწყე ცხოველებისა და ბაღის მოვლა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ქალაქიდან ჩემი გაქცევა არ გამოეწვია უბინაობას და ცხოვრებისეულ სირთულეებს.

**— თქვენ მიმართ განხორციელდა გარკვეული რეპრესიები...**

— სააკაშვილის რეჟიმის დროს ოპოზიციაში ვიყავი, რაც არ მომწონდა, ხმამაღლა ვამბობდი და ამის გამო უმუშევარი დავრჩი. ყველაფერი გავყიდე და სოფლად წავედი. მერე ჩამომართვეს ჩემთვის გამოყოფილი ბინაც. როცა გამიჭირდა, ყველამ ზურგი მაქცია, დაიმალნენ, შეეშინდათ. ჩემნაირებისა და ჩემ დასაცავად თეატრალებიდან მაშინ არავინ გამოსულა მიტინგზე, როგორც ახლა გამოდიან. ისეთი შეშინებულები იყვნენ, აღარც მირეკავდნენ, ჩემთან კონტაქტი არ უნდოდათ. ახლა აღმოჩნდნენ პატრიოტები. არა უშავს, ყველას თავისი გზა აქვს, მე არ გავბოროტებულვარ. თევზების თვისებაა წინააღმდეგობების დაძლევა, მთელი ცხოვრება მეც ასე ვიბრძვი.

**— იმ ავ დროს ვინ დაგიდგათ გვერდით?**

— ბათუმის თეატრის დირექტორი **მედეა ჩარკვიანი,** თეატრში სპექტაკლი დამადგმევინა, რომ ჰონორარი ამეღო. ზოგიერთი ჩემი კოლეგა კი ასე კითხულობდა ჩემს ამბავს: სად არის, ჯერ არ დაუჭერიათო? ახლა ესენი რომ გამოდიან, მაინტერესებს, რას ითხოვენ, ვინმე ეწინააღმდეგება ან რამეს უკრძალავს? მაშინაც კარგად იყვნენ და ახლაც კარგად არიან. ეტყობა, ფინანსები მოაკლდათ, თორემ შეხედეთ ჯერ მათ სახლ-კარს, შემდეგ — ჩემსას. არა უშავს, დალაგდება ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ მიკვირს — **ვინც მაშინ სააკაშვილთან იყო, იმათ რომ დღეს „ოცნებაში“ ვხედავ...**

**— სააკაშვილმა განაცხადა, მზეთუნახავი ვარ, ოთხი წელია, მზე არ მინახავსო...**

— მზეთუნახავია, ღმერთმა სამაგიეროს გადაუხადა, მოუტრიალა ყველაფერი.

**— თქვენი პროფესია თქვენი ნავსაყუდელია? თევზები თავისი საქმის ერთგულები არიან...**

— თეატრი ყოველთვის იყო ის ადგილი, სადაც ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი წყალში. ჩემთვის მთავარია, ვიყო ჩემს პროფესიაში, თუმცა, ახლა ის პერიოდია, როცა სამუშაო არ მაქვს, თუმანიშვილის თეატრს ისეთი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს, რომ მე ვერ მხედავს. არა უშავს, მოვა დრო, ვადა დაუმთავრდება და მასაც ველარ დაინახავენ და ქუჩაში აღმოჩნდება... რაც შეეხება ფოთის თეატრს, დამიმთავრდა იქ ხელშეკრულების ვადა და წამოვედი. თან ძალიან ცუდი პირობები იყო, ვინც იქ მუშაობს, ყველანი გმირები არიან.

**— თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ყოველთვის ასრულებენ პირობას...**

— არ არსებობს, ვინმეს რამე დავპირდე და არ შევასრულო, სიტყვის კაცი ვარ. საკუთარი თავისთვის არავის არაფერს ვთხოვ, მაგრამ სხვის გამო შემიძლია, მთები გადავდგა. ვინმე რომ შემეწუხებინა, არაფერი მომაკლდებოდა, წყნარი ცხოვრება მექნებოდა, ახლა კი სოფლიდან თბილისისაკენ გზაზე ვარ გადებული.

**— მარტო ცხოვრება მოსაწყენი არ არის?**

— მარტო არ მტოვებენ, ჩემთან ყოველთვის ვიღაც არის, თუმცა, ყველა ადამიანი მარტო მოდის ამ ცხოვრებაში და მარტო მიდის. შეიძლება, მრავალწევრიან ოჯახშიც კი ადამიანი თავს მარტო გრძნობდეს. ამ მდგომარეობას უნდა შეეგუო და გააცნობიერო, რომ ეს ცხოვრების კანონია. ამის გამო დეპრესიაში არ ვვარდები, უამრავი საქმე მაქვს, მიკვირს, როგორ ვასწრებ. მთავარია მონდომება, ოპტიმისტი უნდა იყო. ძროხა მყავს, დილას და საღამოს ვწველი, ორი ძაღლი მყავს, კატაც, ესენი არიან ჩემი ოჯახის წევრები. მიყვარს წესრიგი, თუმცა, სახლში ხანდახან შემოქმედებითი უწესრიგობაც მაქვს, მაგრამ ზუსტად ვიცი, სად რა დევს.

**— თევზები ადვილად ღიზიანდებიან...**

— ფხუკიანი ვარ, თუმცა, დიდხანს მოთმენაც შემიძლია, მაგრამ, თუ გავბრაზდი, ავი ვხდები, გუნება-განწყობაც ხშირად მეცვლება. უსამართლობას ვერ ვითმენ და სათქმელს პირდაპირ ვამბობ. არ შემიძლია მლიქვნელობა, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ, ასე რომ არ მოვიქცე, ჩემს თავს ვუღალატებ. მეგობრის გამო თავგანწირვა შემიძლია, მაგრამ, როცა იმის მხრიდან ღალატი მიგრძნია, ძალიან მტკენია გული. რას ვიზამთ, ეს არის ცხოვრება, კარგია, რაც მოხდა, ვინც დასაკარგი იყო, დაიკარგა... შენს ცხოვრებაში შემთხვევით შემოსული ადამიანი ისედაც წავა...

**— თევზები და წყალი — ეს კავშირი შემთხვევითი არ არის...**

— წყალი ჩემი სტიქიაა, ძალიან მიყვარს. ასევე მიყვარს თევზიც, მდინარეც, ზღვაც. თუმცა, არ მიყვარს თევზაობა, არ შემიძლია მდინარის პირას საათობით ანკესით ჯდომა და თევზის ლოდინი. მტკვარზე ხშირად ჩავდივარ, მდინარე სულ სხვა ემოციას მაძლევს, ზღვაზეც დავდივარ — შეკვეთილში.

**— მარტის თვეში თევზების ზოდიაქოს ნიშნით ბევრი ცნობილი ადამიანია დაბადებული...**

— მე და ჩვენი თეატრის მსახიობი **ნინო ბურდული** ერთ დღეს და ერთ წელიწადში ვართ დაბადებული. თევზების ნიშნით დაიბადნენ მიქელანჯელო, აინშტაინი, ჩემი მეგობარი — მხატვარი **ზურა გოძელაური, მაკა აროშიძე, რეზო ჩხიკვიშვილი, გოგა მარგველაშვილი.** ჩემსავით, 11 მარტს არის დაბადებული **ივიკო მახარაძეც,** მაკა მახარაძის ძმა.

**— როგორ აღნიშნავთ ხოლმე დაბადების დღეს?**

— ჩემი მეგობრები მოდიან ხოლმე. შარშან შუაღამეს ქუთაისში მომადგნენ, 12 საათი შესრულდა თუ არა, ჩემთან გაჩნდნენ. არ დამავიწყდება ის დაბადების დღე, როცა ჩემმა უსაყვარლესმა ჯგუფელმა **ნინო ჩხეიძემ** (რომელიც ტრაგიკულად გარდაიცვალა) მთელი ჩვენი ჯგუფი შეკრიბა და **მანანა ბერიკაშვილთან** გადამიხადეს დაბადების დღე. წლების წინათ, როცა ავსტრალიაში ვიყავით გასტროლზე, ჩემი და **ნინო ბურდულის** დაბადების დღე დაემთხვა, დიდი ზეიმი მოგვიწყვეს, იქ იყვნენ ცნობილი უცხოელი მუსიკოსები, **ჯო უილიამსი,** სხვებიც — ვიდეოც გადავიღეთ. ერთი დაბადების დღის აღნიშვნა თვითმფრინავში მომიწია, მურმანსკში მივფრინავდით გადაღებაზე, ზუსტად 12 საათი ვიყავი ჰაერში და თვითმფრინავში დაიწყო ჩემი დაბადების დღე. როცა გორის თეატრში მმართველად ვმუშაობდი, მახსოვს, ჩემს დაბადების დღეზე სტუდენტები მოვიდნენ, ტორტი მომიტანეს, მომილოცეს. მესამე სართულზე ვცხოვრობდი. ფანჯარაში რაღაც დიდი სინათლე შევნიშნე, გადავიხედე, მთელი ქუჩა მორთული იყო სანთლებით. დაუვიწყარი სანახაობა იყო, ძალიან გამიხარდა.

**— ასაკს გრძნობთ?**

— გული არ ბერდება, ასაკს ვერ ვგრძნობ. ხანდახან, როცა ხეზე ავალ და ჩამოვხტები ხოლმე, მაშინ ვახსენებ ჩემს თავს, პატარა ხომ აღარ ხარ, უკვე ასაკში შეხვედი-მეთქი...

**— თევზები ინტუიციას ენდობიან. თქვენც ასე ხართ? როგორ მიმართავთ ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს?**

— ჭკუას მოუხმეთ, ორად გაყოფილი ნუ ხართ. ინტუიცია კარგია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდოთ, ის ზოგჯერ ცდება. ხანდახან საღ გონებასაც მიენდეთ. საკუთარი დაუფიქრებლობის გამო თევზი ანკესზე არ უნდა წამოეგოს!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ანუკი ცქვიტინიძე**
*კომპოზიტორი, მომღერალი*



ჩემს სიმღერას რაც უფრო მეტი ადამიანი ასრულებს, მით მეტად მსიამოვნებს. არასოდეს მაქვს განცდა, რომ ჩემი სიმღერა **„ამან იმღეროს“** და **„იმან არ იმღეროს“.** მე ყველასთვის ვწერ და მინდა, ბევრმა ადამიანმა მიიღოს ამით სიამოვნება.

„სარკე“

**ლიზი დარასელია**
*მომღერალი, ფეხბურთელ ვიტალი დარასელიას შვილიშვილი*



ჰგონიათ, რადგან **ვიტალი დარასელიას** შვილიშვილი ვარ, ჩემთვის ყველა კარი ღიაა, მაგრამ ასე არ არის... ერთ მომღერალ გოგონას უთქვამს — **ლიზი რატომ იღებს ჩემზე მეტ ჰონორარს, როცა საერთოდ ვერ მღერისო.** ასეთი შურიანი ადამიანები უფრო მაძლიერებენ.

„სარკე“

**თაკო ვადაჭკორია**
*მომღერალი*



სულ მქონდა განცდა, რომ **ორნაირი ტიპი ვარ** — მშვიდი და წყნარი, მაგრამ **უსამართლობა და ტყუილი არის ის, რამაც შეიძლება, წყობიდან გამომიყვანოს** და მერე როგორც ვხვდები, იმ თაკოსი მე თვითონაც მეშინია.

„თბილისელები“

**თაკო აბაშიძე**
*მსახიობი*



**აღარ გავთხოვდები,** რადგან ჩემთვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია. არსად და არაფერში **ჩემს წონას ხელი არ შეუშლია** და არც პრობლემა შემქმნია. მე მიყვარს ჩემი თავი ისეთი, როგორიც ვარ, **რამდენი კილოც ვარ, იმდენი კილო სიყვარული დამაქვს დედამიწაზე,** რითიც ბედნიერი ვარ.

„თბილისელები“

# თევზების ზოდიაქოს ნიშანი –

*მარტის თვე ასოცირდება სიახლის დასაწყისთან და ცვლილებებთან, ამიტომ ამ პერიოდში დაბადებული თევზები უფრო გახსნილები არიან და თავდაუზოგავად მიისწრაფვიან წინ ცხოვრების ახალი ეტაპების გადასალახად. მათთვის დამახასიათებელია ცვალებადი და ნაზი ბუნება, შეუძლიათ, ღრმად ჩასწვდნენ სხვის ემოციებს, განვითარებული აქვთ ინტუიცია და სწრაფად ამჩნევენ სხვების საჭიროებებს, ხელოვნებასა და მეცნიერებაში საკუთარი ადგილის პოვნა არ უჭირთ. ეს ნიშანი ეკუთვნის წყლის სტიქიას და მისი მმართველი პლანეტაა ნეპტუნი.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



# მიმდინარე კვირა: 10 - 16 მარტი

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1994 წლის 10 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ქართველი ფეხბურთელი, გერმანიის საფეხბურთო კლუბ „ჰაიდენჰაიმისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, თავდამსხმელი, 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე **ბუდუ ზივზივაძე.**



**1932 წლის 13 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მე-20 საუკუნის ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ნოე ჟორდანიას** შვილიშვილი **ეთერ ფალავა.**



**1958 წლის 11 მარტს,** ძაღლის წელიწადში, დაიბადა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი **ნინო ბურდული.**



**1996 წლის 11 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, კომპოზიტორი, ნიუიორკის საშემსრულებლო ხელოვნების სკოლის (ჯულიარდის) კურსდამთავრებული **ბექა გოჩიაშვილი.**



**1942 წლის 13 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა საოპერო მომღერალი, მსოფლიოში აღიარებული ქართველი პრიმადონა, სსრკ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის დიდი თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი **მაყვალა ქასრაშვილი.** 40 წლის განმავლობაში ტოსკას პარტიის უწყვეტად შესრულებისთვის ის შესულია გინესის რეკორდების წიგნში.



**1945 წლის 14 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, დრამატურგი, მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი **მზია ხეთაგური.**



**1956 წლის 15 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, პედაგოგი, ფოლკლორისტი **ეთერ თათარაიძე.**



**1957 წლის 16 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ეკონომისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი **დავით ზურაბიშვილი.**



**1960 წლის 16 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მოჭადრაკე, საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო სპორტის ოსტატი და დიდოსტატი, სსრკ სპორტის ოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი.**

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1873 წლის 10 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი ბალეტმაისტერი, ქართული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი **მარია პერინი.** ქართველი მაყურებლის წინაშე სწორედ მან შეასრულა პირველად „31 ფუეტე“. გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1905 წლის 10 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მთამსვლელი **ლევან გოთუა.** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1923 წლის 10 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა პარტიზანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ სიმფეროპოლში მოქმედი კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური წევრი **ზოია რუხაძე.** წამებით მოკლეს ფაშისტებმა 21 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1907 წლის 11 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ალექსანდრა (შურა) თოიძე.** რუსთაველის თეატრში მის მიერ შესრულებული დეზდემონას როლი სპექტაკლში „ოტელო“ მიჩნეულია მსახიობის შემოქმედებით მწვერვალად. პარტნიორობას უწევდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1942 წლის 11 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, ანსამბლ „ივერიის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ალექსანდრე ბასილაია („ბუთხუზი“).** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1911 წლის 12 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მოქანდაკე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი **ვალერიან მიზანდარი.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1926 წლის 12 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ლევან პაატაშვილი.** იყო დამდგმელი ფილმების: „სხვისი შვილები“ „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „თოჯინები იცინიან“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. გარდაიცვალა 96 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1937 წლის 12 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ოპერის მომღერალი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი **ზურაბ სოტკილავა.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1924 წლის 13 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი **მერი დავითაშვილი.** ის იყო მრავალი საბავშვო სიმღერების ავტორი, მათ შორის, მუსიკის ავტორია ნახატი ფილმების „მტრობა“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „რწყილი და ჭიანჭველა“. გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1942 წლის 13 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი და რეჟისორი, 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი **ლუიზა შაკიაშვილი.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.

**1886 წლის 14 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა, რეჟისორი, კინოოპერატორი, პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორი **ვასილ ამაშუკელი.** 1912 წელს გადაიღო აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, გველის წელიწადში.





**1902 წლის 14 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ოთხგზის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო მხატვარი **ირაკლი თოიძე.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 10 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.21 საათზე, ჩადის 18.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში (03.01). ამოდის 14.01 საათზე, ჩადის 04.42 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.32 საათზე. მეორე ფაზა). **მიმართულებადაკარგული** მთვარის პერიოდია 01.33 საათიდან 03.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. მეტი ყურადღება გმართებთ ნებისმიერი საქმის შესრულებისას. კარგი დღეა შერიგებისა და ურთიერთობების აღდგენისათვის. ნერვული სისტემა დღეს და ხვალ უსუსტდებათ ლომებს, კუროებს, მორიელებს, მერწყულებს. დაიცავით სიმშვიდე, მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას და ნერვიულობას, აკონტროლეთ ემოციები. შუადღის შემდეგ განსაკუთრებით სუსტდება აურა და დამცავი ენერგიები. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ გამოავლენთ გადაჭარბებულ მზრუნველობას. შედეგიანია თვალების, ვენების მკურნალობა. მოერიდეთ სოლარიუმს, აბანოს, საუნას, სიმძიმეების აწევას, ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, ნიშნობასა და ქორწინებას, ცხოველებით ვაჭრობას, ყურების გახვრეტას. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, საჩუქრებისთვის, თმების შეჭრისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, სარდიონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 11 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.20 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 15.10 საათზე, ჩადის 05.12 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 15.58 საათზე. მეორე ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.17 საათიდან 01.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დააკონკრეტეთ თქვენი მოქმედების აზრი. აკონტროლეთ ხასიათში პრეტენზიულობა, ამბიციები, სულსწრაფობა, სიზარმაცე, ეგოიზმი. კარგი დღეა საბავშვო ზეიმებისთვის, ახალი პროექტების დასაწყებად. **დღეიდან 31 დეკემბრამდე პროზერპინა შეუერთდება ზუბენ ელ-შემალის ვარსკვლავს,** რაც გააღვივებს დაპატიმრებებს, უსამართლო ბრალდებებს, გაკოტრების პროცესს და ქრონიკულ დაავადებებს საზოგადოებაში. პარტნიორულ ურთიერთობებში აკონტროლეთ წყენა და ეჭვიანობა. შეაქეთ ერთმანეთი. შედეგიანია ნერვული სისტემის, თვალების, ვენების მკურნალობა. საკვების რაციონში შეიტანეთ ბევრი ხილბოსტნეული, ასკილი, თევზი, წიწიბურა. გაუფრთხილდით გულს, მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას, ნერვიულობას, სოლარიუმს, სიმძიმეების აწევას. ეს განსაკუთრებით ლომებს, კუროებს, მორიელს და მერწყულებს ეხებათ, თუმცა, ყველა ყურადღებით უნდა იყოს. ნეგატიური დღეა ფინანსური გარიგებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ბინის შესაცვლელად, ქორწინებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, სისხლძარღვები, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 12 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 06.18 საათზე, ჩადის 18.04 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში (11.53). ამოდის 16.16 საათზე, ჩადის 05.37 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 17.21 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 11.57 საათამდე. **ტენდენციები:** გაუფრთხილდით საყვარელ ადამიანებს. დღეს და ხვალ დაწყებული საქმეები კარგად დასრულდება. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო საქმეებისთვის, ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. დროს ფუჭად ნუ დახარჯავთ. პარტნიორულ უსაფრთხოებაში ნუ იქნებით ზედმეტად მეწვრილმანე, კრიტიკული, პირდაპირი, ხისტი, შარიანი. საქმეს და ურთიერთობებს ნუ გაარჩევთ. კარგია ლიმფური სისტემის, მხედველობის, ტერფების მკურნალობა. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, მეგობრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისათვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. მაღალია ინტრიგების, მოტყუების, მაქინაციების ალბათობა. სასიკეთო დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, მანიკიურისა და პედიკიურისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, აუდიტისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, სასწორისთვის.

### 13 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.16 საათზე, ჩადის 18.05 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 17.21 საათზე, ჩადის 05.58 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 18.40 საათზე. მეორე ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნუ ენდობით და ნუ აჰყვებით ემოციებს, საღად და ლოგიკურად იაზროვნეთ. კონფლიქტების, შეურაცხყოფის ალბათობა მოიმატებს, კარგია კარადების, საბუთების მოწესრიგება, დალაგება-დასუფთავებისა. დღის მეორე ნახევარში მეტი სიფრთხილე გმართებთ ხვალინდელი მთვარის დაბნელების წინ, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, არ აჰყვეთ პროვოკაციებს, ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ, სარისკო მოქმედებებს მოერიდეთ. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იქნებით ზედმეტად პრეტენზიული, მეწვრილმანე, ხისტი, კრიტიკული, ნუ იწუწუნებთ. კარგია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ლიმფური სისტემის, თვალების მკურნალობა. მომატებულ სექსუალურ ენერგიას ნუ გადაიყვანთ აგრესიაში, ურთიერთობათა გარჩევაში. საკვებ რაციონში პირველობა მიანიჭეთ ხილ-ბოსტნეულს, ბურღულეულს. ცუდი დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის. მაღალია ინტრიგების, მაქინაციების ალბათობა. სასიკეთო დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, აუდიტისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად, გასაუბრებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის.

# 19 თებერვალი – 20 მარტი



**1868 წლის 15 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი, ფოლკლორისტი, რეიმსის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელი წევრ-კორესპონდენტი **თედო სახოკია.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1920 წლის 15 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სსრ-ის დამსახურებული არტისტი **ანდრო კობალაძე.** სახელი გაითქვა იოსებ სტალინის როლების შესრულებით. გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1937 წლის 15 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ქართველი და საბჭოთა ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **შოთა იამანიძე.** დაიღუპა ავტოავარიაში 34 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1948 წლის 15 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ქართველი და საბჭოთა სპორტსმენი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ღირსების ორდენის კავალერი **ლევან თედიაშვილი.** 1973 წელს დასახელებული იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად. გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1907 წლის 16 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **კარლო კალაძე.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.

**1948 წლის 16 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა იმუნოლოგი, საქართველოში შიდსის სამსახურის ფუძემდებელი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორი **თენგიზ ცერცვაძე.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.





**1987 წლის 12 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა აზერბაიჯანელი მოჭადრაკე, გროსმაისტერი **თეიმურ რაჯაბოვი.** აზერბაიჯანელ მოჭადრაკეებს შორის იკავებს — მე-2, ხოლო მსოფლიოს მოჭადრაკეებს შორის — მე-9 ადგილს.



**1958 წლის 14 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მონაკოს პრინცი და აბსოლუტური მმართველი, **რენიე III**-სა და ამერიკელი მსახიობის **გრეის კელის** შვილი, **ალბერ II გრიმალდი.**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 14 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 18.06 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში (22.54), ამოდის 18.23 საათზე, ჩადის 06.17 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.57 საათზე. **სავსემთვარეობა** — 10.56 საათზე, **მთვარის დაბნელება** 11.00 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება ქალწულის ზოდიაქოშია.** მზის, სატურნის, ნეპტუნის დაპირისპირება მთვარესთან განავითარებს ტრავმულ-ავარიულ ტენდენციებს, ჯანმრთელობის პრობლემებს, დეპრესიას, აგრესიას, ცდუნებებს, შეცდომებს, კონფლიქტებს და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს. იყავით ყურადღებით, მეტად ილოცეთ და დალოცეთ სხვები, გათავისუფლდით მატერიალური შედეგებისაგან, განავითარეთ რწმენა, ინტუიცია, გაერკვიეთ სამყაროს კანონზომიერებებში და სულიერ კანონებში, ჩაერთეთ საქველმოქმედო აქციებში. მაღალია აფეთქებების, მოტყუების ალბათობა, მოერიდეთ მასობრივ ღონისძიებებს და ხალხის მასებთან კონტაქტს. ახალი საქმის დაწყებას, ურთიერთობათა გარჩევას, კრიტიკულობას, წვრილმანებისადმი ჩარევას, ყიდვა-გაყიდვას, ფულის სესხება-გასესხებას. დღე მშვიდად გაატარეთ, აკონტროლეთ ემოციები. ექვს თვეში სირთულეები მეტად წარმოიქმნება მეცნიერებაში, მედიცინაში, პედაგოგიკაში, ინჟინერიაში. შესაძლებელია ახალი დაავადებების წარმოქმნა, საფინანსო სისტემებში სირთულეების წარმოქმნა, ბიუროკრატიული აპარატის მოშლა. ფსიქოლოგიურმა კრიზისმაც შეიძლება იჩინოს თავი. მეტად განვითარდება სულიერი და ეზოთერული საკითხები. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრირებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** გიშერი, ყვითელი და მწვანე იასპი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 15 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.13 საათზე, ჩადის 18.08 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 19.24 საათზე, ჩადის 06.35 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 21.14 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა საქმიანობის და ურთიერთობის მშვიდობიანად წარმართვისთვის. ეცადეთ, რთული საკითხები მშვიდობიანად, დიპლომატიურად და კომპრომისების მეშვეობით გადაწყვიტოთ როგორც სახლში, ასევე სამსახურში. არ აჰყვეთ პროვოკაციებს, აკონტროლეთ ემოციები. ნუ გადაიღლებით და ნუ განმარტოვდებით. საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად. არ ვარგა ხელშეკრულების დადება, მოლაპარაკების წარმოება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება და ტაქტი გამოავლინეთ. არ გაიციოთ წელი, მოერიდეთ თხილს, თაფლს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს, ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს. სიფრთხილე გმართებთ მჭრელ საგნებთან ურთიერთობისას, არ ვარგა მანქანების ყიდვა-გაყიდვა, ცხოველთა კასტრაცია. სასიკეთო დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, დიზაინის შესაცვლელად, მკურნალობის დასაწყებად, საიუბილეო საღამოებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, პარფიუმერიის, აქსესუარების, ტანსაცმლის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, გიშერი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 16 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.11 საათზე, ჩადის 18.09 საათზე. **მთვარე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 20.26 საათზე, ჩადის 06.53 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 22.30 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.54 საათიდან 24.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნუ ეცდებით იმ თვისებების გამოვლენას, რაც თქვენ არ გახასიათებთ. უახლოესი 8 დღის განმავლობაში კარგი ხელშემწყობი პერიოდია დალაგება-დასუფთავებისთვის, ზედმეტი ნივთებისგან გათავისუფლებისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში დაგეხმარებათ იუმორი. შედეგიანია სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, მარილიან საკვებს, მოერიდეთ თხილს, თაფლს, ციტრუსებს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს, სასიკეთო დღეა პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების შესაძენად, დიზაინის შესაცვლელად, შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ხელოვნების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვისთვის, მკურნალობის დასაწყებად, საიუბილეო საღამოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, საფირონი, აქვამარინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 10,11,13,14 და 16 მარტი

**14 მარტი – სავსემთვარება, მთვარის დაბნელება;**
**29 მარტი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება.**

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ:



**1958 წლის 10 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი **შერონ სტოუნი.**



**1973 წლის 10 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ჩეხი სუპერმოდელი და მსახიობი **ევა ჰერციგოვა.** მუშაობდა ცნობილ ფოტოგრაფებთან პიტერ ლინდბერგთან და პაოლო როვერსთან. 2000-2003 წლებში იყო „ვიქტორია სეკრეტის" ერთ-ერთი მთავარი მოდელი.



**1983 წლის 10 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი და პროდიუსერი **ქერი მარი ანდერვუდი.**



**1925 წლის 12 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა იაპონელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ლეო ესაკი.** 1960 წლიდან ცხოვრობს ამერიკაში.



**1948 წლის 12 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი და სიმღერების ავტორი **ჯეიმზ ტეილორი.** შესულია ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი მუსიკალური შემსრულებლების სიაში, გაყიდული აქვს 100 მილიონზე მეტი ალბომი.



**1968 წლის 15 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მომღერალი, მოდელი და პროდიუსერი **საბრინა სალერნო.** ცნობილია როგორც —**საბრინა.**



**1975 წლის 15 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, მოდელი **ევა ლონგორია.** სახელი გაითქვა გაბრიელ სოლისის როლის შესრულებისთვის სატელევიზიო სერიალში „სასოწარკვეთილი დიასახლისები".



**1955 წლის 16 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მსახიობი **იზაბელ იუპერი.**

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1928 წლის 10 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ესპანელი კინომსახიობი და ესტრადის მომღერალი **სარა მონტიელი.** ტიტრებში ხშირად მოიხსენიება როგორც სარიტა მონტიელი. გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1879 წლის 14 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მე-20 საუკუნის უდიდესი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ალბერტ აინშტაინი.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1918 წლის 14 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ნატალია ბურმისტროვა.** გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1884 წლის 16 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა საბჭოთა ფანტასტი-მწერალი, საბჭოთა სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ალექსანდრე ბელიაევი.** მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია — „პროფესორ დოუელის თავი", „ადამიანი-ამფიბია", „უკანასკნელი ატლანტიდელი". გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1859 წლის 16 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა რუსი ფიზიკოსი, ელექტროტექნიკოსი, რადიოს ერთ-ერთი პიონერი **ალექსანდრე პოპოვი.** გარდაიცვალა 46 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1920 წლის 16 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი პოეტი, მწერალი და სცენარისტი **ტონინო გუერა.** გარდაიცვალა 92 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1941 წლის 16 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი კინორეჟისორი, მწერალი, ამერიკის კინოაკადემიის პრემია „ოსკარის" მფლობელი ფილმისათვის „უკანასკნელი იმპერატორი" **ბერნარდო ბერტოლუჩი.** გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15. ქურდიანის №2.

**მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!**

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, გულძმარვას, კუჭის წყლულს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას, ფაღარათს), ჭიებს, თმის ჩაბრუნებას, მასტოფათიას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც), მცენარეული ნაყენით მარილებს გამოჰყავს ორგანიზმიდან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წყლის ყვავილი | ქართველი ბალერინა | მოტორიანი ნავი | იტალიელი ვიოლინოს ოსტატი | მსახიობი ... ბენინგი | „სევილიელი დალაქის“ ოპერის ავტორი | ქართველი ენათმეცნიერი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფულის და ნივთების გათამაშება | ქალბატონი იტალიაში | ნაგებობა ვისამე სამახსოვროდ | დიდი ფილმის ნაწილი | ისტორიული მოვლენების ქრონოლოგია | გვარლი | მოსწავლის ცოდნის მაჩვენებელი | ვაჟი-შვი-ლი |



თარაზულად: 4. წვიმის „წყარო“; 9. ჯ. გოლზუორთი — „ფორსაიტების ...“; 11. ჩიტების საჭერი ერთგვარი მახე; 12. აშშ-ის ხურდა ფული; 13. მსხვილად დაფქვილი მარცვლეული; 14. ეკლიანი მცენარე; 15. წარმოდგენა გამართული მისი ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად; 16. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში; 17. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 18. ხელისგული თითებიანად; 19. სოფელი დუშეთის რაიონში; 23. მოლდოვას პრეზიდენტი; 24. სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი; 27. რევაზ ლაღიძის ოპერა; 28. ძველებური ესპანური ცეკვა; 29. სასარგებლო მინერალის შემცველი ქანი (ზოგად.); 32. ზეციური მხსნელი; 33. კომში; 35. აშშ-ის შტატი; 39. თვითმართული წყალქვეშა ჭურვი; 40. მუშაობის საზომი ერთეული; 42. დიდი სიზუსტე; 43. ფილმი „... დაიდარდო“; 45. ჯ. როდარის ზღაპრის პერსონაჟი ბიჭუნა; 49. უგუმბათო ტაძარი; 53. შრი ლანკას ძველი სახელი; 54. არგენტინელი ფეხბურთელი; 57. ფიჭვის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი; 58. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 59. წვრილი სისხლძარღვი; 64. ავსტრალიური მორბენალი დიდი ფრინველი; 66. საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული; 67. კარგად მოწყობილი ძვირფასი სასადილო; 69. კუთხისა და რკალის საზომი ერთეული; 70. პურის სოკო; 71. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია.

შვეულად: 1. ფირფიცარი, ხის თხელი ფურცელი; 2. სითხის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით ერთ ლიტრს (ძვ.); 3. მამის და; 4. მინდვრის ყვავილი; 5. სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია კიევი; 6. მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტი; 7. ვ. ჰიუგო — „კაცი, რომელიც ...“; 8. დიდი მახრჩობელა გველი; 9. გულისტკივილი, დანანება; 10. იტალიის სახალხო გმირი; 19. თმის ერთგვარი საღებავი; 20. ქართველი ექსმოჭიდავე; 21. ისრაელში დაბადებული და მცხოვრები ებრაელები; 22. მოგრძო, გულამოღებული ტაბაკი; 24. პატიმრის საკანი; 25. სახელმწიფო ხაზინა; 26. ხემიანი საკრავების იტალიელი ოსტატი; 30. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 31. მოსავლიანობის ტექნიკა; 33. ქალაქი გერმანიაში; 34. უარყოფითი მუხტის იონი; 36. საჭმლის მცირე ნაწილი; 38. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 38. ყელის სამკაული; 41. სინარნარე, მოხდენილობა; 44. გამოუწვავი აგური; 45. პატარა ჩიტი-ჩიტუნია; 46. ჭადრაკის ფიგურა; 47. დამხმარე თეორემა; 48. ნაბიჯი ცეკვაში; 49. წყვილთა ესპანური ცეკვა; 50. პოლონელი კინორეჟისორი; 51. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი; 52. საკმარისია, გეყოფა; 55. შურისმაძიებელი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 56. მეშვიდე ნოტი; 59. ეპიკური პოეზიის ბერძნული მუზა; 60. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 61. ჩასაძრომი ჭრილი გემბანზე; 62. ფრანგული ავტომობილი; 63. კვიპაროსი; 65. პირის ნაცვალსახელი; 66. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 68. პატარა სარწყავი არხი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 28-ე გვერდზე*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მამაკაცი, რომელიც თავის ოჯახს ან გვარს ეკუთვნის | უდანაშაულობის საბუთი | ღირებულება ქაღალდის ფულის ნიშნებზე | ოცი კაპიკი | შურისმაძიებელი ქალღმერთი (ბერძნ.მით.) | ჯგუფ „დოორსის“ წევრი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანის საცხოვრებელი | ი. ჭავჭავაძის „.... ადამიანი“ | ორწევრი (მათ.) | სასიმინდე | ქორ-შევარდენთა დამგეშავი | კლდის თხა, ქურციკი | იაპონური ფირმა |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 10 – 16 მარტი №11 (1582)
გამოდის ორშაბათობით

2009882637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.

